ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ქეთევან გუტიკაშვილი

საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია პოსტსაბჭოთა პერიოდში

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მერაბ ხმალაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

მიგრაციული პროცესების განხილვა მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითრებისთვის. ემიგრაციამ და იმიგრაციამ შეიძლება სრულიად შეცვალოს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა. მიგრაციული სვლები დადებითი და უარყოფითი შედეგებით ხასიათდება და მუდმივად განხილვის საგანია. სწორედ ამიტომ არ კარგავს ეს საკითხები აქტუალობას.

ქვეყნის ხელისუფლება და საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივად შეიმუშავებენ მიგრაციის შესახებ კონვენციებს და სპეციალური პოლიტიკის საშუალებით ცდილობენ საკითხების განხილვას და პრობლემების აღმოფხვრას.

მიგრაციული პროცესების უწყვეტი ხასიათის გამო შეუძლებელია მისი სრულყოფილი აღრიცხვა, თუმცა შესაბამისი სტატისტიკური ანალიზით და საექსპერტო გამოკვლევებით შეძლებისდაგვარად ხდება მისი ანალიზი. მიგრაციული პროცესები და ყველა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნისთის ერთ რთი ნიშვნელოვანი საკითხია.

მოცემული ნაშრომი ეხება საქართველოს მიგრაციულ პროცესებს პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც საგრძნიბლად მაღალი იყო ქვეყნიდან ემიგრაცია. ასევე განხილულია მიგრაციული სვლების მიმართულებები, ძირითადი მიზნები და გასული და შემოსული მიგრანტების რაოდენობრიობა. დახასიათებულია ქვეყნის მიგრაციული პროცესები წლების მიხედვით და გაკეთებულია შედარებითი ანალიზი.

Anottation

Discussing migration process is crucial for a country's economic development. Immigration and emigration can drastically affect country's economical stability. Migration processes, depending on many factors, can have positive or negative impact on a country, that's why this topic is always discussed and is a subject of constant debate.

Governments and international organizations often plan conventions about migrations with aim to discuss and solve migration related problems with special policies.

Due to continuous migration process it is hardly possible to make precise accounting, thus the analysis is given properly according to its statistical and expert researches. The process of migration is a highly important issue for both developed and beneficiary countries.

The given topic considers migration process of Georgia in the post-soviet period, when the emigration from the country was in its top. Also there is reviewed directions of migration, main purpose and number of in and out migrants. Description out within the years and comparative analysis.

სარჩევი

შესავალი……5

I. მიგრაცია თანამედროვე მსოფლიოში……..8

1.1 შრომითი მიგრაციის თეორიები და შესწავლის მეთოდოლოგია……...8

1.2 მიგრაციული პროცესების კლასიფიკაცია……16

1.3 მიგრაციული სისტემები……...33

1.4 საერთაშორისო მიგრაციის გავლენა ეკონომიკაზე……..42

II. მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა პერიოდში……...49

2.1 საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის მიზეზები……...49

2.2 საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ძირითადი მიმართულებები და ორგანიზების ფორმები……68

2.3 მიგრანტთა პროფესიულ-კვალიფიციური განაწილება და მათი ფულადი გზავნილები საქართველოში……...97

2.4 მოსახლეობის რეემიგრაციული პოტენციალი, მათი მიგრირების დადებითი და უარყოფითი შედეგები……110

დასკვნა……..117

გამოყენებული ლიტერატურა……...119

შესავალი

ემიგრაციის თემა საქართველოში ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. როგორც 2002 წელს საქართველოში ჩატარებულმა საყოველთაო აღწერამ უჩვენა, 1989 წელთან შედარებით საქართველოს მოსახლეობა ერთ მილიონ ადამიანზე მეტით შემცირდა, რაც როგორც ექსპერტები ვარაუდობენ მეტწილად მოსახლეობის ემიგრაციითა გამოწვეული. 2003-2004 წლებში საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით თითქმის ყოველ მეათე ოჯახში ერთი ან რამოდენიმე წევრი იმყოფებოდა ემიგრაციაში. უმუშვრობის მაღალი დონე, განსაკუთრებით რეგიონებში, ამასთან დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურება უბიძგებს მოსახლეობის დიდ ნაწილს ემიოს სამსახური საზღვარგარეთ, ხოლო საზღვარგარეთ მიღებული შემოსავლით საქართველოში დარჩენილი ოჯახები არჩინოს. ფინანსური დახმარება, რომელსაც ქართველი ემიგრანტები თავიანთ ოჯახებს უგზავნიან, საკმაოდ სერიოზულ როლს თამაშობს ამ ოჯახებისთვის და მათი შემოსავლების მნიშნელოვან ნაწილს შეადგენს.

შრომითი მიგრაცია განპირობებულია ორი ძირითდი მიზეზით: მიმღებ ქვეყნებში არსებული მოთხოვნით მუშახეზლე, რომელსაც ამ ქვეყნების მოსახლეობა ვერ აკმაყოფილებს და ემიგრანტების მშობლიურ ქვეყნებში მუშახელის ჭარბი ოდენეობით და უმუშევრობის საკმაოდ მაღალი დონით. შესაბამისად მუშახელი, რომელიც დაუსაქმებელია ან არასრულად არის დასაქმებული ან რომელსაც დაბალი ანაზღურება აქვს ცდილობს წავიდეს იმ ქვეყნებში სადაც მასზე არის მოთხოვნა და უკეთესი ანაზღაურების მიღების პერსპექტივაა. ხოლო მიმღებ ქვეყნებში ხშირ შემთხვევაში მეწარმეები უპირატესობას სწორედ იმიგრანტ მუშახელს ანიჭებენ. როგორც წესი იმიგრანტები მზად არიან შეასრულონ იმ ტიპის სამუშაო რომლის შესრულებაც ადგილობრივებს არ სურთ. ქართველი ემიგრანტები სხვადასხვა გზით ჩადიან მიმღებ ქვეყნებში და რჩებიან იქ მუშაობის მიზნით. ეს ნიშნავს რომ ისინი არ მონაწილეობენ ოფიციალურ შრომით ბაზარში და ერთვებიან არაფორმალურ შრომით ბაზარში ანუ ასრულებენ ე.წ. სამი D-ის, (dirty, difficult, dangerous), ტიპის

სამუშაოებს და ამავდროულად იღებენ გაცილებით დაბალ ანაზღაურებას ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა. ქართველი შრომითი ემიგრანტების უფლებები არანაირად დაცული არ არის, ისინი შეიძლება ექსპლუატაციის მსხვერპლნი გახდნენ. თუ გავითალისწინებთ რომ თავიანთი არალეგალური სტატუსის გამო ისინი წლობით ვერ ახერხებენ საქართველოში დაბრუნებას და ოჯახების მონახულებას, რომ ზოგ ქვეყნებში მათ დეპორტაციის მუდმივი შიშს ქვეშ უწევთ ცხოვრება. ქართველი ემიგრანტების ცხოვრება საზღვარგარეთ საკმაოდ რთული და სახიფათოა.

დღეისათვის აშშ და კანადა ითვლება მსოფლიოში მიგრანტთა ყველაზე ძლიერ მიმზიდველ ქვეყნად. 90-იან წლებში ამ ორ ქვეყანაზე მოდიოდა მსოფლიო მიგერაციულ ნაკადთა ნახევარი, მაშინ, როცა ამ ქვეყნების მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენდა. ბევრი ქვეყანა ზღუდავდა დიდი რაოდენობის იმიგრაციას თავიანთ ქვეყნებში აშშ და კანადა კი ხელს უწყობდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ამ ქვეყნებში დასაქმებას.

2000-2006 წლებში შრომის ემიგრაციის შესწავლის მიზნით განხორციელდა რომდენიმე კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევა. გამოიკითხა 1132 ე.წ. შემცვლელი რესპოდენტი ანუ შრომითი მიგრანტის ოჯახის წევრი და ახლობელი. კვლევის შედეგად გამოვლიდნა, რომ ადრინდელი პერიოდისაგან განსხვავებით 1990-იანი წლებიდან შრომითმა მიგრაციამ მოიცვა მთელი საქართველო. დადგინდა, რომ მიგრაციის მიზეზები უმეტესად ეკონომიკური ხასიათისაა, გამოვლინდა რომ მიგრანტები ძირითდად ოთხ ქვეყანაში მიდიან: რუსეთში-41%, საბერძნეთში-15%, გერმანიაში-13% და აშშ-14%. გამოკვლევამ გმოავლინა, რომ შრომითი ემიგრანტების 80 პროცენტი თავიანთ ოჯახს ეხმარება ფულადი გზავნილებით, მცირედი ნაწილი გადმოგზავნასთან ერთდ აგროვებს. ერთი ემიგრანტის თვიური შემოსავალი მიმიღებ ქვეყანაში დაახლოებით შეადგენს საშუალოდ 744 აშშ დოლას, ხოლო გზავნილი თვეში 178,5 დოლარს.

2008 წელს ჩატარებული კვლევა სახელწოდებით განვითარების გზაზე, აჩვენებს თუ რაში იხარჯება ფულადი გზავნილები. როდესაც ოჯახი მას ხარჯავს სხვა შემოსავლისაგან განსხვავებულად. 141 ოჯახიდან, რომელიც იღებდა ფულად გზავნილებს და ხარჯავდა მათ ოჯახის სხვა შემოსავლისაგან განსხვავებულად,

დიდმა ნაწილმა ორმოცმა პროცენტმა აღნიშნა, რომ ფულადი გზავნილები ჯანდაცვას ხმარდება. გამოკითხულთა ერთმა მესამედმა კი საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა, ვალის გადახდა და ბავშის მოვლა დაასახლეა. მონაცემები მიუთითებს, რომ ასევე ხშირად ხდება ფულადი გზავნილების გამოყენება განათლებისათვის.

I. მიგრაცია თანამედროვე მსოფლიოში

1.1 შრომითიმიგრაციისთეორიებიდაშესწავლისმეთოდოლოგია

მიგრაცია ისეთ პროცესს გულისხმობს რომელიც, როგორც ისტორიულ წარსულში, ისე თანამედროვე პირობებში, ქვეყანაში თუ მსოფლიოში, ბუნებრივად თუ ხელოვნურად, ცვლის ადამიანთა განსახლებისა და საქმიანობის სურათს. მიგრაცია მრავალასპექტიანი სოციალური პროცესია და პრაქტიკულად პირდაპირ თუ ირიბად, დაკავშირებულია ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტთან. მასში ყველაზე აქტიურად ვლინდება ამა თუ იმ ქვეყნის განვითარებისა და შესაბამისად, ადამიანთა ცხოვრებისა და დაცვის დონეები.

მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა, მოსახლეობის მოძრაობა საზოგადოების არსებობის აუცილებელი ელემენტია. იგი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში სხვადასხვა სახეს იძენს, სხვადასხვა ფორმით გამოიხატება.

მიგრაცია არის მრავალი, ისტორიულად ჩამოყალიბებული თუ თანამედროვე პირობებში განვითარებული ინფორმაციულ-სატრანსპორტო ურთიერთობების შედეგი, ხოლო ეკონომიკური და სოციალური კავშირები განსაზღვრავენ მის მიმართულებებსა და ფორმებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგადი ტერმინი მიგრაცია, თავის თავში მოიაზრებს კონკრეტული ადამიანების ინდივიდუალურ ისტორიებს, სამწუხაროდ ზოგჯერ ტრაგიკულს, პრობლემებს, გამოწვევებს და რასაკვირველია წარმატებებს.მიგრაცია და მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა, თანამედროვე მსოფლიოში მიჩნეულია, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. თანამედროვე ევროპის ტერიტორიაზე ადამიანები მიგრირებულნი არიან და არა ადგილზე წარმოშობილნი.

რადგან მიგრაცია მხოლოდ ადამიანური მოქმედების სფეროა, მკვეთრ გავლენას ახდენს, როგორც ემიგრაციულ, ასევე განსაკუთრებით, იმიგრაციული ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე. პირველ შემთხვევაში ემიგრაცია ნაკლებად

რეგულირებადია და მკვეთრად ცვლის, უფრო უარყოფითად, დემოგრაფიულ მდგომარეობას, ხოლო- იმიგრაციული ქვეყნის პირობებში იწვევს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას, - ექვემდებარება ქვეყნის განვითარების ინტერესებს. მიუხედავად იმისა, ქვეყანა იმიგრაციულია თუ ემიგრაციული, მთავარია შევნიშნოთ ის, რომ მიგრაციულ პროცესებში მონაწეილე ადამიანი ისეთი სოციალური არსებაა, რომელიც „დაბადებიდან“ მიისწრაფვის სიახლის, მისთვის მიუწვდომლის შეცნობისკენ.

ადამიანის გადაადგილების მიზეზისა და მიზნების შესაბამისად, მიგრაციის კონკრეტული ფორმები მჟღავნდება მიგრანტის მუდმივი საცხოვრებლის გარეთ ყოფნის ვადებში:

- ყოველდღიური - ანუ ქანქარისებური მიგრაცია - სამუშოდ, სავაჭროდ, გართობის ადგილებში და ა.შ.
- მოკლევადიანი - იგი მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში გულისხმობს სამ თვემდე ყოფნის ვადას - დასასვენებლად, მივლინებაში, სამუშაოდ და ა.შ. საბჭოთა პერიოდში იგი იწოდებოდა სეზონურ მიგრაციად და სხვა შინაარსის მატარებელი იყო.
- ხანგრძლივვადიანი - ძირათადად 6 თვეზე მეტი ხნით, მხოლოდ მუდმივი ცხოვრების მიზნის გარეშე - სასწავლებლად, სამუშაოდ და ა.შ.
- მუდმივსაცხოვრებლად, განუსაზღვრელი ვადით, ძირითადად მოქალაქეობის შენარჩუნებით.
- სამუდამოდ, რეციპიენტი ქვეყნის მოქალაქეობის მიღებით.

ყველა ეს ფორმა ქვეყნის შიგნით საკუთარ მოქალაქეთა თუ კანონიერად მცხოვრებთა მიმართ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, არ იზღუდება, ხოლო ქვეყანაში შემომსვლელი უცხოელების მიმართ უფრო შემზღუდავ, განსაკუთრებით-შრომის ანაზღაურებანი საქმიანობის და მუდმივი ცხოვრების სურვილზე, კონტროლირებად სახეს იღებს.

მსოფლიოში მოსახლეობის განსახლებისას მიგრაციების დიდი მნიშვნელობების მიუხედავად, საერთაშორისო დონეზე მის განხილვას განსაკუთრებული ყურადღება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიექცა. ძირითადად 1951 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჟენევაში მიღებული და 1954 წლიდან მოქმედი

„კონვენციით ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ სადაც ნათქვამია, „რომ ყველა სახელმწიფო, ცნობს რა ლტოლვილთა პრობლემის სოციალურ და ჰუმანიტარულ ხასიათს, მიიღებს ყველა ზომას, რათა თავიდან აიცილოს ამ პრობლემის გამო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გამწვავება“.

ისიც უნდა ითქვას, რომ ძალზე ძნელი ხდება მიგრაციის სფეროს მართვის სიტემისა თუ ტერმინთა საერთაშორისო დონეზე იდენტიფიკაცია, რადგან მსოფლიოში თუ ცალკეულ ქვეყანაში, თუნდაც საქართველოს დამოუკიდებლობის 1917-1921წწ, თუ ოკუპაციის და საბჭოთა პერიოდის 1922-1991წწ, თუ დღეს დამოუკიდებლობაადგენილი ქვეყნის როგორც შიდა, ისე გარე მიგრაციული პროცესების მიზეზობრივი ფაქტორები, ფორმები, შედეგები, მკვეთრად განსხვავებული და თითქმის შეუდარებელია.

საყოველთაოდ ცნობილია ხალხთა მასების დიდმაშტაბიანი ტერიტორიული გადაადგილებანი, როგორიცაა ებრაელთა მიგრაცია ეგვიპტეში, ასევე ბერძნების, ჰუნების, ალანების, გერმანელებისა და სლავების მიგრაციული სვლები. მიგრაციის განმავლობაში არის ბევრი პირობითობა. ესაა მიგრაციის სახე, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ძალის მიგრაციულ გადაადგილებასთან.

საერთაშორისო შრომითი მიგრაციის თეორიულ დამუშავებას მრავალი მეცნიერი შეუდგა. მნიშვნელოვანია საერთაშორისო მიგრაციის მიზეზების ახსნა და ასევეე ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორების გამოყოფა. საბოლოოდ, ყველა მეცნიერის მოსაზრებები მიდის იქამდე, რომ „მიგრაცია _ ესკომპლექსურიმოვლენაადაისძნელადთუმოექცევაგანსაზღვრულსქემაში“. ეს უკანასკნელი სიტყვები კი ევერესტლიის ეკუთვნის. ადამიანი ყოველთვის მოგზაური იყო - ანტიკური ხანის მითები და მოთხროგბები გვამცნობენ, რომ ადამიანები ყოველთვის მიემგზავრებოდნენ ახალი მიწებისა და უცნობი ხალხის აღმოსაჩენად. არსებობს უამრავი ისტორიული ჩანაწერი, რომლებიც გვიჩვენებენ ბუნებრივი კატასტროფებისა და პოლიტიკური დევნით გამოწვეულ მოსახლეობის მასობრივ გადაადგილებას.

მიგრაციისთეორიებშიხშირადჭარბობსპოლიტიკურიდასოციოლოგიურიახსნა. ნეოკლასიკური ეკონომიკის თეორიის მიმდევრებისაერთაშორისო შრომით

მიგრაციას ხსნიან ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დონეების სხვაობით, კერძოდ, შრომის ანაზღაურებაში განსხვავებით. ნეოკლასიკური ეკონომიკის თეორია გულისხმობს, რომ მიმღები და დონორი ქვეყნების შრომითი რესურსები აბსოლუტურად იდენტურია (შეუძლიათ ერთმანეთი შეცვალონ) და ორივე ქვეყანაში მიგრაციის პროცესში ნარჩუნდება სრული დასაქმება, რაც, უმეტეს შემთხვევაში, რეალობას არ შეესაბამება.

ადამიანური კაპიტალის თეორიაში მიგრაციის მიზეზებს განიხილავენ მიკროდონეზე. თითოეული მიგრანტი მოიაზრება როგორც მის განათლებაში, კვალიფიკაციასა და სამედიცინო მომსახურებაში ინვესტირების შედეგი. მიგრირების პროცესში ადამიანური კაპიტალის თეორია გარდა ეკონომიკურისა, მხედველობაში იღებს, ასევე ფსიქოლოგიურ დანაკარგებს, როგორიცაა: განშორება ახლობლებთან; არამატერიალური ფაქტორები – კლიმატი, უფრო მაღალი დონის კულტურასთან და სხვა საზოგადოებრივ სიკეთესთან ხელმისაწვდომობა და სხვა, რაც, უმეტესწილად, მიგრაციის ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის მიღმა რჩებოდა.

მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორიაეყრდნობა მიკროეკონომიკურ ფუნქციონალურ ანალიზს. მიგრაციაზე გადაწყვეტილება მიიღება არა ცალკეული ინდივიდების, არამედ კოლექტიურად, ოჯახის წევრების მიერ. მიგრაციის მიზანია არა მარტო მოსალოდნელი შემოსავლის მაქსიმიზაცია, არამედ საკუთარ ქვეყანაში შრომის ბაზრის, დაზღვევისა და საკრედიტო სისტემის არასაკმარისად განვითარებასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაცია.

საზოგადოებრივი კაპიტალის თეორიის მიხედვით „საზოგადოებრივ კაპიტალში“ მოიაზრება იმიგრაციის ქვეყანაში გამოცდილ მიგრანტთა ქსელების არსებობა, რომლებმაც უკვე შექმნეს ადგილობრივ შრომის ბაზარზე დამკვიდრების გარკვეული სქემები და განავითარეს ინფრასტრუქტურა (განვითარებული ტრანსპორტი, სასაქონლო ბაზრები, საბითუმო ბაზრები, შუამავალთა ინსტიტუტები, დილერები, «საკუთარი» საზოგადოებრივი კვება და ა.შ.

ცალკე აღებული ოჯახური მიგრაციის ეკონომიკისთეორიით შეუძლებელია შრომითმიგრაციული განწყობის ახსნა. ის მიგრაციის მიზეზებს და მიმართულებებს განსაზღვრავს ოჯახის თვალსაზრისით.

სეგმენტირებული (მეორადი) შრომის ბაზრის თეორიაში შრომითი მიგრაცია ასე განიხილება: ეკონომიკური განვითარების პოსტინდუსტრიულ ეტაპზე მდიდარი ქვეყნების შრომის ბაზარზე ჩნდება იაფ უცხოელ მუშახელზე მუდმივი მოთხოვნა. შრომის მსოფლიო ბაზრის თეორიის თანახმად შრომის მსოფლიო ბაზარი ფორმირდება და ფუნქციონირებს სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტის შედეგად და მკაფიოდ გამოხატული ტერიტორიული საზღვრები არ გააჩნია. საერთაშორისო მიგრაცია განისაზღვრება სამუშაო ძალის არა მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდებითა და ხელფასის დონეებს შორის სხვაობით, არამედ მსოფლიო პოლიტიკური, დემოგრაფიული, სოციალური, კულტურული და სხვ.

მსოფლიო სისტემების, ანუ მსოფლიო მეურნეობის თეორიაც მსგავსია შრომის მსოფლიო ბაზრის თეორიის. ამ თეორიის თანახმადაც საერთაშორისო შრომითი მიგრაცია უფრო ინტენსიურია ყოფილ კოლონიების მქონე სახელმწიფოებსა და მათ კოლონიებს შორის, რადგან მათ შორის ჩამოყალიბებულია კულტურული, ისტორიული, ენობრივი, ადმინისტრაციული და სხვა კავშირები.

ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის თეორია კი იმ თეორიებისგან განსხვავებით, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გამოდიან უცხოელ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის განმსაზღვრელი როლიდან, აქცენტს აკეთებს სამუშაო ძალის მიწოდებაზე, მის თვისობრივ ხასიათზე და დონორ ქვეყნებში მიგრაციის მიერ გამოწვეულ შედეგებზე.

ღია ეკონომიკის თეორიული მოდელი გულისხმობს, რომ საწარმოები, რომლებიც საჭიროებენ ბევრ მუშახელს, უნდა განთავსდეს განვითარებად ქვეყნებში, ხოლო ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალტევადი და მაღალტექნოლოგიური საწარმოები.

„მიზიდვა-განზიდვის“ მკაფიოდ გამოხატავს დონორი ქვეყნიდან ემიგრირებაზე გადაწყვეტილების მიღებაში „განმზიდავი“ფაქტორების როლს, მიმღებ ქვეყანაში კი შესაბამისად _ „მიმზიდავი“ ფაქტორების როლს. ანუ ემიგრირების პროცესი განისაზღვრება პოტენციური მიგრანტების მიერ ამ ფაქტორების სუბიექტური აღქმით.

ინტეგრაციის თეორიის თანახმად, სამუშაო ძალის მიგრაცია ხდება მანამდე, სანამ

საინტეგრაციო სისტემაში არ გათანაბრდება ზღვრული შრომის ნაყოფიერება და ხელფასი. მიგრაციას ასტიმულირებს თავისუფალი გადაადგილების დაშვება, კვალიფიკაციის ურთიერთაღიარება და, საერთოდ, გამოირიცხება კულტურული და ენობრივი განსხვავების გადამწყვეტი მნიშვნელობა.

საგარეო ვაჭრობის თეორიის წარმომადგენელი რ. მანდელი ამტკიცებს, რომ სავაჭრო ბარიერები ასტიმულირებს წარმოების ფაქტორების მოძრაობას, საქონლით ვაჭრობაზე კი ახდენს დადებით ზემოქმედებას. სავაჭრო ნაკადების მოდელები შეესაბამებიან მიგრაციული ნაკადების მოდელებს. ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ დონეზე უფრო დიფერენცირებული ხდება გასაცვლელი საქონლის სტრუქტურა და მაღლდება მათი ხარისხი, ამის მსგავსად მიგრაციული ნაკადების წანაცვლებაც ხდება უფრო მაღალი პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენის მიმართულებით.[1]

საერთაშორისო მიგრაციის ინტენსივობა სწრაფი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუ 90-იან წლებამდე საერთაშორისო მიგრანტთა რიცხოვნობა 2მლნ. ადამიანით მატულობდა, ამჟამად ზრდა 3-4 მილიონს მიაღწია. საერთაშორისო მიგრაციის აღრიცხვა რთულია, რადგან ბევრი ქვეყანა მთლიანად ვერ აღრიცხავს მიგრაციულ ნაკადებს და იძლევა მიახლოებით შეფასებებს, რაც ხშირად ნაკლებად სარწმუნოა. მიგრანტი მოსახლეობა მსოფლიოში უთანაბროდაა განაწილებული. იგი უმთავრესად თავს იყრის გარკვეულ ქვეყნებში. მსოფლიო მიგრანტი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით კი, რომლებიც მდიდარია ნავთობის მარაგით, ალმასით, და სხვა ბუნებრივი რესურსებით ან იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობა სწრაფად ვითარდება. უცხოელი მუშები შეადგენენ სამუშაო ძალის უმეტეს ნაწილს ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანაში. სამოქალაქო ომები, კონფლიქტები, პოლიტიკური არასტაბილურობა უბიძგებს ადამიანებს დატოვონ თავიანთი მშობლიური ქვეყანა და თავშესაფარი ეძიონ სხვაგან. სავარაუდოა, რომ საერთაშორისო მიგრაციული ნაკადები მომავალშიც შენარჩუნდება. ამის მიზეზია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის უთანაბრო ზრდა, სამუშაოს შოვნის არათანაბარი შესაძლებლობა და ქვეყნებს შორის

[1]შრომითი მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი. თბილისი 2015წ. გვ. 13-14

შრომის ანაზღაურებაში დიდი განსხვავება. ამას ემატება სამოქალაქო ომები, ეთნოკონფლიქტები, პოლიტიკური დევნა-შევიწროვება, რასაც, ჯერჯერობით, ბოლო არ უჩანს.

მიგრანტთა მიმღები ქვეყნებისთვის პრობლემატურია ის, რომ მათ უნდა დააბალანსონ უცხო სამუშაო ძალა და დაიცვან მათი უფლებები, რათა იმიგრანტებმა მიაღწიონ სასურველ ეკონომიკურ კეთილდღეობას და პოლიტიკურ თავისუფლებას.

თანამედროვე საერთაშორისო მიგრაციას ხელს უწყობს ქვეყნებს შორის სულ უფრო მზარდი ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები. უმჯობესდება კომუნიკაციები და სატრანსპორტო მომსახურება, რაც აადვილებს მიგრანტთა გადაადგილებას სხვადასხვა ქვეყანაში.

მიგრაციული ქსელების თეორიას საფუძვლად უდევს ცნება „მიგრანტთა საზოგადოება“. მიგრანტთა თავდაპირველი ნაკადები საფუძველს უქმნის მიგრაციული ქსელის ფორმირებას, რაც ასუსტებს მიგრაციის ბარიერებს და კიდევ უფრო აძლიერებს იმიგრაციულ ტალღას.

კუმულაციური მიზეზობრიობის თეორიამიგრაციული ქსელების თეორიის თავისებური განვითარებაა.

მიგრაციული სისტემების თეორია შრომის მსოფლიო ბაზრის, მსოფლიო სისტემებისა და კუმულაციური მიზეზობრიობის თეორიების გაერთიანებაა.

ორიათწლეულის მანძილზე მიმდინარე თეორიული და ემპირიული კვლევები შეჯამდა სინთეზურ თეორიაში. დუგლას მასეი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საერთაშორისო შრომით მიგრაციას განაპირობებს არაცალკეული ფაქტორები, არამედ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა თეორია ერთად.

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის ბუნებრივ ნაწილი და, ორმხრივ სარგებლის მიღებაზე დაფუძნებული კაპიტალისა და საქონლის ნაკადების მსგავსად, ისიც მოითხოვს როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები ქვეყნისთვის მოგების მაქსიმიზაციასა და ხარჯების მინიმიზაციაზე ორიენტირებას.

საქართველოში არსებული ემიგრაციის ამსახველი მონაცემები ნაკლებ სანდოობით გამოირჩევა. ეს გარკვეულწილად გამოწვეულია სტატისტიკური აღრიცხვიანობის დაბალი ხარისხით და გარე მიგრაციის ხასიათით, რაც უაღრესად რთულ, ზოგ

შემთხვევაში კი შეუძლებელსაც კი ხდის მიგრაციული პროცესების ზუსტ აღრიცხვას. ამასთან ერთად, როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს მოქალაქეთა გარე მიგრაციის აღრიცხვიანბის შესახებ, თავს იჩენს სხვა პრობლემაც. მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდობლობით ეკიდება ინტერვიუერთა კითხვებს, რომელიც მიგრაციას ეხება. როგორც 2002 წლის საყოველთაო აღრიცხვა ცხადყო, სპეციალურად ამ აღწერისთვის შემუშავებულმა კითხვარმა არ „იმუშავა“.[2]აღწერის შედეგად მიღებული ემიგრანტების რაოდენობა ნაკლებად სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ. ამიტომ, როდესაც საქართველოში მიგრაციის სტატისტიკაზე საუბრობენ, თითქმის ყოველთვის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად იშველიებენ საექსპერტო გაანგარიშებებს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში, საგრძნობლად განსხვავდება ოფიციალური მონაცემებისაგან.

1989-2001 წლებში საქართველოდან გარე მიგრაციის სალდოს დასადგენად ა. ვადაჭკორია ირიბ მეთოდს იყენებს და ადგენს, რომ „გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ აღწერათაშორის პერიოდში (1989-2001) სულ 928,6 ათასი შეადგინა“.[3] გ. წულაძისა და გ. მგელაძის შეფასებით, 1990-1996 წლებში გარე მიგრაციის სალდომ 106 ათასს მიაღწია, რ. გაჩეჩილაძის აზრით ამავე პერიოდისათვის საქართველოდან 620 ათასი ადამიანი გავიდა, ხოლო თ. გუგუშვილის შეფასებით 1990-1997 წლებში გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 829 ათასს უტოლდება.[4]განსხვავებები საექსპერტო შეფასებებს შორის საკმაოდ დიდია, მაგრამ ყველა მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოდან გაცილებით მეტი ადამიანია გასული, ვიდრე ეს აღწერის შედეგად დადგინდა. ცხადია, რომ იმის გაგება, თუ რეალურად რამდენმა ადამიანმა დატოვა საქართველო ამ წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება. ამავდროულად ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება, გარე მიგრაციული პროცესების შესწავლის მიზნით რეპრეზენტატული შერჩევის აგება, რადგან, არ არსებობს მონაცემები გენერალური ერთობლიობის შესახებ, რაც გარკვეულ წილად ეჭვქვეშ

[2]ა.გ. ვადაჭკორია, გარემიგრაციულიპროცესებისაქართველოში (1989-2002 წლები). გვ.46
[3]ა.გ. ვადაჭკორია, გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში (1989-2002 წლები). გვ.52
[4]საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თომა (თამაზ) გუგუშვილი. თბილისი 1998 წ. გვ.47

აყენებს საქართველოში ჩატარებული გარე მიგრაციის რაოდენობრივი კვლევების შედეგების სანდოობას.

1.2 მიგრაციული პროცესების კლასიფიკაცია

მიგრაციული პროცესები კლასიფიცირდება ერთგვაროვნების მიხედვით სხვადასხვა მოვლენის, პროცესის უკეთ დანახვის და ანალიზის მიზნით. მიგრაციულ პროცესებს სხვადასხვა ნიშნით ალაგებენ. მიგრაციულ პროცესებს ქმნის მიგრანტები, რომლებიც ერთმანეთისგან სხვადასხვა ნიშნის მიხედვით განსხვავდებიან. მიგრანტი არის პირი, ვინც გადალახა ამა თუ იმ ტერიტორიის (პირობითად, დასახლებული პუნქტი) საზღვარი საცხოვრებელი ადგილის მეტ–ნაკლები ხანგრძლივობით მუდმივი ან დროებითი შეცვლის მიზნით.

მიგრანტები შეგვიძლია გარკვეული კლასიფიკაციის მიხედვით დავაჯგუფოთ.

ტერიტორიული მომცველობის მიხედვით

●შიგა

●გარე (საერთაშორისო) მიგრაცია

მიგრაციის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მიხედვით

● ნებაყოფლობითი

● იძულებითი

საქმიანობის ძირითადი მიზნის მიხედვით

● შრომითი მიგრაცია

● საგანმანათლებლო მიგრაცია

● სამომხმარებლო მიგრაცია

მიგრაციის ხანგრძლივობის მიხედვით

●მუდმივი

●დროებითი

●სეზონული

● ქანქარისებური

კანონმდებლობასთან მიმართებაში

● ლეგალური

● არალეგალური

● კანონიერი

● უკანონო

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს შრომითი მიგრაციის ტიპოლოგიაზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს მიგრაციას როგორც ნებაყოფლობითს, დროებით ანუ დაბრუნებადობას და ეკონომიკურ მოტივირებულობას.

ცნობილია, რომ მიგრაცია თავისი სივრცობრივი მოძრაობის ყველა ფორმით მრავალასპექტიანი სოციალური პროცესია და იგი რეალურად, პირდაპირ თუ ირიბად დაკავშრებულია კონკრეტული ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტთან. აღიარებულია მიგრაციის გამომწვევი ორი ფორმა: ნებაყოფლობითი, რომელსაც საფუძვლად უდევს პიროვნების მიერ მიღებული გადაწყვეტილება საცხოვრებელი ადგილიდან დროებით გადაადგილების ან მისი სამუდამოდ შეცვლის თაობაზე. რათა შექმნას უკეთესი ცხოვრების პირობები ან უფრო მეტად დაიკმაყოფილოს პირადი თუ ოჯახური მოთხოვნილებები, მეტი რეალიზაცია მისცეს საკუთარ უნარს თუ პროფესიონალიზმს, იცხოვროს უკეთეს ბუნებრივ გარემოში და ა.შ. და იძულებითი რომლის გამომწვევ ფაქტორებს მიეკუთვნება ხელოვნურად შექმნილი ან სტიქიური მოვლენისგან წარმოშობილი პირობები, რომლებიც ქმნიან ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის წინაპირობებს (ომი, ეთნიკური თუ პოლიტიკური დაპირისპირებები, სოციალურ-ეკონომიკური და ა.შ.).

შედეგად იძულებითი მიგრაცია რეალიზდება ორი მიმართულებით: ქვეყნის შიგნით

და ქვეყნის გარეთ.

თუ გადავხედავთ 1987-1997 წლების საქართველოს, მიმდინარეობდა ძალზე მასშტაბური და ქაოსური მიგრაციული პროცესები. ამის ძირითად წინაპირობად მიჩნეული უნდა იქნეს:

● არამყარი პოლიტიკური სიტუაციები, იარაღით დაპირისპირება, ფარული აგრესია გარედან, ქვეყნის მომავალ აღმშენებლობაში გაურკვევლობა, სოციალურ-ეკონომიკური ნგრევის პერიოდის გახანგრძლივება.

● მოსახლეობის ცხოვრების დონის მასიურად და თანაც კატასტროფული ტემპით დაქვეითება ე.წ. სოციალისურიდან კაპიტალისტურ ფორმაციაში გადასვლის სტრესული შედეგები.

● ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისა თუ პოლიტიკური დაპირისპირებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უზარმაზარი რაოდენობა მოწყვეტილი საკუთარ სახლ-კარს, სამუშაო ადგილს და მათი თავიანთ საცხოვრებელში უკუმიგრაციის და რეაბილიტაციის გაჭიანურება.

● ეროვნული ცნობიერების გაუფასურების წინაპირობა, რამაც გამოიწვია მასიურად სტიქიური ემიგრაცია. ასეთი მასშტაბების ემიგრაცია არა მხოლოდ განვლილი ათ წლიანი პერიოდის სირთულეების, არამედ 70 წელზე მეტი ე.წ. „საბჭოთა ძმურ ოჯახში“ ეროვნული ცნობიერების გაუფასურების შედეგია.

● ასევე, ის რომ დღემდე სახელმწიფოს ფორმირების მთელი სიმძიმეები თუ იდეოლოგიური ფონი გადატანილი იქნა ეკონომიკაზე და მან მიიღო 80-იანი წლების კომუნისტური ლოზუნგის „ეკონომიკა ეკონომიკური უნდა იყოს“ შინაარსი, მაშინ როცა, „ სახელმწიფოს დემოკრატიული პოლიტიკა ნიადაგ უნდა ეყრდნობოდეს ღრმა სულიერ და არაეკონომიკურ საფუძლებს, ვინაიდან მყარი და სტაბილური ეკონომიკა მხოლოდ სულიერი წიაღსვლათა გზით მიიღწევა“.

მიგრაციის მრავალ საკითხთა შორის, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდ ინტერესს გარე მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები იწვევს. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს გარე მიგრაციის შედეგად ეთნიკური სტრუქტურის ცვლილებები.

საქართველოში არააბორიგენთა ჩამოსახლების პროცესი საქართველოს ცალკეული მხარეების კოლონიზაცია მე-19 საუკუნეში ინტენსიურად მიმდინარეობდა, მაგრამ

ტემპი განსაკითრებით გაძლიერდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, ინდუსტრიალიზაციისა და დიდი სოციალური გარდაქმნების ეპოქაში. ამ დროს ნახტომისებურად გაიზარდა მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა როგორც საერთოდ, ისე სსრკ ერთი რესპუბლიკიდან მეორეში. განაპირა მხარების ეკონომიკური აღმავლობა დემოგრაფიული ექსპანსიის თავისებური სტიმულატორი გახდა, რაც ბოლო საუკუნეებში რუსეთის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა. მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის ცვლილება მე-19 მე-20 საუკუნეებში. ამ დროს ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა არაქართველთა ემიგრაციის გამო მატულობდა. ეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ხანაა.[5] (ცხრილი 1)

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის ცვლილება XIX – XX საუკუნეებში (%)

ეროვნება	18(	189	192	193	195	197(	197	199(
ქართველი	79	69,4	66,8	61,4	64,3	66,8	68,8	70,1
სომეხი	6,0	10,3	11,5	11,7	11,0	9,7	9,0	8,1
რუსი	-	5,3	3,6	8,7	10,1	8,5	7,4	6,3
აზერბაიჯანელ	3,8	4,2	5,4	5,3	3,8	4,6	5,1	5,7
ბერძენი	0,1	2,0	2,0	2,4	1,8	1,9	1,9	1,9
ებრაელი	0,4	0,9	1,1	1,2	1,3	1,2	0,6	0,5
ოსი	3,7	4,2	4,2	4,2	3,5	3,2	3,2	3,0
აფხაზი	6,6	2,2	2,1	1,6	1,6	1,7	1,7	1,8
დანარჩენი	0,0	1,5	3,3	3,5	2,6	2,4	2,3	2,6
სხვა	10(	100	100	100	100	100	100	100

ცხრილი 1

[5]საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი. თბილისი 1996 წ. გვ.6

გარე მიგრაციის გავლენით მე-19 მე-20 საუკუნეების სხვადასხვა პერიოდებში ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა საქართველოში 61-80%-ის ფარგლებში ვარირებს.შეიძლება გამოიყოს ორი პერიოდი: როცა იმიგრაციის გავლენით მცირდებოდა ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა თავის სამშობლოში, ესაა მეორე მსოფლიო ომამდელი ხანა, და მეორე პერიოდი, როცა ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა არაქართველთა ემიგრაციის გამო მატულობდა. ეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ხანაა.

რესპუბლიკის დემოგრაფიული და შრომითი პოტენციალის სიდიდეზე იმდენად გარე მიგრაციის საერთო ინტენსივობა არ მოქმედებს, რამდენადაც მიგრაციულ ნაკადთა, იმიგრანტთა და ემიგრანტთა თანაფარდობა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ეს თანაფარდობა საკმაო სიმყარით ხასიათდებოდა, მხოლოდ 1988 წლის შემდგომ მოხდა თანაფარდობის მეყსეული ცვლილება, მიგრაცია ცალმხრივი, გარეთ მიმართული ხასიათის გახდა. თუკი რესპუბლიკაში ჩამოსულთა და წასულთა თანაფარდობა 1959-1988 წლებში უდრის 1:1,3; 1992 წლისთვის უკვე 1:3,9 გახდა. ბოლო ხანს კიდე უფრო გაიზარდა მიგრაციის ცალმხრივობის ხარისხი, აღნიშნული ტენდენციები დამახასიათებელია, როგორც ქალაქის ისე სოფლის მოსახლეობისთვის. თუმცა ცალმხრივობის ხარისხი სოფლის მოსახლეობის გარე მიგრაციაში შედარებით ნაკლებია.[6](ცხრილი 2)

საქართველოდან წასულ და ჩამოსულ მიგრანტთა თანაფარდობა 1959-1992 წწ.

	სულ		ქალაქ		სოფლა		
წლებ	ყოველ 100 წას ჩამოვიდა კ	ანაფარდობა წასუ და ჩამოსულებს შ	ყოველ 1 სულზე ჩამ კაცი	თანაფარდ წასულებს ამოსულებს	ოველ 100 წას ჩამოვიდა,	თანაფარდ წასულებსა ჩამოსულებს შ	
1959-19	80	1,3	80	1,2	78	1,3	

[6]საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი. თბილისი 1996 წ. გვ.12

1969-19	78	1,3	85	1,2	58	1,7	
1959-19	80	1,3	83	1,2	69	1,5	
1979-19	80	1,3	90	1,1	55	1,8	
1989	69	1,4	79	1,3	49	2,1	
1990	63	1,6	69	1,5	51	2,0	
1991	42	2,4	41	2,4	47	2,1	
1992	26	3,9	25	4,0	31	3,2	
1993	29	3,4	-	-	-	-	
1989-19	47	2,1	-	-	-	-	

ცხრილი 2

მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული პროცესები საბჭოთა კავშირის დაშლამდე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიმდინარე პროცესები უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ, მის საზღვრებში, არამედ ემიგრაციული პროცესების თვლასაზრისითაც.

საქართველოს გარე მიგრაციულ პროცესებს 70-იანი წლებიდან მოყოლებული ე.წ. უარყოფითი სალდო ახასიათებს და ამ პროცესში მეტი ხვედრითი წილით არამკვიდრნი, ძირითადად რუსები, გამოირჩეოდნენ. დაახლოებით 70-იანი წლებიდან საქართველო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში თავისი ცხოვრების მაღალი დონით გამოირჩეოდა, ამას ემატებოდა ისიც, რომ უფრო მეტად შეზღუდული იყო არამკვიდრთა და განსაკუთრებით რუსების მოქმედების მასშტაბი და ინტეგრაციის პირობები, რაც განსაზღვრავდა მათ ემიგრაციას.

საბჭოთა კავშირის საყოველთაო აღწერის მიხედვით, რომელიც 1989 წელს ჩატარდა, დადგინდა, რომ საბჭოთა კავშირში მოსახლეობა შეადგენდა 286,7 მლნ კაცს.

ამასთან, საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა შეადგენდა 5.443.359 კაცს.[7] (ცხრილი 3)

	რიცხოვნობა, მლნ კაცი				**საშუალო წლიური ზრდის ტემპი (%)**		
	1959	1970	1979	198	1959-69	1970-78	1979-8
მთელი მოსახლე	208,8	241,7	262,4	286	1,3	0,9	0,9
ქალაქის	100,3	136,0	163,0	188	2,8	2,1	1,4
სოფლის	108,8	105,7	98,8	97	-0,3	-0,7	-0,1

ცხრილი 3

მიგრაციის კლასიფიკაციიდან გარე მიგრაცია, ერთ-ერთი მნიშნელოვანია. როგორც უკვე ვთქვით, არსებობს სხვადასხვა გამოთვლები შესაბამისი სალდოს გამოანგარიშებისთვის.

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაცია 1990-1996 წწ. (ათასი კაცი)

წლებ	**საქართველოს სტატისტიკის სახელმ დეპარტამენტის მონაცემები**			**გაანგარიშებებით**		
	ჩ ჩამოვი	წავიდ	სალდ	ჩამოვიდ	წავიდ	სალდ
1990	20,3	59,0	-39,0	27,2	42,9	-15,7
1991	16,6	60,6	-44,0	20,9	49,5	-28,6
1992	8,0	49,6	-41,6	50,0	305,0	-255,0
1993	12,6	42,9	-30,3	74,0	264,0	-190,0
1994	12,7	44,2	-31,5	79,0	277,0	-198,0
1995	5,7	25,9	-20,2	70,0	246,0	-176,0

[7] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%93_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D_%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90_1989

1996	1,2	12,9	-11,7	57,0	200,3	-143,0
1990-19	76,8	295,1	-218,3	378,1	1384,4	-1006,3

განვიხილოთ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები:

- მასში ნაწილობრივ არის ასახული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მაჩვენებლები (მოცემულია ახალგორის და რიგირ ქართული სოფლების მონაცემები).
- მასში არ არის ასახული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ემიგრაციის შესახებ მაჩვენებლები.
- მიგრაციული სალდოს გაანგარიშებებში მხოლოდ წარსულის დინამიკური კანონზომიერებებია ასახული.
- თითქმის მიუღებელია ჩამოსვლა-გასვლის რიცხობრივი მაჩვენებლები, რადგან იგი არ ასახავს რეალურად მიმდინარე პროცესების თავისებურებებს
- მიგრაციის სალდოს მაჩვენებელი, ძალზედ დაბალია და რეალობას მხოლოდ 25-30%-ით ასახავს.
- ფაქტობრივად, 1997 წლის პირველი იანვრისათვის 1 000 000 მეტი ადამიანი იმყოფებოდა ემიგრაციაში და რეალურად გარე მიგრაციის ინტენსივობის და არა მექანიკური მატების სალდოს მაჩენებელია.

ასეთი უარყოფითი სალდო შეინიშნებოდა საბჭოთა კავშირში ემიგრაციის მკვეთრად შეზღუდულ პირობებშიც კი, თუმცა იმ პერიოდში საქართველო საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს შორის პირველ ადგილზე იყო ცხოვრების დონის მაჩვენებლით.[8] ქვეყნის შიგა ტერიტორიული გადაადგილებები მეტად მნიშნელოვანია, სადაც გამოიყოფა დასაქმებისა და შემოსავლების მიღების მიზნით ქვეყნის ერთი რეგიონიდან მეორე რეგიონში გადაადგილება. საქმე ისაა, რომ ქვეყანაში სამუშაო ადგილები და სამუშაო ძალა, შრომითი რესურსები უთანაბროდაა განაწილებული, ერთგან შედარებით მეტია, მეორეგან კი- შედარებით ნაკლები. უფრო მეტიც, სამუშაო ძალის დასაქმების ეფექტიანობა, დასაქმებიდან შემოსავლები, თუნდაც ერთი და იგივე პროფესიის და კვალიფიკაციის მუშაკებისა, სხვადასხვა რეგიონში მკვეთრად განსხვავდება.

[8]საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თომა (თამაზ) გუგუშვილი. თბილისი 1998 წ. გვ.49-50

საქართველო მისი ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად შრომის მწარმოებლურობის დიდი დიფერენციაციით გამოირჩევა. იგი ე.წ. მრავალრეგიონიანი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. მსოფლიო მასშტაბით ასეთი პატარა ქვეყნის მრავალრეგიონიანობით გამოწვეული თავისებურებანი იშვიათია. ვერტიკალური ზონალობა, რთული მთიანი რელიეფი, ისტორიული ეთნიკური განსხვავებები ქმნიან ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ დემორეგიონებს, რთულ ადმინისტრაციულ სიჭრელეს, რომლებიც ეკონომიკური განვითარების დონით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. ეს ურბანიზაციის პროცესს ქვეყანაში თავის მკვეთრ კვალს აჩნევს, რაც მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის თავისებურებებში ვლინდება. ახალი ინვესტიციების ეფექტიანობაც მეტად განსხვავებულია ბარისა და მთის, რთული რელიეფისა და ვაკე რეგიონებში. ყოველივე ეს კი მიგრაციის სტიმულატორი ხდება. მიგრაცია შეიძლება იყოს მუდმივი, შესაძლოა დროებითი, შრომითი ხასიათის.[9] შორეულ წარსულში საქართველოს ცალკეული და განსაკუთრებით მთიანი რეგიონებისთის, რომლებიც გამოირჩეოდნენ და დღესაც გამოირჩევიან აქტიური დემოგრაფიული განვითარებით, დამახასიათებელი იყო, ყოველგვარი ხელოვნური ჩარევების გარეშე, მოსახლეობის ჭარბი ნაწილის რეგიონს გარეთ მიგრაციის ხარჯზე „დემოგრაფიული თვითრეგულაცია“. საბჭოთა პერიოდში მიგრაციული პროცესები მოექცა ე.წ. „გეგმიურ ჩარჩოებში“, რომლის შედეგად ასეთ რეგიონებში მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ მკვეთრად გაზარდა „დემოგრაფიული დაწოლა“ ტერიტორიაზე, გამოიწვია არარაციონალური ბუნებათსარგებლობა. ყოველივემ დააჩქარა ისედაც სუსტი მდგრადობით გამორჩეული მთის ეკოსისტემების ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა და ბუნებრივი სტიქიური მოვლენების საფუძველი შექმნა.[10] ეკოლოგიური მიგრაციების მასშტაბის მიხედვით, ორი პიკი გამოიყოფა: 1987 წლის, რომელიც სვანეთ-აჭარის და 1991 წლის, რომელიც რაჭა-ლეჩხუმის და იმერეთის რეგიონებს შეეხო.

დღემდე არ არსებობს შიდა მიგრაციული პროცესების მართვის მეცნიერულად

[9]შრომითი მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი, ნათია ჭელიძე. თბილისი 2015 წ. გვ 133
[10]საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თომა (თამაზ) გუგუშვილი. თბილისი 1998 წ. გვ.57

დასაბუთებული კონცეფცია და შესაბამისი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც პროცესის მართვაში უნდა იგულისხმებოდეს პოტენციური- „დემოგრაფიულად გაჯერებული“ რეგიონების გამოვლენა და ამ რეგიონებიდან მიგრაციული ნაკადების საქართველოს განსახლების ეროვნული სტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით წარმართა.

1991 წლამდე, ამ მიმართებით არსებული პრობლემების გადაწყვეტა ძირითადად ითვალისწინებდა ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების, სახელმწიფო ორგანიზაციების და დაწესებულებების მეშვეობით გადაწყვეტას.

1987 წლიდან მიგრაციაში მოხვედრილი მიგრანტების მნიშვნელოანმა ნაწილმა დაკარგა ადამიანი-შემქმნელის, ადამიანი-მშრომელის ფუნქცია და გუშინდელი ამაყი, გამრჯე, შრომისმოყვარე მთისა და ბარის მკვიდრი სხვისი ხელის შემყურე, უსახლკარო, გატანჯული, რწმენადაკარგული გახდა. 1987 წლიდან ეკოლოგიური მიგრანტებისთვის დაგეგმილი სახლების მშენებლობა არამხოლოდ დაუმთავრებელია, არამედ ის რაც 1992 წლამდე აშენდა უმეტესად გაპარტახებულია. მიგრაციაში მყოფთა ნაწილი ისევ დაბრუნდა საცხოვრებლად ძველ რეგიონში.

ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს 1987 წელს დაწყებული ეკოლოგიური მიგრაციები მოიცავს ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისაგან დაზარალებულ აჭარისა და სვანეთის 35-40 ათას ეკოლოგიურ მიგრანტს, რომელთათვის დაგეგმილი იყო 6,6 ათასი სახლის მშენებლობა და 2,6 ათასი სახლის შესყიდვა, მათგან აშენებულია და შესყიდულია შესაბამისად 62,1 და 92,3%. მათში ჩასახლებულია ეკოლოგიურ მიგრანტთა მთელი რაოდენობის 60-65%.[11]

1987 წლიდან დაწყებული ეკოლოგიური მიგრაციების მდგომარეობა
(1991 წლის 30.05-ისთვის)

ასაშენებელი თუ შესყიდული ადმინისტრაციული რაიონები								
სახლების მაჩვენებლები	აჭარის			სულ	სვანეთის		სულ	მთლიანად
	ხულოს	შუახევის	ქედის		მესტიის	ლენტეხის		

[11]საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თომა (თამაზ) გუგუშვილი. თბილისი 1998 წ. გვ.59

1	2	3	4	5	6	7	8	9
1. დაგეგმილი გადაწყვეტილებ	3775	2227	196	6198	1801	1198	3999	9197
1.1 მშენებლობა	2482	1217	91	3790	1701	1138	2839	6629
1.2 შესყიდვა	1293	1010	105	2408	100	60	160	2568
2. აშენებული და შესყიდული	2650	1634	196	4523	1150	800	1950	6473
2.1 აშენებული	1427	654	91	2214	1084/810	757/606*	1841/1416	4055/3630*
2.2 შესყიდული	1223	980	105	2309	66	43	109	2418
3. ჩასახლებულთა რაოდენობა (კ	10906	8048	827	19750	3500	2500	6000	25750
4 ესრთ სახლში ჩასახლებულ საშუალო რაოდენობა (კაცი	4,1	4,9	4,2	4,4	4,0	3,8	3,9	4,2

*) - შესაძლებულია

შენიშვნა:

● სვანეთიდან ეკოლოგიურ მიგრაციასთან შედარებით აჭარისა, აღრიცხვიანობის მიხედვით, უფრო მოწესრიგებულია. ამიტომ სვანეთის მაჩვენებლები უფრო მეტად გაანგარიშებულია

● აჭარელთა ჩასახლების მაჩვენებელი არ გულისხმობს მათთვის აშენებულ სახლებში ჩასახლებას. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს საუწყებო სახლში

(218 ოჯახი), ნაწილი ერტად ცხოვრობენ (12 სახლში 26 ოჯახი).

ასევე ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება აჭარა-სვანეთის ეკოლოგიურ მიგრანტთა მიგრაციის მიმართულებების განხილვა. რაც შეეხება ბუნებრივი სტიქიური მოვლენების მეორე პიკს 1991 წელს, მიწისძვრა თავს დაატყდა უკვე დამოუკიდებლობააღდგენილ საქართველოს. მისი აღდგენიდან 20 დღის შემდგომ და მოიცვა რაჭა-ლეჩხუმის (ონის, ამბროლაურის, ცაგერის რაიონები), იმერეთის (საჩხერის, ჭიათურის, ტყიბულის, ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის რაიონები), შუა ქართლის (გორის, ქარელის, ხაშურის, ახალგორის რაიონები) რეგიონები.

დამოუკიდებელი საქართველოს მთელმა ძალისხმევამ და სწორმა პოლიტიკამ

გასნაზღვრა ზამთრის პერიოდის დადგომამდე რეგიონების მაქსიმალური რეაბილიტაცია.[12]

მნიშვნელოვანია, საქართველოს ემიგრაციული პროცესების მასშტაბურობა, და ამით გამოწვეული ურთულესი დემოგრაფიული მდგომარეობა. 1995 წლიდან უკვე მნიშნელოვანი გახდა სხვადასხვა საკანონდებლო ბაზების რეგულირება მიგრაციის პოლიტიკასთან დაკავშირებით. უკვე 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მიღებულ იქნა ისეთი ფუნდამენტური მნიშნელობის დოკუმენტი, როგორიც არის „საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია“.[13]

„საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციის შესახებ“ ბრძანებულებაში ნათქვამია: „საქართველოს სახელწიფოებრივი აღმშენებლობის, ქვეყნის უშიშროების, საერთაშიორისო ავტორიტეტის და სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცების, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების მიზნით“

- კონცეფცია საფუძლად უნდა დაედოს მიგრაციული პროცესების მართვის სისტემის შექმნას, ამ სფეროში სათანადო საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებისა და პროგრამების მომზადებას, სახელწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციების განსაზღვრას და მათი საქმიანობის კოორინაციას.
- კონცეფციის დებულებები გათვალისწინებულ უნდა იქნას სახელმწიფო ბიუჯეტის, საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების შემუშავებისას, საერთაშორისო შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა მომზადებისას.
- საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფო კომისიასთან და შესაბამის სამინისტორებთან და უწყებებთან შეთანხმებით უნდა უზრუნველყოს, რომ მიგრაციის სფეროში ადრე მიღებული საკანონმდებლო აქტები და სხვა დოკუმენტები შეესაბამებოდეს საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციას.

---

[12]საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თომა (თამაზ) გუგუშვილი. თბილისი 1998 წ. გვ.59

[13]საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თომა (თამაზ) გუგუშვილი. თბილისი 1998 წ. გვ.239

ის პირები, რომლებიც დიდი სიხშირით კვეთენ საზღვარს და დაკავებულნი არიან საქონლის ყიდვა–გაყიდვით, არ ითვლებიან შრომით მიგრანტებად, თუმცა ითვლებიან ეკონომიკურ მიგრანტებად. იმიტომ რომ ამ დროს არ ხდება სამუშაო ძალის ყიდვა–გაყიდვის აქტი და მიგრანტს არ ქირაობს სამუშაო ძალის საზღვარგარეთელი დამქირავებელი.

შრომითი მიგრანტების რამდენიმე ძირითადი კატეგორია გამოიყოფა: სეზონური მუშა–მიგრანტები, შრომითი მიგრანტები, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტულ პროექტს, კონტრაქტით მომუშავენი, დროებითი შრომითი მიგრანტები, დამკვიდრებადი მიგრანტები, მეტად მაღალკვალიფიციური მიგრანტები. ძალიან ხშირია, როცა დროებითი შრომითი მიგრაცია იღებს დაუბრუნებელ ხასიათს, იგი კარგავს მისთვის დამახასიათებელ დაბრუნებადობის ნიშანს და გარდაიქმნება ე.წ. შრომითმიგრაციას განასხვავებენ ეკონომიკური მიგრაციისგან და ამ განსხვავებაშიც თავს იჩენს კვლავ სიტყვა დროებითი, რადგან ეკონომიკური მიგრაცია შეიძლება იყოს მუდმივიც, რაც დაკავშირებულია იმიგრანტ-ინვესტორებთან და ტრანსნაციონალურ კორპორაციების შექმნასთან.ხშირად შრომითი მიგრაცია ახსნილია, როგორც მიგრანტთა რაციონალური არჩევანი, როდესაც იციან გადაადგილების და ნახარჯები და მისგან მიღებული შესაძლო მოგება. იგი შრომის ანაზღაურების ყველაზე ხელმისაწვდომ საშუალებად განიხილება.

შრომითი ემიგრაცია არის გარკვეული დროით (როგორც წესი, 3 თვეზე მეტი) საზღვარგარეთ დასაქმება შემოსავლის მიღების მიზნით. იგი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისგან თავდაღწევის მოქნილი სოციალური სტაბილიზატორია, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაა. შრომის საერთაშორის ოორგანიზაცია (შსო) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (მსო) შრომით მიგრაციას განსაზღვრავს, როგორც «მოსახლეობის გადაადგილებას მშობლიური ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში დასაქმების მიზნით”. შსო ასამბლეამ 1990 წლის 18 აპრილს მიიღო კონვენცია «ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ», რომლის თანახმადაც ტერმინი «შრომითი მიგრანტი» აღნიშნავს პირს, რომელიც იმუშავებს, მუშაობს და

მუშაობდა ანაზღაურებად სამუშაოზე სახელმწიფოში, რომლის მოქალაქედაც ის არითვლება. შრომით მიგრანტებს კონვენცია მიაკუთვნებს დაქირავების გარეშე, თვითდასაქმებით მომუშავე მიგრანტებსაც, რამდენადაც აღნიშნული ფორმა მეტად ფართოდაა გავრცელებული დსთ-ს ქვეყნებში და მთელ მსოფლიოში.[14]

სხვადასხვა მეცნიერული განმარტებების შეჯამებისას მივიღებთ შრომითი ემიგრაციის თანამედროვე დეფინიციას: შრომითი ემიგრაცია არის გარკვეული დროით საზღვარგარეთ დასაქმება შემოსავლის მიღების მიზნით. ეს, როგორც წესი, 3 თვეზემეტ დროს მოითხოვს. შრომითი ემიგრაცია ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისგან თავდაღწევის მოქნილი სოციალური სტაბილიზატორია. იგი პროფესიული ცოდნისა და კულტურის გაზიარების საშუალებაა. სამუშაო ძალის ტრანსასაზღვრო გადაადგილება ძირითადად ეკონომიკურ ხასიათს ატარებს. იგი როგორც წესი, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა მატულობს ისეთი ხარჯები როგორიცაა ინფრასტრუქტურის ხარჯები. რეგიონებში მოსახლეობის განაწილების პრობლემები და მათი სოციალური მახასიათებლები უფრო და უფრო იცვლება. იკლებს მოსახლეობის განაწილების სისწორე, მათი შემოსავლების დონე იცვლება და ა.შ. მიკროეკონომიკის დონეზე ჩატარებული გამოკვლევები ავლენენ ისეთ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ მიგრაციის შესახებ წინასწარ ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებას, ესენია: 1. უმუშევრობა, არასრული დასაქმება; 2. მცირე შემოსავალი; 3. ქვეყნებს შორის შრომის ანაზღაურებაში დიდი განსხვავება; 4. სულ უფრო მზარდი ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები; 5. გაუმჯობესებული კომუნიკაციები და სატრანსპორტო მომსახურების ფინანსურად ხელმისაწვდომობა; 6. აგენტების, დამქირავებლებისა და ადვოკატების ინსტიტუციონალიზებული და კომერციალიზებული ქსელების აქტივიზაცია; 7. სოფლად გაჩენილი ჭარბ მოსახლეობა; 8. უმაღლესი განათლების მქონეს პეციალისტთა ზეჭარბ წარმოება და თანამედროვე ტექნოლოგიებთან პროფესიული მომზადების შეუსაბამობა; 9. ქვეყნის მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე; 10. დემოგრაფიულად დაბერებულ ქვეყნებში მუშა ხელზე

[14]შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში. ნათია ჭელიძე. თბილისი 2006 წ. გვ 6

მოთხოვნის ზრდა; 11. მდიდარი და ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობების სულ უფრო მზარდი განსხვავება; 12. ეკონომიკის გლობალური ინტეგრაცია და ა.შ.

მეტად საინტერესო და რთული ამოცანაა შრომითი მიგრაციის, როგორც მოვლენის, პლუსების და მინუსების შეფასება. რატომღაც მის დადებით ეკონომიკურ როლზე აქცენტი ნაკლებადაა გამახვილებული, უარყოფითზე კი (გადასახადების შემცირების მიზნით შემოსავლების დამალვა, კრიმინალური ვითარების გამწვავება, არალეგალურ დასაქმებასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი სიძნელეები და სხვა) ბევრს წერენ და საუბრობენ. სამუშაო ძალის ექსპორტის შედეგად სახელმწიფოები იღებენ მნიშვნელოვან შემოსავალს ვალუტის სახით.[15] იგი გამოიხატება ემიგრანტთა გზავნილების ფორმით. ქვეყნის ეკონომიკაზე გზავნილების გავლენა შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: შემოსავლების მიღება, წარმოების ხელშეწყობა, შესაძლო ინფლაცია, რისკების ზრდა; მას ცვლილებები შეაქვს სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურაში, შრომის ბაზარსა დასოფლის მეურნეობაში, არის პოტენციური განვითარების წყარო და ა.შ. 2001 წელს ინდოეთის შიგაეროვნული პროდუქტის 14% გზავნილებზე მოდიოდა, მექსიკასა და ეგვიპტეში _8,4%, საბერძნეთში _5,6%, ტაჯიკეთში _7,7%, მოლდავაში _14,3%.

დონორი ქვეყნებისათვის მეტად სავალალოა ინტელექტუალური სამუშაო ძალის გადინება _ დღეს მსოფლიოს შრომის ბაზრის უდიდესი ცენტრები იზიდავენ უმეტესად უკვე კვალიფიცირებულ, უმაღლესი ტექნოლოგიების სპეციალისტებს. გამგზავნი ქვეყანა კი კარგავს ყველაზე ენთუზიასტ და უნარიან ახალგაზრდობას, მათ პროფესიულ მომზადებასა და განათლებაზე გაწეულ დანახარჯებს. ამ დროს ორი სახის ეფექტი იკვეთება: დემოგრაფიული და სოციალური.

დემოგრაფიული ეფექტიისაა, რომ ემიგრაციამ გამგზავნ ქვეყანაში შეიძლება შეამციროს მოსახლეობის სიმჭიდროვე და ის პრობლემები, რომლებიც ზრდასრული მუშა ხელის დაკმაყოფილებას ესაჭიროება. მაგრამ ამ დროს იზრდება დამოკიდებული მოსახლეობის (ეკონომიკურად არააქტიური) _ბავშვთა და

[15]შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში. ნათია ჭელიძე. თბილისი 2006 წ. გვ.7

ხანდაზმულთა_ ხვედრით იწილი. ზოგი ქვეყანა შეიძლება დეპოპულაციის საფრთხის წინაშეც კი დადგეს.
სოციალური ეფექტი _ სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს ახალ უფრო კულტურულ გარემოში შეძენილი ღირებულებები და ჩვევები თან ჩამოაქვთ. ახალი ცოდნის შეძენისა და სამშობლოში ჩამოტანილი სიმდიდრის გამო მათ უფრო მეტ პატივსაც სცემენ.
შრომით მიგრაციაში ერთ–ერთი მთავარი კითხვაა: რატომ მიგრირებენ ადამიანები? ერთი შეხედვით პასუხი მარტივია, თუმცა არსებობს მრავალი მოსაზრება ამის შესახებ. თუ გადავხედავთ ჩვენს ისტორიულ წარსულს, საკმაოდ ბევრი მიგრაციის მომენტი ფიქსირდება. საკმაოდ გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ ადამიანებს უჭირთ საკუთარი ქვეყნის დატოვება. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ამერიკაში მიდიოდა. 1921 წელს ლტოლვილების დიდი ნაკადი ჩავიდა ამერიკაში. მას შემდეგ რაც საბჭოთა რუსეთმა საქართველო დაიპრყო 200-300 ოჯახი გადასახლდა. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ემიგრანტების დიდი ნაწილი წავიდა ამერიკაში. ესენი ძრითადად სამხედრო ტყვეები და ევროპაში ომამდე მოხვედრილი ქართველები იყვნენ. მათ ეშინოდათ საბჭოთა რეპრესიული მანქანის, განსაკუთრებით ტყვეებს ეშინოდათ რადგან აწამებდნენ, საკვები არ ჰქონდათ და ა.შ. არსებობს გარკვეული ჩანაწერები, სადაც ნიუ იორკში, გერმანიაში, ვაშინგტონში მცხოვრები ქართველები თავიანთ მოსაზრებებს გამოხატავდნენ ემიგრანტობასთან დაკავშრებით. ზოგიერთი ახალგაზრდად გრძნობდა თავს და ხუმრობად ეჩვენებოდათ არსებული მდგომარეობა. გერმანიაში მცხოვრებლები ამბობდნენ რომ ყველანაირი სამუშაო ადგილის გარეშე ცხოვრობდნენ ზოგჯერ, თუმცა მაინც ცხოვრობდნენ. ზოგიერთმა ემიგრანტმა ქართველმა საკუთარი ნიჭით დაიწყო ცხოვრება და გაითქვა სახელი მთელს მსოფლიოში. მათ რიცხვს მიეკუთნება კონსტანტინე სიდამონ ერისთავი- გარემოს დაცვის სამსახურში, ალექსანდრე ქართველიშვილი- ავიამშენებლობის დარგში, დიმიტრი ჯორჯაძე როგორც პროფესიონალი ავტომრბოლელი, გიორგი მაჩაბელი პარფიუმერული კომპანია Prince Matchabeli, გიორგი პაპაშვილი ავტორი წიგნისა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რომელიც 20 ენაზე ითარგმნა, გიორგი

ბალანჩივაძე, როგორც დიდი ხელოვანი ადამიანი ბალეტის სფეროში. მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭითა და უზადო მშვენიერებით მოხიბლა ამერიკა თამარ თუმანიშვილმა. გარდა ამისა, სალვადორ დალის შემოქმედებაში შევხვდებით ქართველი არჩილ გურიელის პორტრეტს. გენერალი ჯონ მალხაზ შლიკაშვილი იყო აშშ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე. მრავალმხირივი წარმატებები იყო მეცნიერებაში, ბიზნესში, ხელოვნებაში, სპორტში.

1994 წელს რეზო ჩხეიძის თაოსნობით ჩატარდა ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი, რაც გულისხმობდა უცხოეთში გადახვეწილ ქართველ მამულიშვილთა თავმოყრას მშობლიურ მიწაზე. ერთ-ერთი მნიშნელოვანი ფაქტია ის, რომ ქალები უფრო მეტად სიძიერეს ამჟღავნებდნენ კაცებთან შედარებით. მე-20 საუკუნის მიწურულს, როდესაც გაჩაღდა ხელოვნურად შექმნილი ომი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ქართველი დედები თვიანთი შილების დასახმარებლად მიემგზავრებოდნენ უცხოეთში, ყველანაირი ცოდნისა და გამოცდილების გარეშე. კაცები თითქოს ფარხმალს ყრიდნენ.

დაუბრუნებელ, მუდმივ მიგრაციად. სტაჟიორები არ შეჰყავთ საერთაშორისო მიგრანტებში იმიტომ, რომ მთავარი მიზანი მათი კვალიფიკაციის ამაღლებაა და არა შრომითი შემოსავლის მიღება. თუმცა ისინი მონაწილეობენ მიმღები ქვეყნის ნაციონალური პროდუქტის შექმნაში. მაგალითად, აშშ-ში იყო პროგრამა, რომელიც მუშაკებს უფლებას აძლევდა სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში სტაჟიორად ემუშავათ. გერმანიაში არის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა. ესაა დამქირავებლისთვის მუქთი სამუშაო ძალის მიზიდვის პროგრამა, მითუმეტეს, რომ მიზიდული პირებისთვის ხარჯებს, ძირითადად, სახელმწიფო გაიღებს. ჩვენი ქვეყნის პირობებში შეუძლებელია, ცალკე არ განვიხილოთ ე.წ. უკანონო შრომითი მიგრანტების პრობლემა. რეალურად, ჯერჯერობით, ისინი წარმოადგენენ საქართველოდან შრომითი მიზნით ემიგრირებულთა დიდ მასას. საზღვარგარეთ მიემართება ჩვენი ქვეყნიდან ტურისტი, რომელიც აღარ ბრუნდება და ხდება იქ არაკანონიერი დასაქმება თავისი მრავალი უარყოფითი

გამოვლინებით.[16]

ქართველი ემიგრანტები სხვადასხვა გზით ჩადიან მიმღებ ქვეყნებში და რჩებიან იქ მუშაობის მიზნით. ეს ნიშნავს, რომ ისინი არ მონაწილეობენ ოფიციალურ შრომით ბაზარში და ერთვებიან არაფორმალურ შრომით ბაზარში, ანუ ასრულებენ ე.წ. სამი D-ის(dirty, difficult, dangerous) ტიპის სამუშაოებს და ამავდროულად იღებენ გაცილებით დაბალ ანაზღაურებას, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა. ქართველი შრომითი ემიგრანტების უფლებები არანაირად დაცული არ არის, ისინი შეიძება ექსპლუატაციის მსხვერპლი გახდნენ. თუ გავითვალისიწინებთ, რომ თავიანთი არალეგალური სტატუსის გამო ისინი წლობით ვერ ახერხებენ საქართველოში დაბრუნებას და ოჯახების მონახულებას, რომ ზოგ ქვეყანაში მათ დეპორტაციის მუდმივი შიშის ქვეშ უწევთ ცხოვრება, ქართველი ემიგრანტების ცხოვრება საზღვღგარეთ საკმაოდ რთული და სახიფათოა.

1.3 მიგრაციული სისტემები

მიგრაციული კავშირები ქვეყნებს შორის დინამიურია, იცვლება მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ. ხშირად უკვე ფორმირებული მიგრაციული კავშირები ორ ქვეყანას შორის სუსტდება ან ძლიერდება. მსოფლიოში არსებობს ქვეყანათა ჯგუფები, რომელთა შორის არის მასშტაბური მიგრაციული მიმოცვლა. „მიგრაციული სისტემები“ მკვლევრებს ეხმარება დააჯგუფონ უამრვი მიგრაციული კავშირი.

მიგრაციულ კავშრთა მაღალი ინტენსიურობა შეიძლება გამოწვეული იყოს ისტორიული ვითარებით, მაგალითად კოლონიური დამოკიდებულებით ანუ ერთ კავშირში ყოფნა. შეიძლება ამას იწვევდეს ქვეყნების მიგრაციული მიმოცვლით ეკონომიკური დაინტერესება. მაგალითად ინგლისში შრომითი ემიგრაციის დიდი მასშტაბით განვითარებას ხელი შეუწყო იმან, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს შახტებში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, სამხედრო მრეწველობაში კოლონიებიდან დიდი რაოდენობით მიიწვიეს სამუშაო ძალა. თავისთავად ფულადი გზავნილები, რომლებსაც ემიგრანტები სამშობლოში გზავნიან, შესანიშნავი ფინანსური საყრდენია ემიგრაციის ახალ–ახალი ტალღებისა.

[16]შრომითი მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი, ნათია ჭელიძე. თბილისი 2015 წ. გვ 20

ჩვეულებრივ, მსოფლიო მიგრაციული კავშირების ანალიზისას აშკარად დომინირებს 5 მიგრაციული სისტემა: 1. ჩრდილოამერიკული სისტემა; 2. ევროპული სისტემა 3. სპარსეთის ყურის სისტემა; 4. აზია–წყნარი ოკეანის სისტემა; 5. სამხრეთამერიკული სისტემა.[17]

ბოლო ხანს, ზოგიერთი ავტორი გამოყოფს ე.წ. ევრაზიულ სისტემასაცდა არცთუ უსაფუძვლოდ. სსრკ დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ფორმირდა საკმაოდ გამოკვეთილი მიგრაციული ვითარება, წარმოიქმნა მიგრაციული ნაკადები, რაც შეიძლება ცალკე სისტემად განვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, ე.წ. ევრაზიის კავშირის შექმნის კამპანიაში მიგრაციულ კავშირებს თავის როლი ენიჭებათ. მაგალითად, ცნობილია, რომ სსრკ დაშლიდან 10 წლის განმავლოვბაში ყოფილი რესპუბლიკებიდან ერთმანეთში 20 მლნზე მეტი კაცი გადასახლდა.მათ შორის, რუსეთში გადასახლება, ცხადია, ძირითადი იყო.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ მიგრაციულ სისტემებს მკაცრად განსაზღვული ფარგლები აქვთ. მათი ცალკეული ქვეყანა შესაძლოა განვიხილოთ სხვა სისტემის ნაწილადაც. მაგალითად, აზია–წყნარი ოკეანის სისტემის ძირითადი ქვეყნებია: მალაიზია, ტაილანდი, ჰონკონგი, იაპონია. თუმცა იაპონია მჭიდრო კავშირშია აშშ, ევროპისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან. ამიტომაც აზია წყნარი ოკეანის სისტემა იღებს ე.წ. მსოფლიო სისტემის ხასიათს. ასევეა ჩვენს მიერ აღნიშნული ევრაზიის სისტემაც, სამუშაო ძალის ნაკადები მიმართულია რუსეთისაკენ, მეორე მხრივ, ევროპისა და ჩრდილო ამერიკისკენ.

გარდა ჩამოთვლილი სისტემებისა, მსოფლიოში უფრო მცირე მასშტაბის სისტემებიც არსებობს. აფრიკაში, აზიაში, კარიბის აუზის ქვეყნებში, ლათინურ ამერიკაში. მაგალითად, აფრიკაში ძლიერიაქვეყნებს შორის მიგრაციული კავშირები, მაგრამ დიდ ნაწილში ისინი მეზობელ ქვეყნებს შორისაა და იძულებითი ხასიათისაა. თანდათან უკვე ისიც იკვეთება, რომ მიგრანტთა მიზიდულობის ცენტრებია არა ქვეყნები მთლიანად, არამედ მსხვილი მეგაპოლისები, ე.წ. „გლობალური ქალაქები“(ნიუ–იორკი, ლონდონი და ა.შ.). სხვა მეგაპოლისებიდან, რომელიც ინტენსიურად იზიდავს მიგრანტებს გამოვყოფთ:

[17]შრომითი მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი, ნათია ჭელიძე. თბილისი 2015 წ. გვ 33

ბარსელონას, ჰამბურგის, მილანის, სიდნეის, ტორონტოს, მონრეალს, მოსკოვის, სტამბულის, კაიროს, ბანგკოგის, სან–პაულოს და ა.შ. მეგაპოლისებს. ამ ქალაქების ეკონომიკა, შრომის ბაზრის სტრუქტურა აუცილებელს ხდის მრავალრიცხოვანი მიგრანტის მიზიდვას. ახლა მოკლედ დავახასიათოთ ზემოთ ჩამოთვლილი მიგრაციული სისტემები.

ჩრდილო ამერიკული მიგრაციული სისტემა

ამ სისტემის მთავარი ქვეყნებია აშშ და კანადა. ისინი იმიგრაციის ტრადიციული ქვეყნები არიან და ერთდროულად იზიდავენ როგორც მუდმივ, ისე დროებით შრომით მიგრანტებს; პირველ რიგში კი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს: მეცნიერებს, ინჟინრებს, მენეჯერებს, მედიცინის მუშაკებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებს, ასევე სხვადასვა პროფესიის კცვალიფიციურ მუშებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს და ოჯახის მოსამსახურეებს, სტუდენტებს. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ–ში 2002 წელს საზღვარგარეთაა დაბადებული 32 მლნ კაცი, კანადაში 6 მლნ. კაცი. ყოველწლიურად აშშ–ში კანონიერად შედის 700 ათასზე მეტი უცხოელი; მათი მეოთხედი აშშ–ში მცხოვრებთა ნათესავია.გარდა ამისა, არის ჩამონათვალი პროფესიებისა, რომელიც უაღრესად საჭიროა აშშ–ს ეკონომიკისათვის. ყოველწლიურად დაახლოებით 140 ათსი სპეციალისტი იღებს მოწვევას. იმიგრაციულ ქვოტაში არ შედის დროებითი შრომითი იმიგრანტები. აშშ–ში უცხო სამუშაო ძალა 15%–ზე მეტია. ბევრ რეგიონში (მექსიკის საზღვრებთან, ლოს–ანჟელესში) ძლიერ მაღალია უცხო სამუშაო ძალის წილი დასაქმებულ მოსახლეობაში.

კანადაში ყოველწლიურად 100 ათასი დროებითი მიგრანტი ჩადის. ქვეყანაში არის პროგრამა, რომელსაც მექსიკიდან და კარიბის ქვეყნებიდან ჩაჰყავს სოფლის მეურნეობისათვის დროებითი, სეზონური მუშახელი. კანადაში ძლიერ დიდია ქალთა წილი, რომლებიც ოჯახში მოსამსახურეებად საქმდებიან. აქ დროებით შრომით მიგრაციაში იმყოფებიან მშენებლობებზე, ტყის ჭრაზე, საგზაო სამუშაოებზე. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა უცხო სამუშაო ძალაზე ე.წ. ჩრდილოეთ და დასავლეთ რეგიონების ათვისებისათვის მოქმედ პროექტებზე. მექსიკა წარმოადგენს ჩრდილოამერიკულ მიგრაციული სისტემის

უმნიშვნელოვანეს ელემენტს. იგი ერთის მხრივ, იზიდავს მუშახელს ცენტრალური ამერიკიდან, მეორეს მხრივ, გზავნის მრავალრიცხოვან სამუშაო ძალას აშშ–ში და კანადაში. მიგრანტოფობიის არარსებობის გამო, შედარებით ტოლერანტული ქვეყნები – აშშ და კანადა ითვლებიან მიგრანტებისთვის იმიგრაციის ხელსაყრელ ქვეყნებად. იქ იმიგრანტთა სათვისტომოები საკმაოდ კარგადაა ფორმირებული და ხელს უწყობს მიგრანტთა მიზიდვას. ბოლო ხანს აშშ–სა და კანადაში აშკარად შეინიშნება აზიის ქვეყნებიდან მოსახლეობის მიგრაციის ინტენსივობის გაძლიერების ტენდენცია. თუ 1950 წელს მხოლოდ 12% იყო აშშ იმიგრანტთაგან განვითარებადი ქვეყნებიდან, ბოლო ხანს მათმა წილმა მთელ იმიგრაციაში 80%–ს გადააჭარბა. კანადაში ინდოეთიდან, ჩინეთიდან, შრი– ლანკიდან ფილიპინებიდან, ჰონკონგიდან ჩასულთა წილი იმიგრნატთა მთელ რიცხოვნობაში 65%–ზე მეტია. საკმაოდ ინტენსიურია შრომითი მიგრაციული მიმოსვლა აშშ–სა და კანადას შორისაც. აქ დიდი ადგილი უკავია დროებითი მიგრაციის ისეთ სახეს, როგორიცაა სტუდენტთა, სტაჟიორთა მიმოცვლა, სეზონური მიგრაცია. თუმცა აშშ–ს დომინანტობა ჩრდილოამერიკულ მიგრაციულ სისტემაში უცვლელი და მყარია.

ევროპის მიგრაციული სისტემა

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო საუკუნეების განმავლობაში ევროპა აქტიური მიგრაციული მოძრაობის კონტინენტია. თავდაპირველად ამ რეგიონიდან მასობრივად გადიოდა მოსახლეობა სხვა ქვეყნებსა და კონტინენტებზე:ამერიკაში, ავსტრალიაში. ამჟამად იგი ქცეულია მასობრივი იმიგრაციის სისტემად. ახლა ევროპა გამოირჩევა ე.წ. „ცენტრალური“ ქვეყნების ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური, გეოგრაფიული კავშირებით და ქმნის ერთიან მიგრაციულ სისტემას. იგი ხასიათდება მიგრაციული კავშირების მრავალსახეობით. მას ახასიათებს თავისებური დინამიურობა, ახალ–ახალი ქვეყნების მიზიდვა ამ სისტემაში ჩასართველად. ფორმირდა მიგრაციის ახალი ვექტორი „აღმოსავლეთ–დასავლეთი“, რომელმაც თანდათან ჩაანაცვლა ვექტორი ‘სამხრეთი–ჩრდილოეთი“.

ევროპის მიგრაციულ სისტემაში მიზიდულობის ქვეყნებიაჩრდილოეთი, დასავლეთი და უკვე სამხრეთ ევროპის ქვეყნებიც. ევროკავშირის გაფართოებამ ხელი შეუწყო ამ ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის გადაადგილებას. ბევრი

ემიგრაციის ქვეყანა იმიგრაციის ქვეყნად იქცა(ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვენია), რომლებიც იზიდავენ სამუშაო ძალას არა მარტო აღმოსავლეთ ევროპიდან, დსთ–დან, არამედ ჩინეთიდან და ვიეტნამიდანაც.
ყველაზე მეტი უცხოელი თავმოყრილია გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, შვედეთში. გერმანიაში ცხოვრობს 8 მლნ–მდე უცხოელი.აქ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 10 % უცხოელია. ევროპას სამუშაო ძალას აწვდიან ყოფილი კოლონიები, აგრეთვე წინა აზიის სახელმწიფოებიც. სსრკ დაშლის შემდგომ კი პოსტსაბჭოთა ქვეყნები, მათ შორის, საქართველოც.ჩვენი ქვეყანა თანდათან ყალიბდება ევროკავშირის ქვეყნებისათვის სამუშაო ძალის მნიშვნელოვან ექსპორტიორად. აღსანიშნავია, რომ ყოფილი სსრკ–დან ევროპაში ლეგალურად თითქმის 2 მლნ მიგრანტია მიზიდული, ბევრი კი არალეგალია.
როგორც აღვნიშნეთ, ბევრი პოსტსოციალისტური ქვეყანა, როგორიცაა მაგალითად, ჩეხეთი, პოლონეთი, თვითონ გახდნენ იმპორტიორები. მაგალითად, პრაღაში სამუშაო ძალის თითქმის 10 % –უცხოელია.
შეიცვალა ევროპაში მიზიდული მუშახელის დასაქმების სტრუქტურაც. 1970–იან წლებამდე იქ უმეტესად ახალგაზრდობა მიდიოდა მძიმე ფიზიკურ სამუშაოზე, მრეწველობაში სამუშაოდ, ამჟამად მნიშვნელოვანი ნაწილი საქმდება მომსახურების სფეროში: ვაჭრობაში, რესტორნებსა და სასტუმროებში, გართობის დაწესებულებებში, ტრანსპორტზე. უკვეთანდათან ჩნდებიან უცხოელები მეცნიერებაში, უმაღლეს სკოლაში, ჯანდაცვაში, საბანკო სექტორში.
ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროკავშირის ქვეყნებს შორის თავისუფალი გადაადგილების რეჟიმის შემოღებას. ევროკავშირის ქვეყნების აბსოლუტურ უმეტესობას თავისუფლად შეუძლია გადაადგილება და ცხოვრება ამ ზონის ქვეყნებში. ამან ერთგვარად შეანელა არაევროკავშირის ქვეყნებიდან სამუშაო ძალის მიზიდვის საჭიროება და თავისებური რეგულატორი გახდა შედარებით ოპტიმალური დასაქმებისა. განხილულ ევროპულ მიგრაციულ სისტემაში შეინიშნება გარკვეული ქვესისტემების არსებობაც. მათ მეტნაკლებად აქვთ რაღაც დამოუკიდებელი ხასიათიც. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სისტემა, რომელსაც

განსაკუთრებული კავშირი აქვს ბრიტანეთის კუნძულის ქვეყნებთან(ინგლისი, ირლანდია, ჩრდილოეთი ირლანდია, შოტლანდია, უელსი) და პაკისტანთან, აგრეთვე, აშშ–სთან(სამეცნიერო კავშირები). მჭიდრო მიგრაციული კავშირებია არაევროკავშირის ევროპულ ქვეყნებთანაც.

ახლო აღმოსავლეთის მიგრაციული სისტემა

ეს ის სისტემაა, რომელიც ფოკუსირდება ნავთობმომპოვებელ ქვეყნებზე. იგი შედარებით ახალი სისტემაა(ოთხი ათეული წელი), მოიცავს ექვს არცთუ დიდ ქვეყანას, რომლებმაც 1970–იან წლებში დაიწყეს ნავთობის ინტენსიური მოპოვება და ექსპორტი. ამ ქვეყნებში თავმოყრილია მსოფლიო შრომითი მიგრანტების დაახლოებით 15%.ეს ქვეყნებია: კატარი, ბახრეინი, კუვეიტი, ომანი, არაბთა გაერთიანებული ემირატები და საუდის არაბეთი.

ამ ქვეყნებში სამუშაო ძალის უმეტესი ნაწილი უცხოელია (51% ბახრეინში, 92% კუვეიტში). მაგალითად, პატარა ბახრეინში იმდენივესამუშაო ძალაა უცხოელი(250 ათსი), რამდენიც მთელიავსტრალიის კონტინენტზე. ამ ქვეყნების მკვიდრი მოსახლეობა, ძირითადად ადმინსტრაციულ, ან სუფთა სამუშაოებზეა დასაქმებული. ეს ქვეყნები მთლიანად ორიენტირებულია მხოლოდ დროებით მიგრანტებზე. მათ არ უნდათ მეზობელი ღარიბი არაბული ქვეყნებიდანაც კი მუდმივად იქ ვინმე ჩასახლდეს. ძლიერ დიდი პრობლემაა იქ გათხოვილის მიღებაც კი.

მეორე მხრივ, გაჩნდა იდეა, რომ ეს ქვეყნები დახმარებოდნენ ღარიბ არაბულ სამყაროს, ჩამოეყალიბებინათ ერთიანი არაბული ბაზარი. მაშინ ნავთობის მქონე არაბული ქვეყნების იმიგრანტების 90% არაბულიქვეყნებიდან იყო, მაგრამ ბაზარს თავის კანონები აქვს. ყველგან ეძებს იაფ სამუშაო ძალას. უკვე 1980–იანი წლების მეორე ნახევრიდან არაბ შრომით ემიგრანტებს გამოუჩნდნენ კონკურენტები სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სამუშაო ძალის სახით და ბოლო ხანს შრომით ემიგრანტთა 65% ამ ქვეყნებიდან არის. ინდოელისა და პაკისტანელის დაქირავება იმის ნახევარი ღირს, რაც არაბისა. ეს ტენდენცია გაძლიერდა იმიტომაც, რომ გაჩნდა დიდი მოთხოვნა ქალ სამუშაო ძალაზე, რომლებიც ოჯახებში მოსამსახურეებად დგებოდნენ. 60% აქ ჩამოსული ქალებისა არიან შრი

ლანკიდან, ინდონეზიიდან, ფილიპინებიდან. ისინი შინამოსამსახურეებად არიან დასაქმებულნი.

დიდი ზეგავლენა მოახდინა აქ ექსპორტიორი ქვეყნების მიგრაციის ინტენსივობაზე პოლიტიკურმა მოვლენებმა, ერაყის ომმა. ის არაბული ქვეყნები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ერაყს კუვეიტის წინააღმდეგ, ამოვარდნენ სამუშაო ძალის ინტენსიური ექსპორტის ქვეყნებიდან. ამჟამად კი უკვე აქ მიზიდული შრომითი მიგრაციის სამი მეოთხედი ინდოეთის, პაკისტანის, ბანგლადეშის, შრი–ლანკის, სამხრეთ კორეის, ფილიპინების, ტაილანდის, ვიეტნამის მოქალაქენი არიან. მაღალკვალიფიციურ სამუშაოებზე კი მიზიდულია განვითარებული ქვეყნების ნავთობის მოპოვებისა და მშენებლობის სპეციალისტები.

აზია-წყნარი ოკეანის სისტემა

სისტემა მოიცავს აღმოსავლეთ და სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს. გამოირჩევა რეგიონის ქვეყნების მჭიდრო მიგრაციული კავშირებით, ამავე დროს ეს ქვეყნები აქტიურად მონაწილეობენ ევროპისა და ჩრდილო–ამერიკის მიგრაციულ სისტემებში.

განხილულ სისტემაში გამოიყოფა რამდენიმე მიზიდულობის „შიგა“ ცენტრი: იაპონია, მალაიზია, ჰონკონგი, ტაივანი, სინგაპური, სამხრეთ კორეა. ესაა ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული, მიგრანტთა მიმზიდველი ქვეყნები. ამავე დროს, ეს ქვეყნები არიან მიგრანტთა „მიმწოდებლებიც“(იაპონიის გარდა). მაგალითად, მალაიზია ინდონეზიიდან იზიდავს 1 მლნ ინდონეზიელ მიგრანტს, ხოლო 100 ათასს თვითონ აგზავნის სინგაპურში, იაპონიასა დატაივანში. აქ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა დასაქმებულია ე.წ. შრომის პირველად ბაზარზე, ხოლო მეორად ბაზარზე იწვევენ იაფ უცხო სამუშაო ძალას.

ამ რეგიონში ლეგალურთან ერთად მრავალრიცხოვანია არალეგალური სამუშაო ძალაც. ამის მიზეზია მიმღები ქვეყნების შემზღუდავი იმიგრაციული პოლიტიკა. სხვაგვარად შეუძლებელია, რადგან რეგიონს აქვს მეტად მაღალი ემიგრაციული პოტენციალი. არალეგალების დიდი ნაწილი ჩინეთიდანაა, ეს მაშინ, როცა იყო დრო, როცა ჩინეთის მთავრობამ მკაცრ პოლიტიკას ატარებდა მოსახლეობის ემიგრაციის წინააღმდეგ. მერე კი 2000 წელს ჩინეთმა ოფიციალური სტრატეგია

“გარეთ გასვლა“ მიიღო და ჩინელი მიგრანტები ფართოდ მოედვნენ როგორც აზია–წყნარი ოკეანის მიგრაციულ სისტემას, ისე მთელ მსოფლიოს.
იაპონია მსოფლიო მასშტაბით გამონაკლისია, რომელმაც 60–80–იან წლებში დიდ ეკონომიკურ ზრდას მიაღწია გარედან სამუშაო ძალის მიზიდვის გარეშე. იპონია დიდხანს რჩებოდა დახურულ ქვეყნად. ის ცდილობდა მექანიზაცია–ავტომატიზაციით შეემცირებინა სამუშაო ძალაზე მოთხოვნა, ან ინვესტიციებით ქვეყნის გარეთ გაჰქონდა შრომატევადი წარმოება. 1990–იან წლებში კი გადაწყვიტა იმიგრაციული კანონმდებლობის ლიბერალიზაცია. დემოგრაფიულმა ფაქტორებმა სამუშაო ძალის კლებამ, დაბერებამ, იაპონია აიძულა ეფიქრა გარედან სამუშაო ძალის მიზიდვაზე. დაიწყო მსოფლიოში იაპონური დიასპორის(ბრაზილიაში) შემობრუნება სამშობლოში. მათ დაუშვეს უცხო „სტაჟიორების“ შესვლაც ქვეყანაში(2000 წლისათვის უკვე 180 სტაჟიორი იყო იაპონიაში).
ამ მიგრაციული სისტემის ერთ–ერთი არსებითი ნიშანი გახდა იაპონიის, სამხრეთ კორეის, ტაივანის, სინგაპურის და ჰონკონგის შრომატევადი წარმოების გატანა შედარებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებში. სადაც მხოლოდ საკვანძო ადგილებზე მუშაობენ რეგიონის განვითარებული ქვეყნების სპეციალისტები.
სამხრეთ ამერიკული მიგრაციული სისტემა
1960–იან წლებამდე მიმღებ ქვეყნებში –არგენტინაში, ბრაზილიაში, ვენესუელაში, ძირითადად, ესპანელები, იტალიელები და პორტუგალიელები შედიოდნენ. ბოლო ათწლეულებში მიგრაციული მიმოცვლა მეტად ინტენსიური გახდა თვით სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს შორის. ერთ–ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც გაადვილა ამ ქვეყნების მიგრაციული კავშირი – ესპანური ენაა. მაგალითად, არგენტინაში კოლუმბიიდან, პარაგვაიდან, ბოლივიიდან, ურუგვაიდან ჩამოსულ მოსახლეობას ენობრივი ბარიერი არაქვს. ამიტომ მათი შრომითი მოწყობა ადვილდება. ბოლო ხანს რეციპიენტ ქვეყნებს ჩილეც მიემატა, რომელმაც სწრაფი განვითარება დაიწყო. ბრაზილია, სადაც ოფიციალური ენა პორტუგალიურია, მაინცადამაინც არაა მიმზიდველი მეზობელი ქვეყნებისთვის. სამაგიეროდ, პორტუგალიის ყოფილი კოლონიებიდან, ანგოლიდან და მოზამბიკიდან ინტენსიურია იმიგრანტთა ნაკადები. ვინ არიან ლათინური ამერიკის

შრომითი მიგრანტები? ძირითადად, დაბალკვალიფიციური მუშები სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ. ისინი დასაქმებულნი არიან შაქრის, ბამბის, ყავისა და ჩაის პლანტაციებში, ნავთობის მრეწველობაში, მშენებლობაში. ნახევარი მიგრანტებისა ქალები არიან, რომლებიც შინამოსამსახურეებად მუშაობენ.
ამ ქვეყნებში დიდია მოთხოვნა კვალიფიციურ სპეციალისტზებზეც: მენავთობებზე, ინჟინერ-ქიმიკოსებზე, ჰიდროლოგებზე, სამთო–ინჟინრებზე. 1990–იან წლების დასაწყისში შემუშავდა პროგრამები, რომ მათ მიეზიდათ აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ სივრციდან მაღალკვალიფიციური დეფიციტური პროფესიის სპეციალისტები. ეს პროექტები აღმოცენდა მაშინ, როცა ევროპას შეეშინდა ყოფილი სოცსისტემის ქვეყნებიდან შესაძლო მრავალმილიონიან მიგრაციულ ტალღაზე. მაშინ არგენტინამ განაცხადა, რომ ყოველწლიურად მიიღებდა პოსტსოციალისტური სივრციდან 100 ათას მიგრანტს თუ კი ევროკავშირის ქვეყნები მათ გზის ფულს გადაუხდიდნენ. მაგრამ, როგორც ვიცით, მიგრაციამ არ მიიღო ევროპისთვის საშიში ხასიათი და აღნიშნული გეგმებიც არ განხორციელდა.
ერთ–ერთი არსებითი ნიშანი ლათინური ამერიკის ქვეყნების მიგრაციულ სისტემაში აშშ–თან მიგრაციული კავშირებია. აშშ–ში სამუშაო ძალა შედის როგორც სამხრეთ ამერიკის, ისე ცენტრალური ამერიკის ქვეყნებიდან. მაგალითად, კუბიდან, დომინიკის რესპუბლიკიდან, სალვადორიდან, პანამიდან, გვატემალადან გარე მიგრაციაში 90% აშშ–ში მიემართება. მეორე მხრივ, დიდი ნაკადებია უკვე ევროპის იმ ქვეყნებისკენ, საიდანაც წარმოშობით ისინი არიან. მაგალითად, იტალიის მთავრობამ შექმნა თანამემამულეების იტალიაში დაბრუნების სტიმულირების სისტემა.
ევრაზიული მიგრაციული სისტემა.
ეს ყველაზე ახალგაზრდა მიგრაციული სისტემაა და მოიცავს ყოფილი სსრკ ქვეყნებს 230 მლნ მოსახლეობით. ერთიან ქვეყანაში, სადაც მიგრაციარეგულირდებოდა ჩაწერა–ამოწერის სისტემით. გადაადგილებას არეგულირებდა სახელმწიფო თავისი მიზნების შესაბამისად. რუსები „ნებაყოფილობით–იძულებით“ წესით იგზავნებოდნენ სხვადასხვა

რესპუბლიკებში სპეციალისტებად, ინჟინრებად, ექიმებად, მასწავლებლებად(ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: მ. ტუხაშვილი. მიგრაციული ექსპანსიის დასასრული და რუსეთის „ახალი მიგრაციული პოლიტიკა“. 2009).
სსრკ დაშლამ დიდი პრობლემები შექმნა მოსახლეობის ტერიტორიულ განაწილებაში. დაშლის შემდგომ რუსეთში ყოფილი რესპუბლიკიდანდიდი ნაკადი, უმთავრესად რუსი(70%) ჩავიდა. საერთოდ კი რუსეთი გახდა მიგრანტთა მიზიდვის მნიშვნელოვანი ცენტრი. წარმოიქმნა ახალი მიგრაციული სისტემა. რუსეთი და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები დატოვეს ეთნიკურმა გერმანელებმა(500 ათსი), ისრაელში გადავიდა 200 ათასი ებრაელი. დიდი მასშტაბით განვითარდა შრომითი იმიგრაცია რუსეთში, როგორც ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, ისე ჩინეთიდან, ვიეტნამიდან, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკიდან, თურქეთიდან. რუსეთიდან კი დაიწყო დასავლეთში მაღალკვალიფიციური იაფი სამუშაო ძალის მიზიდვა.

1.4 საერთაშორისო მიგრაციის გავლენა ეკონომიკაზე

შრომითი მიგრაცია (როგორც საერთაშორისო, ისე შიგა) პოზიტიურ გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე. ამით ხდება საერთაშორისო შრომის ბაზრებზე მოთხოვნა–მიწოდების დაბალანსება და შედარებით სწორდება ის დისბალანსი, რასაც მსოფლიოს უთანაბრო ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარრება იწვევს. მიგრაციის ხელშეწყობით უფრო დაბალანსებული, უფრო დასაქმებული ხდება მთელი მსოფლიო, რაც, ბუნებრივია, დიდად მოქმედებს მსოფლიო ეკონომიკის ზრდაზე. ცნობილია, რომ უცხოელი მუშაკები არსებითად უწყობენ ხელს წარმოების მთელი რიგი დარგების განვითარებას, რომელიც საერთოდ არ მოხდებოდა მათი მონაწილეობის გარეშე. მაგალითად, პოლონელი მეშახტეების მასობრივმა დასაქმებამ რურის აუზში(გერმანია) განაპირობა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მთელი დასავლეთ ევროპის ქვეყნების

ქვანახშირით უზრუნველყოფის საკითხი ან ახლო აღმოსავლეთის ნავთობის ქვეყნებში უცხო სამუშაო ძალის მიზიდვის გარეშე წარმოუდგენელია ის განვითარება, რაც ამ ქვეყნებს ამჟამად აქვთ. მარტო დუბაის მაგალითი კმარა ამის დასადასტურებლად, რომ არაფერი ვთქვათ თანამედროვე პირველხარისხოვან კომუნიკაციებზე (აეროპორტები, გზები, საზღვაო პორტები), ნავთობგადამამუშავებელ და ქიმიურ ქარხნებზე. მეორე მხრივ, განვითარებულ ქვეყნებში ჩასული მუშახელი ითვისებს ახალ ცოდნას და გამოცდილებას როგორც ტექნოლოგიურ,ისე ორგანიზაციულ სფეროში, სწავლობენ მენეჯმენტს, შრომის კარგ ორგანიზაციას და, საერთოდ, წარმოების და შრომის კულტურას და იგი შემდგომ გადააქვთ თავის სამშობლოში. თურქეთის ევროპიზაციაში შრომით მიგრანტთა ევროპულმა პერიოდმა მნიშვნელოვანი როლი, ჩემი ღრმა რწმენით კი, გადამწყვეტი როლიც კი ითამაშა. ჯერ კიდევმე–20 საუკუნის 60–იან წლებში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, შემდგომ თურქეთის პროეზიდენტი, სულეიმან დემირელი, ბელგიაში სამუშაოდჩასულ თურქ მუშებისადმი მიმართვაში დიდ მნიშვნელობას აძლევდა მათ შემდგომ რეემიგრაციას თურქეთში: “თქვენ ისწავლით და რაღაც დროის შემდეგ დაბრუნდებით სამშობლოში კვალიფიციურ მუშებად. ჩვენი ქვეყანა ბევრს მოელის თქვენგან. ყოფილი მიგრანტების უმეტესობა დაბრუნების შემდგომაც ინარჩუნებს მოწინავე ქვეყნებთან კავშირს. ახალი საწარმოების შექმნისას თავიანთ ქვეყანაში ისინი ორიენტირდებიან მოწინავე ტექნოლოგიებზე, აჩქარებენ თავისი ქვეყნის წარმოების მოდერნიზაციას. ეს ყველაფერი შესანიშნავად ჩანს იგივე თურქეთის მაგალითზე, სადაც უკვე მრავალი თანამედროვე ქარხანაა მაღალკვალიფიციური მუშახელით, სხვა დარგებთან შედარებით მაღალი ხელფასითაც. ეკონომიკურთან ერთად შეუძლებელია, არ განვიხილოთ სრულყოფილი სოციალური ყოფა და მაღალი კულტურა, რასაც ბევრი ქვეყნის იმიგრანტი იძენს შრომითი მიგრაციის დროს. შრომითი მიგრაცია თანამედროვე გლობალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. განვიხილოთ, თუ რა გავლენას ახდენს შრომითი მიგრაცია მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. პირველ რიგში შევეხოთ სამუშაო ძალის იმპორტის იმ მხარეს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად დადებითია მიმღები ქვეყნის ეკონომიკისათვის. სამუშაო

ძალის იმპორტით ხდება სამუშაო ძალის დეფიციტის აღმოფხვრა. ეს ძლიერ თვალნათლივ ჩანს სპარსეთის ყურის ქვეყნების მაგალითზე. სადაც წარმოუდგენილი იყო 1970–იან წლებში უცხო სამუშაო ძალის გარეშე ეროვნული ეკონომიკის განვითარება. თითქმის მთლიანად უცხო სამუშაო ძალით იქნა ნავთობის ტერმინალები აშენებული. მოხდა პორტების მოწყობა, თანამედროვე საავადმყოფოების, საცხოვრებელი სახლების, უმაღლესი სასწავლებლების ამოქმედება. მეორე, უცხოელი მუშების მეოხებით ხდება ერთობლივი პროდუქტის დაჩქარებული ზრდა. თუ განვიხილავთ, მაგალითად, გერმანიის ეკონომიკას. მრავალი მეცნიერის აზრით, 60–70–იან წლებში ე.წ. გერმანული სასწაულის შემოქმედი არა მარტო გერმანელი ხალხია, არამედ იქ სამუშაოდ ჩასული სამუშაო ძალაც. მაგალითად, მრავალი გერმანელი ეკონომისტის მიერ გამოთვლილია, რომ 1970–იან წლებში გერმანიის ერთობლივ პროდუქტში სამუშაო ძალის წილი 40%–მდე აღწევს.[18]

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში ჩასული მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს იმ ქვეყნისთვის ის მოგებაც მოაქვთ, რომ იმიგრაციის ქვეყანას არ უხდება მათ განათლებაზე ხარჯების გაწევა, რომელიც, რაც დრო გადის, სულ უფრო სწრაფად იზრდება. მაგალითისათვის მოვიტანოთ აშშ, სადაც საინჟინრო და კომპიუტერულ მეცნიერთა 40% საზღვარგარეთიდან არის ჩასული. უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგთა 25% იმიგრანტია. ეს უდიდესი ეკონომიკური სარგებელია, მოგებაა.ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ უცხო სამუშაო ძალის შემოსვლა მკვიდრ მოსახლეობას სამუშაო ადგილს ართმევს და უმუშევრობას კიდევ უფრო ამძაფრებს, ვერ ითვალისწინებენ, რომ მთელი ეკონომიკა და შრომის ბაზარიც განსაზღვრული ელასტიურობით გამოირჩევიან. მოცემულ ქვეყანაში სამუშაო ძალის რაოდენობა ფიქსირებული არაა. სამუშაო ძალის მიწოდება შეიძლება აღმოცენდეს მოსახლეობის ზრდის შედეგად, რაზეც მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. იგი შეიძლება მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის გამო აღმოცენდეს, მაგალითად, ახალი ტერიტორიების ათვისების დროს, ან რომელიმე დარგის განვითარების დაჩქარების შემთხვევაში და ა. შ.

[18]შრომითი მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი, ნათია ჭელიძე. თბილისი 2015 წ. გვ 53

შრომითმა იმიგრანტებმა შესაძლოა გაზარდონ ადგილობრივი მუშახელის დასაქმება იმითაც, რომ შინამოსამსახურეებად დადგომით ადგილობრივ ოჯახის წევრებს გამოათავისუფლებენ საოჯახო შრომიდან და საშუალებას აძლევენ მათ პროფესიულ დასაქმებას.

იქ სადაც მიგრანტთა დიდი კონტინგენტია, საბანკო სექტორის გაფართოების საჭიროება იქმნება, რაც ადგილობრივი სამუშაო ძალისათვის საბანკო სფეროში დამატებითი ეფექტიანი სამუშაო ადგილების შექმნის საფუძველი ხდება. იგივე პროცესია იურდიულ სისტემაშიც. იგი ფართოვდება ადგილობრივი სამუშაო ძალით.

უცხოელ მუშებს, მართლაც, შეუძლიათ „შეავიწროვონ“ ადგილობრივები ამა თუ იმ ლოკალურ შრომის ბაზარზე, სადაც იმიგრანტების რიცხოვნობა ძლიერ ბევრია. ხანდახან დამქირავებლები იმიგრანტებს აძლევენ უპირატესობას, რადგან ისინი თანახმა არიან, იმუშაონ უფრო ნაკლებ ხელფასზე, არ ითხოვენ სოციალურ შეღავათებს. აშშ –ში შრომითი მიგრანტები კონკურენციას უწევენ აფროამერიკელს და ესპანურენოვან აშშ მოქალაქეებს. ეს უკანასკნელნი არიან მომხრეები, რომ გამკაცრდეს იმიგრაციული პოლიტიკა. ხანდახან კი იძულებულნი არიან სხვაგან გადაადგილდნენ, რადგან უკვე ვეღარ უძლებენ ჩამოსულთა კონკურენციას, ე.ი. იმიგრაცია ხდება ირიბი სტიმულატორი შიგა მიგრაციებისა. ფაქტია, რომ უმუშევრად დარჩენილი ამერიკელები ნაკლებად თანხმდებიან იქ დასაქმებას, სადაც ჩასულთა უმეტესობა საქმიანობს. ისინი არჩევენ უმუშევრის შემწეობა და სხვა სოციალური დახმარება მიიღონ, ვიდრე ჩამოსულ მიგრანტთა მიერ დაკავებულ შრომის მეორად ბაზარზე დასაქმდნენ.

იმიგრაციის მოწინააღმდეგეების შეხედულებებით, უცხოელ სამუშაო ძალის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მთელ ქვეყანაში შრომის ანაზღაურების დონეს. ან უკიდურეს შემთხვევაში, ანელებს მის ზრდას. უცხოელები რომ თანხმდებიან შედარებით ნაკლებ ხელფასზე, ესაა დამქირავებელთა დიდი დაინტერესება.

გასათვალისწინებელია, რომ მკვიდრი მცხოვრებნი, როგორც საქონლისა და მომსახურების მომხმარებელნი იგებენ იმაშიც, რომ მათ მიერ შეძენილი საქონელი

ნაწარმოებია იაფი ჩამოსული მუშახელის მიერ. იაფი სამუშაო ძალა დამქირავებლების წარმოების ხარჯებს ამცირებინებს და პროდუქციაზე ფასების დაწევით მათ პროდუქციას კონკურენტუნარიანს ხდის.

ექსპერტთა შორის დიდი დავაა იმის თაობაზე, თუ რა ვითარება ვლინდება, როცა შედარდება სიკეთე და დანაკარგი სახელმწიფოს შემოსავლებსა და გასავლებში. სახელმწიფო მონაწილეობს განათლების სისტემის, ჯანდაცვის დაფინანსებაში, ეხმარება ღარიბ მოსახლეობას, უმუშევრებს, პენსიას აძლევს ინვალიდებს, მოხუცებს, იცავს საზოგადოებრივ წესრიგს, ბუნებას. ასეთი დახმარებანი ხშირად არანაკლები სტიმული ხდება ღარიბი ქვეყნებიდან იმ განვითარებულებში ემიგრაციისა, ვიდრე მაღალი ხელფასი.

მომუშავე მიგრანტი იხდის შემდეგ გადასახადებს: საშემოსავლო გადასახადს, ფულადი გზავნილის გადასახადს, ქონების გადასახადს, და ა.შ. ამის გარდა იმიგრანტის ხელფასში ჩადებულია ყველა გადასახადის წილი, რასაც ის დამქირავებლი კომპანია იხდის, სადაც ისაა დასაქმებული. ესაა:

• მოგების გადასახადი;

• სოციალური დაზღვევის გადასახადი;

• განათლების გადასახადი;

• ჯანდაცვის გადასახადი;

• საპენსიო ფონდში ჩარიცხვები;

• საგზაო გადასახადი;

• საბინაო გადასახდი და ა. შ.[19]

შრომით მიგრანტთა მიმწოდებელ ქვეყნებს შორის არიან ისეთები, რომელთა სამუშაო ძალის ექსპორტისათვის სპეციალური, გამიზნული პოლიტიკა აქვთ შემუშავებული და ცდილობენ, შრომითი ემიგრაცია მომგებიან „სახელმწიფო ბიზნესად“ გადააქციონ. ეს ქვეყნებია: პაკისტანი, ეგვიპტე, თურქეთი, მაროკო, ბანგლადეში, ტაილანდი, ფილიპინები, შრი–ლანკა. წარსულში (1950–1970–იანი წლები) თვით ევროპის ბევრი ქვეყანა (იტალია, საბერძნეთი, პორტუგალია, ირლანდია) ასევე ხელს უწყობდნენ თავიანთ მოქალაქეებს საზღვარგარეთ

[19]შრომითი მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი, ნათია ჭელიძე. თბილისი 2015 წ. გვ 58

დასაქმებაში.

რაში ხედავენ სარგებელს ემიგრაციის აქტიური პოლიტიკის მქონე ქვეყნები?

1. მოსახლეობის საზღვარგარეთ ემიგრაცია დაბლა სწევს უმუშევრობის დონეს;

2. მათი მოქალაქეები საზღვარგარეთ მუშაობით იმაღლებენ კვალიფიკაციას, იღებენ იქაურ გამოცდილებას, რაც შემდეგ ჩამოაქვთ თავის ქვეყანაში;

3. ემიგრანტთა ფულადი გზავნილები მკვეთრად ამაღლებენ ცხოვრების დონეს, როგორც საკუთარი ოჯახებისას, ისე მთელი ქვეყნისას.

ყველა ქვეყანა, რომლებიც სამუშაო ძალის ექსპორტს უწყობს ხელს, არიან ქვეყნები სწრაფმზარდი მოსახლეობით და ისეთი ტიპის ეკონომიკით, რომელსაც არ შეუძლია შრომის ბაზარზე სწრაფად მიწოდებული სამუშაო ძალის შეწოვა. შესაბამისად, ისინი მაღალი დონის უმუშევრობითაც გამოირჩევიან.

რასაკვირველია, სავსებით ლოგიკურად იბადება კითხვა, რომ როგორი იქნებოდა საქართველოში უმუშევრობის დონე, ის დიდი კონტინგენტი(400–500 ათსი კაცი), რომელიც საზღვარგარეთაა შრომის მიგრაციაში, აქ რომ ყოფილიყო? პასუხი ცალსახაა: საქართველოშიუმუშევრობის დონე კატასტროფულ დონეს მიაღწევდა.

მიმღები ქვეყნებიც ისეთ პოლიტიკას ატარებენ, რომ დონორებს წაართვან ყველაზე კვალიფიციური სამუშაო ძალა. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ბევრი დონორი ცდილობს ექსპორტის საერთო სტიმულირების ფონზე, შეინარჩუნოს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა.

როცა ვმსჯელობთ მასობრივ შრომით ემიგრაციაზე და მის გავლენაზე დონორი ქვეყნების შრომის ბაზრებზე, უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო ე.წ.სამუშაო ძალის „არყოფნის ეფექტი“, არამედ „დაბრუნების ეფექტიც“. დაბრუნებულ შრომით მიგრანტებს შეუძლიათ გაზარდონ არა მარტო მიწოდება, არამედ მოთხოვნაც თავიანთი ქვეყნის შრომის ბაზრებისა.

სოფლის მოსახლეობის ემიგრანტები, რომლებიც მიმღებ ქვეყნებში მშენებლობაში, მრეწველობაში, მომსახურებაში არიან დასაქმებულნი, დაბრუნებისას თავს არიდებენ სოფლის მეურნეობაში მუშაობას. დაბრუნების შემდეგ ისინი თავიანთი ქვეყნის ქალაქებში მკვიდრდებიან და მრეწველობაში, სახელოსნო საწარმოებში საქმდებიან ან იწყებენ თავიანთ ბიზნესს. ამრიგად,

საერთაშორისო მიგრაციის მეშვეობით ხდება სამუშაო ძალის, შრომითი რესურსების გადანაწილება ქალაქწარმომქნელ დარგებში, ქალაქებში.

დღეისათვის აშშ და კანადა ითვლება მსოფლიოში მიგრანტთა ყველაზე ძლიერ მიმზიდველ ქვეყნებად. 90-იან წლებში ამ ორ ქვეყანაზე მოდიოდა მსოფლიო მიგრაციულ ნაკადთა ნახევარი, მაშინ, როცა ამ ქვეყნების მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენდა. ბევრი ქვეყანა ზღუდავდა დიდი რაოდენობის იმიგრაციას თავიანთ ქვეყნებში, აშშ და კანადა კი ხელს უწყობდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ამ ქვეყნებში დასაქმებას.[20]

1990-1995 წლებში აშშ-ში ყოველწლიურად შემოდიოდა 800 ათასი იმიგრანტი, რომელთაგან ნახევარზე მეტი (58%) შემოვიდა იმის საფუძველზე, რომ მათ აშშ-ში ჰყავდათ ამ ქვეყნის მოქალაქე, ნათესავი, ან მუდმივი მაცხოვრებელი ოჯახის წევრი. ჩამოსულთა დაახლოებით 15% ამერიკაში დასაქმების მსურველი იყო, 15%-ლტოლვილი და თავშესაფრის მძებნელი, ხოლო დანარჩენი 12%-ქვეყნის მიერ გამოცხადებული სხვადასხვა სპეციალური პროგრამის საფუძველზე.

ევროპის ქვეყნებში იმიგრაციისადმი მეტად არასასიამოვნო განწყობა სუფევს. 1995 წელს საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროსთითქმის ყოველმა მეექვსე ამომრჩეველმა მხარი დაუჭირა ეროვნული ფრონტის პარტიას, რომლის პლატფორმა ითვალისწინებდა იმიგრაციის შეჩერებას და უცხოელთა ქვეყნიდან გაძევებას.[21]

იმიგრანტთა რიცხოვნობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში
1996წ. (ათასობით)

ქვეყნები	მოსახლეობა(სუ	მათ შორის, იმიგრ	იმიგრანტთა წი(მოსახლეობაში (
ავსტრია	8106	697	8,6
ბელგია	10159	924	9,1
გერმანია	81922	7010	8,5

[20]თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თამაზ ზუბიაშვილი. თბილისი 1999 წ. გვ 9
[21]იქვე. გვ 13

დანია	5237	189	3,6
დიდი ბრიტანეთ	58144	2035	3,5
ესპანეთი	39674	436	1,1
ირლანდია	3554	95	2,7
იტალია	57226	1002	1,8
ლუქსემბურგი	412	127	31,1
ნიდერლანდებ	15575	794	5,1
ნორვეგია	4348	165	3,8
საფრანგეთი	58333	5900	10,1
ფინეთი	5126	56	1,1
შვეიცარია	7224	1300	18,1
შვეცია	8819	511	5,8
სულ	363859	21241	5,8

წყარო: საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკა

ევროპაში მიგრანტთა უმეტესი ნაწილი 60% საფრანგეთსა და გერმანიაში იმყოფება. საფრანგეთში ითვლიან 5,9 მლნ. იმიგრანტს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 10,1%-ს შეადგენს. გერმანიაში კი 7 მლნ. იმიგრანტია, რაც ქვეყნის მოსახლეობის 8,5%-ია. პატარა ქვეყნებში უცხოელები ცოტანი არიან, მაგრამ ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში მათი წილი დიდია. მაგალითად, ლუქსემბურგის მოსახლეობის - 31% უცხოელია, შვეიცარიაში - 18%, ბელგიაში - 9,1% ავსტრიაში - 8,6%.[22]

I. მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა პერიოდში

2.1 საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის მიზეზები

სსრკ-ის დაშლის შემდგომ 1990-იან წლებში განვითარებულმა ყოვლისმომცველმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურ-კულტურულმა კრიზისმა, რესპუბლიკათა შორის მყარად ჩამოყალიბებული, განვითარებული სამეურნეო

[22]თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თამაზ ზუბიაშვილი. თბილისი 1999 წ. გვ 14

კავშირების რღვევამ, რუსეთის მხირვ იზოლაციონისტურმა პოლიტიკამ, ეთნოკომფლიქტებმა. შინააშლილობამ და ეკონომიკის კოლაფსმა სრულიად ახალი საფუძელი შეუქმნა მოსახლეობის ტერიტორიულ მობილურობას. ხანმოკლე პერიოდში განვითარდა ინტენსიური მიგრაციული პროცესები, რომელიც თავისი მასშტაბითა და სოციალური შედეგებით უპრეცენდენტო მოვლენაა საქართველოს ისტორიაში.

საყოველთაო კრიზისმა და ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების ურთულეს პირობებში სავსებით მოიშალა მიგრაციის სტატისტიკა. ადრე დამკვიდრებული მიგრანტის ჩაწერისა და ამოწერის სავალდებულო წესის შეცვლამ და მიგრანტთა რეგისტრაციის ახალი სისტემის შემოღებამ ჯერჯერობით დადებითი შედეგი ვერ გამოიღო. არასტაბილურ ვითარებაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით მიგრაციის მასშტაბების დადგენა მრავალ კითხვას ბადებს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული მიგრაციის აღრიცხვა ე.წ. საზღვრის გადამკვეთთა აღრიცხვის გზით ძლიერ მწირ ინფორმაციას იძლევა რეალური მიგრაციის ძირითადი პარამეტრების შესახებ. ვერც მცირე მასშტაბის შერჩევითი გამოკვლევები გვაწვდიან მიგრაციის მართვისათვის აუცილებელ ინფორმაციას ამიტომ, მნიშნელოვან ამოცანას წარმოადგენს მიგრაციის რეგისტრის ქმედითუნარიანობის ამაღლება, ისეთი სისტემის შემოღება, როცა მიგრანტი თვითონ იქნება დაინტერესებული რეგისტრაციით. ცხადია, აღრიცხვის ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერებაც აუცილებელ ფაქტორად მიგვაჩნია.

დამოუკიდებელი საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით:

- დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს მასობრივი მუდმივი ემიგრაციის პროცესი. საწყის ეტაპზე უფრო ინტენსიური იყო არაქართველი მოსახლეობის გასვლა საზღვარგარეთ, შემდგომ კი თანდათან ქართველთა ემიგრაციული ინტენსივობაც გაიზარდა.
- ეთნოკონფლიქტებისა და ეთნოწმენდის გამო იძულებითმა მიგრაციამ მოიცვა დიდი ტერიტორია და მოსახლეობა ძალდატანებით გადაადგილდა, როგორც

ქვეყნის შიგნით, ისე გაიფანტა სხვა ქვეყნებში.

● განვითარდა დიდი ინტენსიურობის შრომითი ემიგრაცია

● შეფერხდა ურბანიზაციის პროცესი, წარმოიშვა ანტიურბანიზაციული მოვლენები, განსახლების სისტემა კრიზისმა მოიცვა.

● მინიმუმამდე შემცირდა შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია

● შეიცვა ე.წ. სასწავლო მიგრაციის ინტენსიურობა და მიმართულებები

● პრაქტიკულად შეწყდა შიგა ორგანიზებული მიგრაციები, იმავდროულად გაიზარდა ორჯერ დეპორტირებული „თურქი-მესხების“ საქართველოში ორგანიზებულად ჩამოსახლების პოტენციალი.[23]

როგორც აღწერის შედეგებმა აჩვენა, გარე მიგრაციის სალდოში უმეტესობა არაქართველი მოსახლეობაა. იმ ტერიტორიაზე რომელზეც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია და 2002 წლის იანვარში აღწერა ჩატარდა, არაქართველი მოსახლეობის წილი 1989-2002 წწ. 26,3%-დან 16,2%-მდე შემცირდა, რაც მთლიანად ემიგრაციულმა პროცესებმა განაპირობა. განხილულ, ინტენსიური ემიგრაციის პერიოდში ჩვენი მეთოდური ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მიგრაციისა და ურბანიზაციის განყოფილებაში დამუშავდა 1993 წლის ათი ათასი მიგრანტის ჩაწერისა და ამოწერის ფურცლის მოსახევი ტალონი. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ წელს საქართველოს ყველაზე ინტენსიური მიმოსვლა ქონდა რუსეთთან (მიგრაციული სალდოს 61,9%), უკრაინასთან (8,6%), აზერბაიჯანთან (12,7%), სომხეთთან (2,5%), საბერძნეთთან (5,4%), ისრაელთან (4,4%). აღნიშნულ უარყოფით სალდოში რუსის სალდოს (39,7%), აერბაიჯანელი-14,7%, სომეხი-10,1%, ოსი-5%, ბერძენი-6,3%, უკაინელი-6,1%, ებრაელი-5,3%. ამ პერიოდისთვის ქართველთა წილი მხოლოდ 8,4%-ია.[24](ცხრილი 4)

---

[23]ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში. თბილისი 2003. გვ.5-6

[24]საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი. თბილისი 1996 წ. გვ 14-15

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის ძირითადი მიმართულებანი 1993წ. (პროცენტობით ჯამთან)

ქვეყანა	წავიდა	ჩამოვიდა	სალდო
რუსეთი	62,4	67,4	61,9
უკრაინა	9	12,1	8,6
აზერბაიჯანი	12,2	7,3	12,7
სომხეთი	3	7,9	2,5
ბელორუსია	1,3	0,3	1,4
შუა აზიის ქვეყნ	0,4	1,5	0,3
ყაზახეთი	0,4	1,2	0,3
ბალტ. ქვეყნებ	0,1	0,6	0,1
საბერძნეთი	5,0	-	5,4
ისრაელი	4,6	-	4,4
სხვა	1,0	1,7	1,5
სულ	100	100	100

ცხრილი 4.

საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის არსებით მხარედ იქცა შრომითი ემიგრაცია. 1990-იანი წლების საყოველთაო კრიზისამდე იგი ძირითადად სამხრეთ საქართველოს არაქართველი მოსახლეობისთვის იყო დამახასიათებელი, კრიზისის დროს კი მან მთელი საქართველო მოიცვა ფართო ეთნიკური სპექტრით. ახლო მომავალშ ასეთი სახის მიგრაციის ინტენსივობის შენელება მოსალოდნელი არაა, ამიტომ მისი ზემოქმედება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე საგრძნობი იქნება. საჭირო გახდება მისი სახელწიფოებრივი რეგულირება.

სახელმწიფოთშორისი შრომითი მიგრაცია მსოფლიო მოვლენაა. იგი მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის მნიშვნელოვანი სახეა და დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს განვითარებაზე, ისე მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებზე. უკანასკნელი მონაცემებით ეკონომიკური მიზეზებითა და

პოლიტიკური თავშესაფრის ძებნის მოტივით, თავიანთი სამშობლოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს 100-მლნ-ზე მეტი ადამიანი. ზოგიერთი შეფასებით კი, ჯერ კიდევ 80-იანი წლების შუახანებში მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში ითველბოდა 21,7 მლნ შრომითი მიგრანტი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იმიგრაციამ დიდ მასშტაბებს 70-იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში მიაღწია. ამჟამად ამ ქვეყნებში იგი ოდნავ შემცირდა, მაგრამ მსოფლიო მასშტაბით მეტად ინტესიური იქნება მომავალშიც.[25]

შრომით მიგრაციას, როგორც იმიგრაციის, ისე ემიგრაციის ქვეყნებისთვის მისთვის დამახასიათებელ უარყოფით მხარეებთან ერთად, უფრო მეტი დადებითი შედეგი აქვს. ზოგიერთი ქვეყნის მაგალითებზე თუ ვიმსჯელებთ, მართლაც ასეა. მაგალითად თურქეთში 80-იან წლებში საკმაოდ ბევრი გზავნილები დაფიქსირდა, ასევე სამხრეთი კორეა, სადაც საზღვარგარეთ მომუშავეებისგან პირდაპირი შემოსავლის სახით საკმაოდ დიდი ოდენობის დოლარს იღებდა. ზოგ შემთხვევაში, სხვს სახელმწიფოში გასული მუშახელი უფრო განვითარებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოშ ადაპტირდებოდა, ხოლო შემდგომ მათი დიდი ნაწილის სამშობლოშ დაბრუნება საგრძნობ ზეგავლენას ახდენდა თავის ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ პროცესებზე.

ანგარიშგასაწევია ზოგიერთი ქვეყნის მეცნიერთა უარყოფითი დამოკიდებულებაც შრომითი ემიგრაციისადმი. მათი აზრით, ეს პროცესი წარმოადგენს ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მუხრუჭს. წვეყნები კარგავენ კვაიფიციურ სამუშაო ძალას, იზრდება ინფლაცია, სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნები სულ უფრო მეტად ხდებიან იმპორტიორებზე დამოკიდებულნი და ა.შ. უნდა შვნიშნოთ, აგრეთვე, რომ თუ, ერთი მხრივ, იმიგრანტები დასავლეთის ქვეყნებში აბალანსებენ შრომის ბაზრის მოთხოვნილებას, წამოადგენენ იაფ სამუშაო ძალას, იმავდროულად ამ ქვეყნებს უქმნიან მრავალ სოციალურ, დემოგრაფიულ და პოლიტიკურ პრობლემას. 1987 წლის მონაცემებით ბევრ ქვეყანაში, როგორიცაა

[25]მირიან ტუხაშვილი. საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. გვ.19

ლუქსემბურგი, შვეიცარია, ბელგია და ა.შ. უცხოელების პროცენტული მაჩვენებლი საკმაოდ მაღალია.[26]

წარსულში ემიგრაცია საქართველოდან ძირითადად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, ზოგჯერ იძულებითს.

ამავე დროს, მე-19 საუკუნის განმავლობაში, საქართველოში იწყება ათეულ ათასობით არაქართული ეროვნების მოსახლეობის ჩამოსახლება, რაც რუსეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ეს კი იწვევდა მაშინდელი საქართველოს დემოგრაფიული განვითარებისა და გარე მიგრაციული პროცესების ურთიერთწინააღმდეგობას.

1914-1921 წლებში მიმდინარე ემიგრაციული პროცესი საქართველოში უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და ქართველების წილი მასში დიდი არ იყო.

1920-იანი წლების ბოლოდან, როცა საქართველო სსრკ-ის შემადგენლობაში შედიოდა, ჯერ ინდუსტრიალიზაციასთან, ხოლო 1930-იანი წლების დასაწყისში რუსეთში შიმშლობასთან დაკავშირებით, საქართველოში ასეულობით ათასი ადამიანი ჩამოსახლდა. ყოველივე ეს დემოგრაფიული გადასვლის მეორე ფაზის დროს ხდება, როდესაც ბუნებრივი მატება საკმაოდ მაღალია. წესით, ასეთ დროს ემიგრაცია უნდა ჭარბობდეს იმიგრაციას. მოცემულ შემთხვევაშიც საქართველოში მიმდინარე დემოგრაფილი გადასვლა და მიგრაციული გადასვლა წინააღმდეგობრივად ვითარდება.

1950-იან წლებში საქართველოში იმიგრაცია კლებულობს, ხოლო 1957 წლიდან უკვე ემიგრაცია ჭარბობს იმიგრაციას.

როგორც მოცემულ პერიოდში, ისე შემდგომში საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული გადასვლისა და მიგრაციული გადასვლის პროცესები ისევ წინააღმდეგობრივად ვითარდება.

როცა საქართველოს მოსახლეობის შრომით მიგრაციის პრობლემებზე ვმსჯელობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მათი რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია ამჟამად არ არსებობს. ამიტომაც გაჩნდა სამუშაოდ წასულთა რიცხოვნობაზე მრავალი ერთმანეთისგან დაცილებული

[26]იქვე გვ.21

ვარაუდი, ზოგჯერ დაუჯერებელი ციფრებიცა და გადაჭარბებული ხმაურიც. შრომით ემიგრანტთა კონტიგენტის ზუსტად დადგენა მეტად გაძნელებულია. როგორც ტუხაშვილის ნაშრომებშ ვკითხულობთ, მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება ყველაზე რეალურია ე.წ. ანამნესიკური მეთოდით, წასულთა ახლობლების გამოკითხვით. გამოკითხვა უნდა მოხდეს რეპრეზენტატული შერჩევის პირობებში და ჰანხორციელდეს ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით. მას უდიდესი მნიშნელობა ექნება მრავალი ასპექტით, თუნდაც რესპუბლიკაში სახეზერ მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის დადგენის თვალსაზრისით.

შრომითი ემიგრაციის პრობლემების მოგვარებაში, სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, დიდი როლის შესრულება შეუძლიათ სათვისტომოებს ემიგრაციის ქვეყნებში. მნიშვნელოვანია ქართული შრომითი ემიგრაციის სხვადასხვა გამოკვლევები და ამის მეშვეობით პრობლემების მეცნიერული შესწავლა. ევროპასა და ამერიკის ქვეყნებში მრავალი ასეთი გამოკვლევა ჩატარდა.

გარდა საზღვარგარეთ ჩატარებული გამოკვლევებისა საქართველოში, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ იქნა საქართველოშ მიგრაციული პროცესების შერჩევითი გამოკვლევა. გარე მიგრაციის შერჩევითი გამოკვლევა შემდეგი მიმართულებით წარმიმართა:

სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში, სპეციალური კითხვარით გამოკითხული იქნა ჩამოსული და გასული მიგრანტები და ამის საფუძველზე შედგა მათი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები. ასეთი გამოკვლევა TACIS-ისპროგრამის კომპონენტის სახით ჩატარებულ იქნა 2000-2001 წლების დეკემბერ-თებერვალში.

გამოკვლევის მიზანია საქართველოში გარე მიგრაციული პროცესების შესწავლა. მიგრანტთა ნაკადები განისაზღვრა შემდეგი მიმართულელებით:

- სქესი
- ასაკი
- ქორწინებითი მდგომარეობა
- მოქალაქეობა
- ეროვნება

- ქვეყანა
- განათლება
- პროფესია
- საქმიანობა
- მოსალოდნელი საქმიანობა
- მიგრაციის მიზანი
- მიგრაციის ხანგრძლივობა
- გავრცელების გეოგრაფია
- ძირითადი ნაკადების მიმართულებები (ქვეყნები).

სპეციალური კითხვარის საშუალებით, რომელიც 1998 წელს ჩატარებული მიგრაციული პროცესების გამოკვლევის ანკეტისა და უკვე ჩატარებული კვლევის გამოცდილებას ითვალისწინებდა. სულ გამოკითხული იყო 4796 რესპოდენტი. ოფიციალური მონაცემებით 2000 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირების რაოდენობამ 1377142 შეადგინა, მათ შორის საქართველოში ჩამოვიდა 681736, ხოლო საქართველოდან გავიდა 695406.[27] გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მიგრანტთა საერთო რაოდენობის 44,6% საქართველოში ჩამოსული, ხოლო 55,4%- გასულია. ამდენად, გარე მიგრაციის სალდოს სიდიდეა -10,8%.

ჩამოსულ და გასულ მიგრანტებს შორის 55,1% მამაკაცია, ხოლო 43,9% - ქალი.

ჩამოსულ და გასულ მიგრანტებში ჭარბობს 30-49 ასაკის მიგრანტები. ჩამოსულთა პროცენტული წილი 30,1%-ს შეადგენს, ხოლო გასულთა პროცენტული მაჩვენებელი 29,8%-ია. ყველაზე დიდია გარე მიგრაციის უარყოითი სალდო (20,8%) 303 წლამდე ასაკის მიგრანტებში. შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო ჯერ მცირდება, ხოლო 60 და უფროსი ასაკის მიგრანტებში იზრდება და აჭარბებს კიდეც 30-59 ასაკობრივი ჯგუფის მიგრანტების უარყოფით სალდოს. ნახაზი 1.

ასაკი, წელი\\\\\\\\\ჩამოვიდა/////////გავიდა

[27]მიგრაციის სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი 2001წ. გვ.5

<30 \\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\ 16.9%

//////////////////////////// 20.7%

30-39 \\ 30.1%

// 29.8%

40-49 \\ 31.4%

// 30.3%

50-59 \\\\\\\\\\\\\\\\\\\\\\ 15.6%

//////////////////// 12.9%

60+ \\\\\\\\\\\ 6.0%

/////////// 6.3%

ნახაზი 1.

ჩამოსულ და გასულ მიგრანტებს შორის, ყველაზე მეტია უმაღლესი განათლების მქონენი, ხოლო შემდეგნ საშუალო ზოგადი დაუფრო დაბალი დონის განათლებისანი. გარე მიგრაციის სალდო ყველაზე მაღალია სამეცნიერო ხარისხის მქონე მიგრანტებში (-26,2%). მაღალია გარე მიგრაციის სალდო უმაღლესი განათლების მქონე მიგრანტებში (-14,2%), ხოლო ყველაზე მცირეა - სპეციალური განათლების მქონეთა შორის (-2,0%).ნახაზი 2.

განათლება **ჩამოვიდა**////////**გავიდა**

საშუალო და დაწყებითი \\\\\\\\\\\\\\\\\\\\



ნახაზი 2.

ჩამოსულები ძირითად მიზნად ასახელებენ საქართველოში დაბრუნებას (35,3%). სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში იგულისხმება, მუდმივსაცხოვრებლად დაბრუნება. შემდეგ საქართველოში ჩმოსვლის მნიშნელოვან მიზნად დასახელდა სტუმრად ჩამოსვლა (23,3%), საქმიანი მივლინება (10,2%) და კომერციული მიზნით ჩამოსვლა (7,1%).

გასვლის ძირითად მიზნად მიგრანტები ასახელებენ საზღვარგარეთ სტუმრობას (20,6%). მნიშნელოვან მიზანს წარმოადგენს აგრეთვე დასასაქმებლად საზღვარგარეთ გასვლა (16,3%), თუმცა ამ მიზნით ჩამოსულთა წილი გასულებთან შედარებით ძალიან უმნიშნელოა (0,8%). გასულ მიგრანტთა 15,9% თავის სამშობლოში ბრუნდება, ხოლო 12,1% საზღვარგარეთ საქმიანი მივლინებით მიემგზავრება. კომერციული მიზნით საზღვარგარეთ მიგრანტთა 10,1% მიემგზავრება. ნახაზი 3.



ნახაზი 3.

მიგრანტებს შორის საზღვარგარეთის მოქალაქეების 30%-მდე ადრე ცხოვრობდა საქართველოში, ხოლო მიგრანტ საქართველოს მოქალაქეების 13%-მდე ადრე ცხოვრობდა საზღვარგარეთ.

ქვეყნის ადრე დატოვების მიზეზებად ჩამოსულებიც და გასულებიც უფრო ხშირად ასახელებდნენ მძმე საყოფაცხოვრებო პირობებს, სამუშაოს არქონას და იძულებით გადაადგილებულ პირად ყოფნას. ჩამოსულებშც და გასულებშიც ძირითადად საქართველოს მოქალაქეები არიან, შემდეგ კი რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეები. ნახაზი 4.



ნახაზი 4.

ჩამოსულ და გასულ მიგრანტთა შორის პრაქტიკულად ყველა პროფესიის წარმომადგენელი გვხვდება, თუმცა მათშ ჭარბობს ინჟინრები (14,7%), ეკონომისტები (9,1%), მძღოლები (7,7%), ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლები (6,7%), ექიმები (5,1%), ექთნები და მედდები (4%).

მაღალი უარყოფითი სალდო ახასიათებთ სამხედროებს, ხელოვნების მუშაკებს, სტუდენტებს, პედაგოგებს, მუშებს, ეკონომისტებსა და ექიმებს. ნახაზი 5.



ნახაზი 5.

რაც შეეხება მოსალოდნელ საქმიანობას, მოცემულ შემთხვევაში ყველაზე მაღალია ვაჭრობა-იზნესი, რომლებზედაც პრაქტიკულად მიგრანტთა დაახლოებით ნახევარი მოდის. მართალია, მოსალოდნელი საქმიანობით, ვაჭრობა-ბიზნესთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია ძიძა-მომვლელების, მშენებლების, სპორტსმენების, მუშების, ბუღალტრების, დიასახლისებისა და პენსიონერების წილი, მაგრამ მათში ძალიან მაღალია უარყოფითი სალდოს მნიშვნელობა. ნახაზი 6.



-77,8% ▌ ძიძა-მომვლელი

ნახაზი 6.

მიგრაციის ძირითად მიზნად როგორც ქალები, ისევე მამაკაცები ასახელებენ სამშობლოში დაბრუნებას, სტუმრად, სამუშაოდ და საქმიანი მივლინებით გამგზავრებას. საქმიანი მივლინების შემთხვევაში მამაკაცების წილი ჭარბობს ქალებისას, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში - პირიქით. ნახაზი 7.


მიზანი\\\\\\\\მამაკაცი//////ქალი
საქმიანი მივლინება \\\\\\\\\

39 ასაკის მიგრანტებში. 40-59 წლის მიგრანტებში დასახელებული მიზების გარდა თავს იჩენს საქმიანი მივლინება.

50 და უფროსი ასაკის მიგრანტების მეტი წილი მიგრაციის ძირითად მიზეზად ასახელებს სტუმრობას. შედაებით ნაკლები წილი მოდის სხვა დასახელებული მიგრაციის მიზეზებზე. ნახაზი 8.





ნახაზი 8

გარე მიგრაცია სადღეისოდ ინარჩუნებს დიდ აქტუალობას. გარე მიგრაციის სალდო უარყოფითია. მამაკაცების წილი რამდენადმე მეტია ქალებთან შედარებითდა მიგრანტთა დიდი ნაწილი დაახლოებით 80% 50 წლამდე ასაკისაა. მოცემულმა გამოკვლევამ აჩვენა, თითქოს დასაქმების მიზნით ნაკლები ადამიანი მონაწილეობს გარე მიგრაციულ პროცესებში, სტუმრობით ან საქმიანი მივლინებით დაკავებულებთან შედარებით. მაგრამ შრომითი მიგრაციის მოივი ფარული ფორმით ბევრ სხვა დასახელებულ მიზანშია ასახული, მაგალითად სტუმრობის ან კომერციული და სხვა მიზნით მიგრაცია.

საქართველოს სტატისტიკის სახელწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 1995-2000 წლებში გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 34,8 ათასი იყო, ანუ საშუალოდ წელიწადში 5,8 ათასს შეადგენდა იმავე პერიოდისთვის (1995-2000) გაეროს ექსპერტები გარე მიგრაციოის უარყოფით სალდოს საშუალოდ წელიწადში 80 ათასად აფასებენ.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიოს თანახმად 1990-2006 წწ. ქვეყნიდან დროებით და მუდმივად ემიგრირებულთა რაოდენობამ, დაახლოებით მილიონი ადამიანი შეადგინა, რომელთა შორის სავარაუდოდ ნახევარზე მეტი ქართველი იყო. მიგრაციული პროცესების არასრული აღრიცხვის პირობებში ემიგრანტების

რაოდენობა უფრო მეტია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სტატისტიკისთვის მიგრაციულ პროცესებში მონაწილეთა აღრიცხვა- სხვა დემოგრაფიულ პროცესებთან შედარებით ყოველთვის „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენდა. თვით ისეთი ტოტალიტარული სახელმწიფოს არსებობის პირობებშიც კი როგორიც იყო ყოფილი საბჭოთა კავშირი, მონაცემები მიგრაციის შესახებ არ ასახავდა რეალობას. აღნიშნული ფაქტი იმით იყო გამოწვეული, რომ ხშირად მოქალაქე საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შემთხვევაში კვლავ რჩებოდა ძველ ბინაშ ჩაწერილი, ხოლო გარედან მოსული მიგრაბტევუი ახალ საცხოვრებელ ადილას არ აღირიცხებოდნენ, რის შედეგადაც მონაცემები მიგრანტების შესახებ ნაკლებად სანდო იყო.[28]

შესაძლებელია ითქვას, რომ საყოველთაო კრიზისისა და ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების ურთულეს პირობებში სავსებით მოიშალა მიგრაციის სტატისტიკა.

გარე ემიგრაციულმა პროცესებმა საქართველოში ძალიან მაღალ მასშტაბებს 1992-1996 წწ. მიაღწია, როდესაც 668,5 ათასმა მოქალაქემ დატოვა ქვეყანა. შემდგომ წლებში 2003 წლის ჩათვლით მიმდინარეობდა უარყოფითი ემიგრაციული სალდოს კლების პროცესი. 2004 წელს, დამოუკიდებლად არსებობის წლებში ქვეყანაში პიველად დაფიქსირდა მიგრაციის დადებითი სალდო, რომელიც 2006 წელს კიდევ უფრო გაიზარდა და 76,3 ათასს მიაღწია, 2006 წელს მიგრაციული სალდო ქვეყანაში კვლავ უარყოფითი იყო.[29] ნახაზი 9.

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციული სალდო
1990-2006 წწ.

[28]საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. გიორგი მელაძე. თბილისი 2007წ. გვ.93-94

[29]იქვე გვ.94



ნახაზი 9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.

მიგრაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსახლეობის განვითარებაში. ის ზემოქმედებს მოკვდაობასა და შობადობაზე. იგი ყოველთვის დაკავშირებულია ფიზიოლოგიურ ადაპტაციასთან.

მეცნიერთა დასკვნით, ადამიანები ბევრად არიან დამოკიდებული იმ ბუნებრივ გარემოზე, რომელშც გაიზარდნენ. მაგალითად ბარში გაზრდილებს უჭირთ მაღალმთიან რეგიონშ ცხოვრება, ჰორიზონტის ყურებას შეჩვეულები, იქ ჩაკეტილ სივრცეში გრძნობენ თავს. მართალია საბოლოოდ, მიგრანტთა უმრავლესობა ეჩვევა არსებულ პირობებს, მაგრამ მის ორგანიზმში აღდგენილი ბალანსი ისეთივე სრულფასოვანი არაა, როგორც ძველი. ამასთან, ახალ პირობებში მოქცეული ორგანიზმი უფრო ინტენსიურად მუშაობს და სწრაფად ცვდება, რაც ამოკლებს მის სიცოცხლეს. თუ მიგრანტს ძლიერი იმუნიტეტი არ აქვს, არის რეალური საშიშროება მისი ჯანმრთელობის შერყევისა.[30]

საქართველოში ემიგრაციის პრობლემებზე ჩატარებული 1990-იანი წლების

[30]მიგრაციის კვლევის ცენტრი. მზია შელია.თბილისი 2007 წ. გვ.116

შემდეგდროინდელი გამოკვლევები მიუთითებს, რომ მიგრანტთა უმრავლესობა ვერ შეეგუა კარგად უცხო გარემოს. ეს, ცხადია, ასახვას ჰპოვებდა მათ ჯანმრთელობაზე. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იცინი, ძირითადად, არალეგალები არიან. სხვა ქვეყანაში უკანონოდ ცხოვრება კი დამატებით სირთულეებთან, უამრავ სტრესულ მდგომარეობასთან არის დაკავშრებული. ზოგიერთი მკვლევარების

აზრით ეს იმ პირობებში როდესაც შრომით მიგრანტთა მხოლოდ 18%-ს ჰქონდა სამედიცინო დაზღვევა, 61%-ს კი არანაირი სამკურნალო-პროფილაქტიკური შემოწმება არ გაუვლია.[31]

1989 და 2002 წლის აღწერებს თუ შევადარებთ, მიგრანტთა მობილობა თითქმის არ შეცვლილა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. (ცხრილი 5).

მოცემულ ადგილზე 2 წელზე ნაკლები დროით მცხოვრებ მიგრანტთა განაწილება ასაკის მიხედვით 1989-2002 წწ. (%)

წელი	შრომის ასაკამდელ	შრომის ასაკის	შრომის ასაკგადაცილებულ
1989	17,8	77,2	5,0
2002	19,0	76,0	5,0

ცხრილი 5

ტრადიციულად, მიგრანტებზე ზეგავლენას ახდენს დემოგრაფიული ქცევის ადგილობრივი ნორმები, ამასთან, მიგრანტებს ახალ საცხოვრებელ ადგილზე ჩააქვთ დემოგრაფიული ქცევის თავისი ნორმები, რითაც ზეგავლენას ახდენენ შობადობის დონეზე მიმღებ ქვეყანაში. დასავლეთის ქვეყნებში განვითარებადი ქვეყნებიდან გადასახლებულნი პირველ წლებში უფრო მეტ შვილებს აჩენენ, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა.

ამჟამად საქართველო ემიგრაციული ქვეყანაა, სადაც მოსახლეობა სუსტი

[31]შრომითი მიგრაცია საქართველოდან. თბილისი 2003 წ. გვ. 54-55

დემოგრაფიული ქცევით ხასიათდება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მიგრანტთა უმრავლესობა არალეგალია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კონტიგენტისთვის კიდევ უფრო მეტადაა დამახასიათებელი შეკვეცილი აღწარმოება, ვიდრე საქართველოში დარჩენილი მოსახლეობისთვის. ცნობილია, ისიც, რომ ჩვენი ქვეყნიდან ძირითადი მიგრაციული ნაკადები მიმართულია რუსეთის, საბერძნეთისა და გერმანიისკენ. ეს ის ქვეყნებია, რომლებსაც საქართველოს მსგავსად დეპოპულაცია ახასიათებთ და შექმნილი ვითარება არ უბიძგებს შობადობის ზრდისკენ. მაგალითად, 2005 წელს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი რუსეთში 1,4; გერმანიასა და საბერძნეთში - 1,3-ია. იგივე მაჩვენებელია საქართველოშიც.[32]აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მიმღებ ქვეყნებში არსებული დემოგრაფიული ქცევა ჩვენი ქვეყნიდან გასულ მიგრანტთა დემოგრაფიულ ქცევას ნამდვილად არ გააუმჯობესებს. გარდა ამისა, არც ჩვენს მიგრანტებს არ შეუძლიათ შეცვალონ მათი დემოგრაფიული სტრუქტურა, ან რაიმე დემოგრაფიული საფრთხე შეუქმნან მიმღებ ქვეყნებს.

შრომის ბაზრის ფორმირება საქართველოში უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში დაიწყო. ფორმირების პროცესში მყოფი ეროვნული შრომის ბაზრის ფუნქციონირება კიდევ უფრო გაართულა იძულებით გადაადგილებულ პირთა მასობრივმა უმუშევრობამ. გასული საუკუნის 1990-იან წლებში აფხაზეთის რეგიონიდან იძლებით გადაადგილებულ მოსახლეობას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის საომარი კონფლიქტის შედეგად კიდევ რამდენიმე ათასი ოჯახი დაემატა. იძლებით გადაადგილებული შრომისუნარიანი მოსახლეობის უმრავლესობამ, სამწუხაროდ, უმუშევართა რიგები „შეავსო“. ასეთ პირობებში კიდევ უფრო აქტუალური გახდა რეგიონული თუ ლოკალური შრომის ბაზრის გამოკვლევა - უმუშევრობის გამომწვევი მიზეზების, მასშტაბების, ხანგრძლივობის, უმუშევართა სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, სოციალური მდგომარეობისა და სხვა მახასიათებლების დადგენა-ანალიზი.[33]

აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერული კვლევის უაღრესად დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მისი ფინანსური უზრუნველყოფა ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება.

[32]მიგრაციის კვლევის ცენტრი. მზია შელია.თბილისი 2007 წ. გვ.120
[33]მიგრაციის კვლევის ცენტრი. ნათელა ლაცაბიძე. თბილისი 2010 წ. გვ.145-146

ამ მხრივ გამონაკლისია დანიის ლტოლვილთა საბჭოს დაინტერესება საქართველოოს შრომის ბაზრის პრობლემებით და კვლევის მხარდაჭერით.შრომის ბაზრის დეტალური ანალიზის შედეგად გამოვლინდა მისი ფუნქციონირების თავისებურებები, დამსაქმებელთა გამოკითხვის საფუძველზე კი დადგინდა კონკრეტული პროფესიები და სპეციალობები, რაზეც არსებობს მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნა, შეფასდა ბაზრის მხრიდან მოთხოვნილი პროფესიებისა და სპეციალობების შესაბამისობა ამჟამად უმუშევარ იძულებით გადაადგილებულ პირთა პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობასთან. შემუშავდა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძლებით გადაადგილებულ პირთა დასაქმების რეკომენდაციები და უმუშევართა გადამზადების კონკრეტული ღონისძიებების პროექტი. არსებული გამოკვლევით დადგინდა იძულებით გადაადგილებულ პირთა უმუშევრობის მიზეზები და შემოთავაზებულ იქნა დასაქმების ხელმისაწვდომი პირობები.

2010 წლისიანვარშისაქართველოშიჩატარდა 1992- 1993 წწ. ომისშედეგადაფხაზეთიდანიძულებითგადაადგილებულ (დევნილთა) დაამჟამადკოლექტიურცენტრებშიმცხოვრებპირთაგამოკითხვა.

კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობის უზრუნველსაყოფად მკვლევართა ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა იძულებით გადაადგილებული პირების გამოკითხვა ჩასახლების ადგილებში. გამოკითხვაში მონაწილეობდა202 რესპოდენტი. მათაგან მამაკაცის პროცენტული წილი 59%-ია, ხოლო ქალის-41%. მათგან 56% - 30-49 წლის ასაკშია, 18% - 50 წლის და უფროსი ასაკისაა, ხოლო 26% - 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდაა.

2.2 საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ძირითადი მიმართულებები და ორგანიზაციული ფორმები

შრომითი ემიგრაცია ახალი მოვლენა არაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ომები ინტენსიურად განვითარდა და თავისი სოციალური შედეგებით მეცნიერთა და მთელი მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. დაიწყო არამარტო მისი

მეცნიერული შესწავლა, არამედ შრომითი ემიგრაციის მრავალი სოციალური პრობლემა აისახა მხატვრულ ლიტერატურაში, კინოსა და პრესაში. შრომითმა ემიგრაციამ არამარტო ევროპის სამხრეთი ქვეყნები (პორტუგალია, ესპანეთი, იტალია, იუგოსლავია, საბერძნეთი), არამედ ხმელთაშუა ზღვის აუზის სახელმწიფოებიც მოიცვა (თურქეთი, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები). შრომითი მიგრაცია საკმაოდ ინტენსიური ხდება აზიის შედარებით განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, ტაივანი, სინგაპური, მალაიზია და ტაილანდი, სადაც ეკონომიკის განვითარების აშკარად მაღალი დონეა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. მსოფლიო მასშტაბის ახალი ემიგრაციული ტალღა წარმოქმნა სსრკს დაშლამ და, საერთოდ, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე ინტენსიურმა ტრანსფორმაციულმა პროცესებმა. სავსებით ბუნებრივია დასავლეთის სახელმწიფოთა შეშფოთება და რეაქცია მიგრაციის გაზრდილ მასშტაბებზე და მათი ქვეყნებისათვის მის უარყოფით შედეგებზე. ამიტომ ისინი ცდილობენ, ერთი მხრივ, ანგარიში კი გაუწიონ ადამიანის უფლებათა დაცვას, მაგრამ, მეორე მხრივ, თავიდან აიცილონ ინტენსიური იმიგრაციის ნეგატიური ზეგავლენა, განსაკუთრებით არალეგალური იმიგრაციისა.[34]

ასეთ ვითარებაში საქართველოდან დასავლეთის ქვეყნებისაკენ შრომითი ემიგრაციული პროცესები უმთავრესი და არალეგალური ხასიათისაა და მისი განხორციელება მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ხშირია ტურისტული, სწავლის გაგრძელების მიზნით, ლტოლვილობით მოტივირებული გამგზავრება და არც თუ იშვიათად ბედის ანაბარა სხვა ქვეყანაში მოხვედრა. არსებობს სხვადასხვა გამოკვლევები, რომლებიც ნათლად გადმოსცემენ საქართველოდან წასული მოსახლეობის რაოდენობას და მათ მიმართულებებს. მნიშნელოვანია სტატისტიკური ორგანოების მიერ შინამეურნეობების გამოკვლევებიდან დროებით წასულთა რაოდენობა 1998 წლისათვის. ამ მასალის მიხედვით სხვა ქვეყანაში წასულია 48,7 ათასიკაცი.

პროფესორი რ. გაჩეჩილაძე საკმაოდ დამაჯერებლად მსჯელობს საქართველოდან

[34]საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. ნათია ჭელიძე. თბილისი 2000 წ. გვ. 5-6

250-280 ათას შრომით ემიგრანტზე, რომელიც გავიდა 1990-1996 წლებში: "ფაქტობრივად, მეტი შეიძლება ვერც მოინახოს საქართველოში ადამიანი, რომელიც ენობრივად იქნება მომზადებული . . . რაიმე ხელობაც ეცოდინება და შრომითი მიგრაციის რისკზე წასვლასაც არ მოერიდება. ზემო აღნიშნულ რაოდენობაში შედის როგორც ქართველი, ისე არაქართველი მოსახლეობაც. ეს უკანასკნელი უფრო ინტენსივობით ემიგრირდა საქართველოდან. მოსახლეობის მიგრაციული მოძრაობის გამოკვლევა "პილოტაჟური დაკვირვებით, რომელიც პროფ. რ. გაჩეჩილაძემ ჩაატარა 1990-1997 წ.წ. 201 კომლზე (916 პირი), თითქმის ადასტურებს მის მიერ სხვა გზით მიღებულ სავარაუდო გამოთვლებს. 28 დაწვრილებით ეხება შრომითი ემიგრაციის პრობლემებს პროფ. თ. გუგუშვილი. იგი ვარაუდობს სხვა ავტორებისაგან განსხვავებულ ციფრს და მიაჩნია, რომ 1990-1997 წლების რვაწლიან პერიოდში საქართველო დატოვა 820 ათასმა კაცმა, მათგან 400 ათასი 6 თვეზე მეტი ხნითაა წასული. შემდგომ, როცა იგი ეხება ფულად გზავნილებს საქართველოში, მაშინაც 400 ათას შრომით ემიგრანტს ვარაუდობს.[35]1990-იანი წლების შემდეგ საქართველოდან შრომითი მიგრაციის მიმართულებში მოხდა ცვლილებები: პერიოდის დასაწყისში მიგრანტთა გადაადგილების ვექტორი უმთავრესად რუსეთისა და თურქეთისკენ იყო მიმართული. პირველ მასობრივ ნაკადს შეადგენდა: ა) ეთნიკური ჯგუფები, რომელთა საბოლოო განზრახვა თავიანთ ტერიტორიებზე დაბრუნება იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, საბერძნეთი, ისრაელი]; ბ) დღეისთვის ყველაზე წარმატებულებად მისაჩნევი უკვე სტაციონარული მიგრანტები, რომელთა ძირითადი ნაწილი საქართველოში აღარ დაბრუნებულა. მათ ამ ხნის განმავლობაში რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს, აქვთ სტაბილური სამსახური (პროფესიის შესაბამისიც კი) და რუსეთში საპენსიო ასაკამდე დარჩენას ხსნიან მათი მეორე თაობისთვის უკეთესი ცხოვრების პირობების (ეს იქნება საქართველოში თუ სხვაგან) შექმნით; გ) კომერციული და შრომითი მიგრანტები თურქეთის მიმართულებით, რომელთა შორის ჭარბობდა ქალთა კონტინგენტი. შემდეგში მიგრაციული ნაკადების მიმართულება თანდათან შეიცვალა დასავლეთ

[35]საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. ნათია ჭელიძე. თბილისი 2000 წ. გვ. 9

ევროპისა და აშშ-სკენ, რაც კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმოსვლის სავიზო რეჟიმის შემოღებამ. დასავლეთისკენ მიმართული ნაკადის შემადგენლობას ძირითადად წარმოადგენს «შრომითი-განათლებრივი» მიზნით ემიგრირებული ახალგაზრდობა; დასავლეთის შრომის ბაზრისმ ოთხოვნიდან გამომდინარე, 45 წლამდე ასაკის ქალები და «ბედის ანაბარად» წასული მამაკაცები. როგორც ვხედავთ, თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის ინტენსიური პროცესი იწვევს საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების არა მხოლოდ რაოდენობრივ ზრდას, არამედ ამ პროცესის ხასიათის თვისობრივ ცვლილებასაც. 1990-იანი წლებიდან მიგრაციულ ნაკადებში თანდათან გაიზარდა «ელიტის», ანუ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების წილი. ე.წ. «ელიტის» მიგრაციას «ჩრდილოეთი_ჩრდილოეთი» და «ჩრდილოეთი_სამხრეთი» მიმართულებით ახასიათებს უპირატესად დადებითი შტრიხები, რადგან ეს მიგრანტები არსებითად წარმოადგენენ ღარიბიქვეყნების მოდერნიზაციისა და სოციალური ტრანსფორმაციის აგენტებს, «სამხრეთი_- ჩრდილოეთი» ღერძით ასეთი მიგრაცია კი საბოლოო ჯამში, იწვევს «ტვინების გადინებას», რომლის უკონტროლობა მესამე მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და სამეცნიერო ჩამორჩენას კიდევ უფრო გააძლიერებს, რაც, თავისმხრივ, კიდევ უფრო გაზრდის ღარიბი და უღარიბესი ქვეყნებიდან საერთაშორისო უკანონო მიგრაციას. ასეთი საშიშროების წინაშე დგას საქართველოც.

საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის განხილვისას, საყურადღებოა მოსახლეობის გადაადგილება სოფლიდან ქალაქად და მათი მიგრაციის პრობლემები.

როგორც საზოგადოების განვითარების ყველა მხარეს, საქართველოში ურბანიზაციის პროცესსაც აქვს მრავალი მკვეთრად გამოხატული თავისებურება. საქართველოში თანამედროვე ურბანიზაციის პროცესი ინდუსტრიალიზაცის, სოფლიდან ქალაქად მიგრაციის პროცესთანაა დაკავშრებული. მას საფუძლად უდევს და განსაზღვრავს წარმოების განლაგებისა და კონცენტრაციის ეფექტიანობის კანონზომიერებანი. მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად გადანაწილება მოსახლეობის დასაქმებაში დარგობრივი გადანაწილების შედეგია.

კერძოდ, სოფლის მეურნეობიდან არასასოფლო დარგებში და მთელ ეკონომიკაში მათი ხვედრითი წონის სისტემატური ამაღლების შედეგი. დარგობრივ გადანაწილებას თან სდევს ტერიტორიული გადანაწილება. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობა მცირდება და ამ დარგიდან გამოთავისუფლდება, რაც სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერებას ზრდის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რესურსების შეზღუდულობის გამო ხდება. იცვლება ტერიტორიული პროპორციები სამუშო ადგილების განაწილებაში ქალაქწარმომქმნელი დასგების სასარგებლოდ.

ეს ორივე პროცესი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. მაგალითად: 1960-1990 წწ. საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა მთლიან დასაქმებაში 22 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო ქალაქის მოსახლეობა მხოლოდ 14 პუნქტით ამაღლდა.[36](ცხრილი 6)

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა და ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონის ცვლილება 1960-1990 წწ.

	19	1970	1980	1985	1990
სოფლის მეურნეობ დასაქმებულთა ხვ. წ	4	38	31	28	26
ქალაქის მოსახლეობ წონა მთელ მოსახლეო	4	48	52	54	56

ცხრილი 6

სოფლიდან ქალაქად მიგრაციის ინტენსიობის შეფასებისას უნდა აღინიშნოს „სოფელი-ქალაქი“ და „ქალაქი-სოფელი“ ნაკადების რიცხობრივი სხვაობის-სალდოს ინტენსივობა და ამ ნაკადთა ურთიერთთანაფარდობა, რომელშიც მიგრაციის ეფექტიანობაც ვლინდება.[37]

[36]საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი. თბილისი 1996 წ. გვ 28
[37]იქვე. გვ. 30

მოსახლეობისა და შრომითი რესურსების განაწილების ტერიტორიული პროპორციების სრულყოფა საქართველოს ეკონომიკური და შრომითი პოტენციალების გამოყენების ეფექტურობის ზრდის მნიშვნელოვანი გზაა. ამ პრობლემის ერტ-ერთი შემადგენელი ნაწილია საქართველოს დედაქალაქის, თბილისის, ზრდის შეზღუდვა და საშუალო და პატარა ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური აქტივიზაცია, რომელიც 70-იანი წლებიდან მეტ-ნაკლები ეფექტურობით ტარდებოდა რესპუბლიკაში.

აღსანიშნავია, რომ პრობლემა აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც დიდსა და მსხვილ ქალაქებში დამუშავებითი მრეწველობის ექსტენსიური განვითარების გამო, მოსახლეობის კონცენტრაციის არსებული ტემპების შენარჩუნება ეკონომიკურად და სოციალურად არახელსაყრელი გახდა. განსაკუთრებით პრობლემატურია ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების საკითხი.

საშუალო და პატარა ქალაქებში მიგრაციის სალდო უარყოფითია, თუმცა მისი ინტენსივობა მაინც დაეცა. საქმე ისაა, რომ მართალია, საშუალო და პატარა ქალაქებში სამუშაო ადგილების რაოდენობა გაიზარდა და ისინი სამუშო ძალის მიზიდვის ცენტრები გახდნენ, მაგრამ მოცემულ ეტაპზე ეს მოხდა შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის განვითარებით.[38]

მნიშნელოვანია ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგები, რომელიც საკმაოდ კარგად აღწერა მირიან ტუხაშვილმა თავის ნაშრომში „საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია“.

როგორც აღნიშნულმა გამოკვლევამ აჩვენა, ემიგრანტები 8,5-ჯერ სჭარბობენ იმიგრანტებს. უარყოფით სალდოში 54,9% ქალია, 97,7% - მუდმივად ემიგრირებული.მიგრირებულთა უმეტესი ნაწილი ყოფილ სსრკ ფარგლებში გადასახლდა.[39](ცხრილი9)

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის ძირითადი მიმართულებები 1993წ. (პროცენტობით ჯამთან)

[38]საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი. თბილისი 1996 წ. გვ 39
[39]საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი. თბილისი 1996 წ. გვ 14

ქვეყანა	წავიდა	ჩამოვიდა	სალდო
რუსეთი	62,4	67,4	61,9
უკრაინა	9,0	12,1	8,6
აზერბაიჯანი	12,2	7,3	12,7
სომხეთი	3,0	7,9	2,5
ბელორუსია	1,3	0,3	1,4
შუა აზიის ქვეყნები	0,4	1,5	0,3
ყაზახეთი	0,4	1,2	0,3
ბალტ. ქვეყნები	0,1	0,6	0,1
საბერძნეთი	5,0	-	5,4
ისრაელი	4,6	-	4,4
სხვა	1,0	1,7	1,5
სულ	100	100	100

ცხრილი 9

მიგრანტთა სტრუქტურას და ინტენსივობას ძირითადად სახელმწიფოთა მდებარეობა და საქართველოს მთელ მოსახლეობაში ამ ქვეყნების ძირითადი ეროვნების რიცხობრივი წარმომადგენლობა განსაზღვრავს. საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული მიმოცვლა აქვს სსრკ ოთხ ყოფილ რესპუბლიკასთან: რუსეთთან, უკრაინასთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან, აგრეთვე საბერძნეთთან და ისრაელთან. სხვა მიმართულებით იმ დროის განმავლობაშ მოძრაობა შედარებით მცირე იყო და გამოკვეთილი ნაკადები არ ფიქსირდებოდა.

როგროც ვხედავთ, მიგრაცია იმ ქვეყნებთანაა შედარებით ინტენსიური, რომელთა ძირითადი ეროვნებანი საქართველოში სახლობს. ამდენად, საინტერესოა სპექტრი, რომელსაც მიგრაციულ ნაკადებში საქართველოშ მცხოვრები შედარებით მოზრდილი ეთნიკური ჯგუფები ქმნიან.[40] (ცხრილი 10)

გარემიგრაციული ნაკადების ეროვნული სტრუქტურა (%)

[40]საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი. თბილისი 1996 წ. გვ 15

ეროვნება	წავიდა	ჩამოვიდა	უარყოფითი საღ
ქართველი	13,2	49,0	8,4
რუსი	36,1	9,0	39,7
სომეხი	11,1	19,1	10,1
აზერბაიჯანელ	14,4	12,5	14,7
ოსი	4,5	0,7	5,0
ბერძენი	6,2	5,0	6,3
აფხაზი	0,01	-	0,0
ებრაელი	4,7	0,2	5,3
უკრაინელი	5,6	2,0	6,1
სხვა	4,2	2,5	4,3
სულ	100	100	100

ცხრილი 10

რადგან 1993 წელს ემიგრანტები საშუალოდ 8,5-ჯერ სჭარბობდნენ იმიგრანტებს, ამიტომაა ერთი შეხედვით, წასვლისა და ჩამოსვლის ნაკადებში სტრუქტურული ასიმეტრიულობა. უკლებლივ ყველა ეროვნებას მიგრაციული მიმოცვლის სალდო უარყოფითი აქვს. ქართველების წილი სალდოში მცირეა. 1993 წელს საქართველოდან მათი მუდმივი საცხოვრებლად წასვლა მნიშნელოვანი არაა. მიგრაციის სალდოში არააბორიგენი მოსახლეობა დომინირებს.[41]ეს ყველაფერი კარგადაა ასაული ქვემოთ მოცემულ ცხრილში. (ცხრილი 11)

საქართველოდან წასულ სხვადასხვა ეროვნების მიგრანტთა განაწილება ქვეყნების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

[41]საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. მირიან ტუხაშვილი. თბილისი 1996 წ. გვ 17

ეროვნება	რუსეთი	უკრაინა	ბელორუსია	აზერბაიჯანი	სომხეთი	შუა აზიის	ყაზახეთი	ბალტიის ქვეყნები	საბერძნეთი	ისრაელი	სხვა ქვეყნები	სულ
ქართველი	74,7	12,9	0,7	2,4	1,1	1,5	0,9	0,5	1,9	2,5	0,9	100,0
რუსი	85,6	9,7	1,2	0,2	0,4	0,5	0,3	0,1	0,5	0,5	1,0	100,0
სომეხი	62,6	7,1	0,6	0,7	24,6	0,1	0,4	0,1	0,6	2,0	1,2	100,0
აზერბაიჯანელი	16,0	2,7	0,4	78,9	0,2	-	0,9	-	0,4	0,4	0,1	100,0
ოსი	91,9	4,3	-	1,8	0,3	-	-	-	1,7	-	-	100,0
ბერძენი	34,2	2,9	0,4	1,4	0,2	0,2	-	-	59,8	-	0,9	100,0
აფხაზი	-	100,0	-	-	-	-	-	-	-	-	-	100,0
ებრაელი	8,8	0,5	0,5	0,5	-	0,2	0,2	-	1,1	73,7	14,5	100,0
უკრაინელი	58,2	35,9	2,3	-	0,2	0,4	0,4	0,4	0,5	0,3	0,3	98,9
სხვა	68,9	10,8	8,9	1,0	3,1	1,6	1,6	0,5	-	-	3,8	100,2

ცხრილი 11

ქართველი ემიგრანტთა ძირითადი მასა რუსეთ-უკაინისკენაა მიმართული. უმნიშნელოა ქართველთა საცხოვრებლად წასვლა გეოგრაფიულად უახლოეს რესპუბლიკებში, როგორიცაა სომხეთი და აზერბაიჯანი. ეს ქართული ემიგრაციისთის არა მარტო ამ წელს, არამედ ადრეული წლებისთისად იყო დამაასიათებელი. იყო მხოლოდ აზერბაიჯანიდან ჩამოსულ, შემდგომში სწავლადასრულებულ ინგილოთა თავის ეთნიკურ ტერიტორიაზე დაბრუნების პროცესი.

რაც შეეხება სომეც ემიგრანტებს, ისინი ძირითადად მიემართებიან არა სომხეთისკენ, არამედ რუსეთსა და სხვა ქვეყნებისკენ. ადრეულ წლებთან შედარებით ეს ამჟამად მეტადაა გამოკვეთილი. ის გარემოება, რომ საქართველოდან ემიგრირებულ სომეხთა 70% რუსეთ-უკაინაში მიდის საცხოვრებლად, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მათი ემიგრაციის მიზეზი ამ

შემთხვევაში უკვე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა და ნაკლებად ეთნიკურ-კულტურული გარემოითი დაუკმაყოფილებლობია ან უბრალოდ მათი შევიწროვება.

ასევეა უკრაინელთა მიგრაციაც. ძირითადი მასა (68,8%) მიემართება რუსეთისკენ, შედარებით ნაკლები - თავისი სამშობლოსკენ (35,9%). აქაც გადამწყვეტი ეკონომიკური მიზეზებია. რუსეთთან შედარებით უკრაინაში ცხოვრების პირობები გაუარესდა.

ებრაელები და ბერძნები საკუთარი, უძველესი კულტურული და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისკენ მიისწრაფვოდნენ. ადრეულ წლებში მათი რეპატრიციის ბევრი შემზღუდავი ფაქტორი მოქმედებდა. ამჟამად ორგანიზაციულად გაადვილდა მათი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბერძნებმა ნაწილობრივ გადაინაცვლეს (34,2%) რუსეთის იმ რეგიონებისკენ, სადაც ჯერ კიდევ შემორჩა ბერძნული კოლონიები. ეს საქართველოშ შექმნილი ღრმა ეკონომიკური კრიზისის შედეგია.

თუ ბოლო წლებამდე მიგრაციის მაღალი ინტენსივობის მიუხედავად, გარე მიგრაციის სალდო შედარებით მცრე იყო და მისი ზეგავლენა საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობასა და შრომით პოტენციალზე არსებითი არ იყო, 90-იან წლებში სალდოს ინტენსივობა თანდათან იზრდება და მისი ზეგავლენა შრომით პოტენციალზე ძლიერდება. 1993 წლის სალდო 4-5-ჯერ აღემატება 70-იანი და 80-იანი ქლებისას. დემოგრაფიულ და შრომით პოტენციალზე მისი მოქმედება, პირველ ყოვლისა, შრომითი რესურსების ასაკობრივ სტრუქტურაზე ზეგავლენით გამოიხატება. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განზოგადებისთვის 1993 წლის მონაცემებზე დაწყრდნობა სრულ სურათს ვერ მოგვცემს. საქმე ის არის, რომ 1993 წელს საქართველოდან რუსეთშ მასობრივად გადავიდა საცხოვრებლად საპენსიო ასაკის მოსახლეობაც. ამის მიზეზი საქართველოსა და რუსეთს შორის მკვეთრად განსხვავებული საპენსიო უზრუნველყოფა იყო. საქართველოშ ეკონომიკური კრიზისის მეტი სიღრმით განვითარებისა და ცხოვრების დონის გაცილებით მეტად დაცემის გამო, ახალგაზრდობასთან ერთად, რომლებიც ადრეულ წლებში დომინირებდნენ მოსახლეობის მიგრაციაში, ხანშიშესულმა მოსახლეობამად

დაიწყო რესპუბლიკიდან ადრე წაული ოჯახის ახალგაზრდა წევრებთან საცხოვრებლად წასვლა. ამის გამოა, რომ 1993 წელს პენსიონერთა ხვედრითი წონა მიგრაციის სალდოშ 3,8%-ით აღემატება მათ ხვედრით წილს რესპუბლიკის მთელ მოსახლეობაში, ეს მიგრაციულ მობილობაშ უნიკალური შემთხვევაა. რაც შეეხება შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრით წონებს, აქ ახალგაზრდათა ხვედრითი წონა ჭარბობს.

შეიძლება ითქვას, რომ განათლების პოტენციალის კლების თვალსაზრისით ბოლო წლების მიგრაციული ნაკადები სტრუქტურულად არსებითად არ განსხვავდება მოსახლეობის განათლების საერთო პოტენციალისგან. მიგრანტთა სალდოს განათლების პოტენციალი, სწავლების წელთა რაოდენობა ერთ მიგრანტზე 11,1 წელია, საქართველოს დასაქმებულ მოსახლეობაში - 11,6 წელი. 1989 წლის შემდგომ საქართველოს განათლების პოტენციალს მიგრაციით დააკლდა 1276,5 ათასი კაც-წელი. ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, მიგრაციული მიმოცვლით 90-იან წლებში საქართველოს მოსახლოების განათლების პოტენციალი იზრდებოდა.

რაც შეეხება ქართველთა მოსახლეობას, აქ განათლების პოტენციალი უფრო სწრაფად მცირდება მიგრაციის ზეგავლენით, ვიდრე სხვა ერებში. მაგალითად, მიგრაციის სალდოში ქართველებში უმაღლესი და დაუმთვრებელი უმაღლესი განათლების მიგრანტები ყოველ 1000 მიგრანტზე 250 კაცია, რუსებში იგი 152-ია, სომხებში -137, აზერბაიჯანელებში - 64 და ა.შ.

1990-იანი წლიდან მონაცემები ემიგრაციის შესახებ შეფასებითი ხასიათისაა, რის გამოც არ მოგვეპოვება ინფორმაცია ქვეყნიდან მიგრანტთა გასვლისა და შემოსვლის შესახებ. გამონაკლისს წარმოადგენს 2004-2006 წწ. აღნიშნული წლებისთის არსებობს სტატისტიკური მონაცემები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული მოქალაქეების შესახებ.[42](ცხრილი 12)

[42]საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. გიორგი მელაძე. თბილისი 2007წ. გვ 95

საქართველოს საზღვარზე გადაადგილებული პირების დინამიკა
2004-2006 წწ.

წელი	მოქალაქეობ	შემოსვლა	გასვლა	მიგრაციის საღ
2004	საქართველო მოქალაქეებ	544753	539279	5474
	სხვა ქვეყნი მოქალაქეებ	368312	330617	37695
2005	საქართველო მოქალაქეებ	909424	833113	76311
	სხვა ქვეყნი მოქალაქეებ	600231	537634	62597
2006	საქართველო მოქალაქეებ	1161989	1174119	-12130
	სხვა ქვეყნი მოქალაქეებ	747901	704261	43640

ცხრილი 12

ცხრილის ანალიზი გვიჩენებს, რომ 2004-2006 წწ. ორჯერ და მეტჯერ გაიზარდა ქვეყნის სახელმწიფო სახზღვარზე გადაადგილებული საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური რაოდენობა. აღნიშნული დროის მონაკვეთში იგივე მასშტაბით გაიზარდა სხვა ქვეყნის მოქალაქეების გადაადგილებაც. ყურადღება მისაქაცევია ის ფაქტი, რომ 2006 წელს საქართველოში შემოსული სხვა ქვეყნების მოქალაქეების დადებითი მიგრაციული სალდო, მნიშნელოვნად აღემატებოდა საქართველოს მოქალაქეთა სალდოს რომელიც აღნიშნულ წელს უარყოფითი იყო. მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, ემიგრირებულთა საერთო რაოდენობაში ყველაზე მნიშნელოვანი იყო თბილისის (28,8%) და იმერეთის რეგიონის (14,8%) მოსახლეობის წილი. ემიგრანტების დაბალი წილი დაფიქსირდა გურიაში და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში.[43]

[43]საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. გიორგი მელაძე. თბილისი 2007წ. გვ 96

აღსანიშნავია, რომ არსებული მდგომარეობის დასახასიათებლად მიზანშეწონილია მიგრაციის კერძო კოეფიციენტების, კერძოდ კი ემიგრაციის ინტენსიურობის მაჩვენებლების გამოყენება. აღნიშნულ კოეფიციენტს ანგარიშობენ ყოველ ათას მცხორებზე და იგი მიიღება საკვლევი რეგიონიდან წლის მანძილზე ემიგრირებული მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებით, რეგიონის მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან.

აღნიშნული კოეფიციენტის ანალიზის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა ზემოაღნიშნული შედეგები. ყველაზე მაღალი ემიგრაციის ინტენსივობით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი გამოირჩეოდა. განხილული მაჩვენებლის ყველაზე დაბალი მნიშვნელობა, აჭარაში და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში დაფიქსირდა. ამ შემთხვევაში თბილისი მხოლოდ მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა, საიდანაც ყოველ ათას მცხოვრებიდან 30 ადამიანი იყო ემიგრირებული.[44] (ნახაზი 12)

ემიგრაციული ინტენსივობა საქართველოს რეგიონებში
2002 წლის აღწერის მიხედვით



[44]საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. გიორგი მელაძე. თბილისი 2007წ. გვ.97

ნახაზი 12

2002 წლის აღწერის თანახმად, ემიგრანტთა ეროვნების მიედვით მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოდან გასული მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან, ყველაზე დიდი წილი ქართველებზე მოდიოდა (60,9%), მათ შემდგომ მაღალი მაჩვენებლები გააჩნდათ სომეხი, აზერბაიჯანელი და ბერძენი ეროვნების მოსახლეობას. (ნახაზი 13)

ემიგრანტების განაწილება ეროვნების მიხედვით საქართველოში 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით (%)



ნახაზი 13

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც მიგრაციის ინტენსივობის მაჩვენებელი მნიშნელოვნად ცვლის სურათს. ყველაზე მაღალი ემიგრაციის ინტენსივობით ბერძენი ეროვნების მოსახლეობა ხასიათდებოდა, რომელთა მაჩვენებელიც 2,7-ჯერ ღემატებოდა მეორე ადგილზე მყოფ ებრაული ეროვნმების მოსახლეობის

მაჩვენებელს. განხილული კოეფიციენტი მნიშვნელოვანი სიდიდით გამოირჩეოდა ოსი ეროვნების ადამიანებში. (ნახაზი 14)

ემიგრანტების განაწილება ეროვნებისა და ემიგრაციის ინტენსივობის ფარდობითი ინდექსის მიხედვით საქართველოში
2002 წლის აღწერის მონაცემების თანახმად



ნახაზი 14

მიგრაციულ პროცესებში მონაწილე, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების გამგზავრების მიმართულების სრულფასოვანი ანალიზი, შეუძლებელია არსებული მიმდინარე აღრიცხვის ოფიციალური მონაცემების მიხედვით. აღნიშნული თეთრი ლაქა მეტნაკლებად შესაძლებელია შევავსოთ 2002 წელს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი რიგ შემთხვევებში არ იძლევიან სიტუაციის ადექვატურად შეფასების საშუალებას, ინფორმაცია გამგზავრების მიმართულების შესახებ

სპეციალისტების მიერ მისაღებადაა მიჩნეული. აღწერის მიხედვით - რუსეთის შემდგომ, საქართველოს მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილი საბერძნეთში, გერმანიაშ და აშშ-ში მიემგზავრებოდა, (შესაბამისად 16,4; 4,3; 3,8%).

ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასულთა შორის საგრძნობი იყო სხვა ქვეყნებში ემიგრირებულთა წილი, რომელთა შორის აღსანიშნავია აზერბაიჯანი, ბელგია, ესპანეთი და საფრანგეთი. (ნახაზი 15)

ემიგრაციული ნაკადების მიმართულებები
2002 წლის აღწერის მიხედვით (%)



ნახაზი 15

ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2005-2006 წწ. უნგრეთის, ირლანდიისა და კანადის გამოკლებით ყველგან შემცირდა თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხოვნობა. აღნიშნული დროის მონაკვეთში განსაკუთრებული კლება დაფიქსირდა საფრანგეთში და საბერძნეთში (შესაბამისად 2,7-ჯერ და 4,4-ჯერ). აღნიშნიშნული

მოვლენის შედეგად, თითქმის განახევრდა აღნიშნულ ადამიანთა რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ 2005-2007 წწ. ქვეყნების უმრავლესობაში თავშესაფრის მთხოვნელთა კლება აღინიშნა, ამ უკანასკნელთა საერთო რიცხოვნობა გაიზარდა. დაფიქსირებული ფაქტი უმთავრესად, მათი საბერძნეთში 3,6-ჯერ მატების შედეგად იყო გამოწვეული.

მთელი საანალიზო დროის პერიოდში (2005-2007 წწ.), უნგრეთის, შვედეთის და ირლანდიის გამოკლებით, ყველგან შემცირდა განხილულ ადამიანთა რაოდენობა.

გაანალიზებული წყაროს თანახმად 2007 წელს, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან თავშესაფრის მთხოვნელთა შორის, საქართველოს მოქალაქეები რაოდენობრივი თვალსაზრისით პირველ ხუთეულში იყვნენ: კვიპროსში, საბერძნეთში, უნგრეთში, ირლანდიაში, ლიტვაში, სლოვაკეთში, სერბეთში, ხოლო ათეულში ავსტრიაში, ხორვატიაში და ლიხტენშტეინში.

საგულისხმო ფაქტია, რომ განხილული ინფორმაცია ეყრდნობა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფიციალურ მონაცემებს. ცხნობილია, რომ ჩვენი ქვეყნიდან ემიგრირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი არალეგალურად იმყოფება საზღვარგარეთ, რის გამოც მათი ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელია, აქედან გამომდინარე დღესდეღეისობით უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეების რაოდენობა გაცილებით მეტია.[45]

მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის აჭარის მოსახლეობის სტაციონალურ მიგრაციაზე ამირან ტაკიძე თავის ნაშრომში, რომელიც ძირითადად 2002 წლის საყოველთაო აღწერას ეფუძნება. თუ შევადარებთ 1989 და 2002 წლის აღწერებს, მოსახლეობის აბსოლუტური მნიშნელობა შემეცირდა 16876 კაცით, რამაც 1989 წელთან მიმართებაში მხოლოდ 95,7% შეადგინა. კლება მთლიანად განსაზღვრულია აჭარის ფარგლებს გარეთ მოსახლეობის მიგრაციით. თუ ზემოაღნიშნულ ციფრს (16,6 ათასი) დავუმატებთ აღწერებს შორის აჭარის მოსახლეობის ბუნებრივ მატებას (40,5 ათასი კაცი), მივიღებთ, რომ აღწერათაშორის პერიოდში აჭარაში მიგრაციული კლება ყოფილა 57,4 ათასი კაცი.

---

[45]საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. გიორგი მელაძე. თბილისი 2007წ. გვ. 102-103

მიგრაციული კლება, ძირითადად, ემიგრაციული პროცესების გამო მოხდა. აჭარიდან საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად წავიდა 50 ათასზე მეტი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 13,1%. ემიგრაციულ ნაკადებში მაღალი იყო არაქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა, რამაც მნიშნელოვნად განსაზღვრა აჭარის მოსახლეობაში ქართველთა წილის ნახტომისებური მომატება: 82,8%-დან 93,4%-მდე.

1989-2002 წწ. ემიგრაციის გამო აჭარაში რუსების რიცხოვნობა შემცირდა 3,3-ჯერ, სომხების-1,8-ჯერ, ბერძნების-3,4-ჯერ, უკრაინელების - 6,6-ჯერ, აზერბაიჯანელების 2-ჯერ და ა.შ. მაშნ როცა, ქართველთა რიცხოვნობამ, პირიქით, 26,3 ათასტით ანუ 6,9%-ით მოიმატა. ამრიგად, გარე მიგრაციული პროცესების შედეგად მოსახლეობა უფრო მონოეთნიკური გახდა.

თუ ვიმსჯელებთ 2002 წლის მოსახლოების აღწერის მასალების მიხედვით, აჭარიდან ემიგრირებულთა 56,4% რუსეთის ფედერაციაზე მოდის, 27,3%-საბერძნეთზე, 3,8%-უკაინაზე, 2,1%-აშშზე, 2,4%-გერმაინაზე და ა.შ.

ისევე, როგორც მთლიანად საქართველოსთვის, აჭარისთვისაც მეტად დიდი მნიშნელობა აქვს მოსახლეობის გადაადგილების ძირითადი ტენდენციების გამოვლენას როგორც აჭარის შიგნით რაიონებისა და ქალაქებს შორის, ისე მიოგრაციული კავშირების დადგენას საქართველოს სხვა რეგიონებთან. ამ მხრივ აჭარას სპეციფიკა გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ მთიანი აჭარის სწრაფი ბუნებრივი მატება, რომელიც ბოლო წლებამდე იყო დამახასიათებელი, წმნის ამ ზონაში ე.წ. ჭარბ შრომით რესურსებს, რომელთა ადგილზე სრულად დასაქმება შეუძლებელია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმცირის გამო.[46]

აჭარის მიგრაციული კავშირები საქართველოს სხვა რეგიონებთან განსხვავებული მიგრაციული ინტენსიურობით ხასიათდება. მოსახლეობის გაცვლის თვალსაზრისით ყველაზე დიდი ინტენსიურობა აჭარას გურიის მხარესთან აქვს როგორც წასული, ისე აჭარაში შემოსული ნაკადის მესამედი გურიაზე მოდის.

[46]მიგრაციის კვლევის ცენტრი. ამირან ტაკიძე გვ.108-109

აჭარის მიგრაციული კავშირები საქართველოს სხვა რეგიონებთან

	აჭარაში დაბადებული ცხოვრობს სხვა რეგიონებ		საქართველოს სხვა რეგიო დაბადებული ცხოვრობს აჭარაში		სალდო
	კაცი	%	კაცი	%	
თბილისი	9094	24,3	2674	9,0	-6420
აფხაზეთი	1	0,0	6281	21,1	+6280
გურია	12109	32,2	10245	34,3	-1864
იმერეთი	4108	11,0	5372	18,0	+1264
კახეთი	2120	5,7	482	1,6	-1638
მცხეთა-მთიანეთ	160	0,5	131	0,4	-29
რაჭა-ლეჩხუმი ქვ.სვანეთი	149	0,4	420	1,4	+271
სამეგრელო ზემ სხვანეთი	2009	5,4	2157	7,2	+148
სამცხე-ჯავახეთ	3144	8,4	1044	3,5	-2400
ქვემო ქართლი	3443	9,2	303	1,0	-3140
შიდა ქართლი	861	2,3	731	25	-130
სულ	37498	100	29840	100	-7658

იმდროინდელი მონაცემების მიხედვით, აჭარაში მცხოვრები მიგრირებული მოსახლეობის უმეტესი ნაჭილი - 59,1% აჭარაში შიგარაიონულად გადაადგილებულნი არიან, ყველაზე დიდი ნაკადი კი შემოსულია გურიის მხირდან (11%), დსთ ქვეყნებიდან (8,5%) და აფხაზეთიდან (6,7%).

აჭარის გარედან მიგრანტებს ყველაზე მეტად ბათუმი და ქობულეთის რაიონები იზიდავს. ბათუმში 2002 წელს მცხოვრებ მიგრაბტთაგან ნახევარზე ოდნავ მეტი

(50,5%) აჭარის გარედანაა შემოსული, მათ შორის 10,4% დსთ ქვეყნებიდან, 16,2%-გურიიდან, 8%-იმერეთიდან. ბათუმში ამჟამად მცხოვრებ მიგრანტთაგან თვით აჭარაშია დაბადებული 49,5%, ანუ ისინი მიგრირებულნი არიან შდა გადაადგილების შედეგად.[47]

აჭარის მოსახლეობის მიგრაციაში განსაკუთრებით გამოიყოფა ორგანიზებული მიგრაცია. მიგრაციის ამ სახეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც აჭარისთვის, ისე მთელი საქართველოსთისაც. როგორც მ. ტუხაშვილი აღნიშნავს, „ეთნიკური განსხვავებით ჩამოყალიბებული მოსახლეობის მატების სხვადასხვა ტემპი და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის რეგიონული განსხვავებანი ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა მიგრაციის მართვის ამოცანებს, კერძოდ, მოსახლეობის ორგანიზებული გადანაწილების საკითხს, რაც ტოტალიტარული სახელმწიფოს მართვის პირობებში შედარებით ადვილი იყო. ისინი პასუხობდა კონკრეტულ მიზნებსაც და გასნახლების სრულყოფის საერთო სტრატეგიასაც“.[48]

საქართველოში მიგრაციის სფეროში სტატუს-ქვოს შენარჩუნების შემთხვევაში, უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაუარესდება დემოგრაფიული სიტუაცია. კერძოდ, გაიზრდება ხანდაზმულ ადამიანთა რაოდენობა, რაც საგრძნობლად გაზრდის დასაქამებული მოსახლეობის ეკონომიკურ დატვირთვას. აღნიშნული მოვლენა გამოიწვევს საპენსიო სისტემის კრიზისსა და ისედაც სუსტი სოციალური სტაბილურობის რღვევას, შემცირდება შობადობა და ა.შ.

მიგრაციის სფეროში არსებული მდგომარეობისა და დაბალი შბადობის ზეგავლენით ჩამოყალიბებული, უმძმესი დემოგრაფიული მდგომარეობის თვითდინებით განვითარების შემთხვევაში ქვეყანაში მოსალოდნელია ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემების წარმოქმნა, რომელთა დარეგულირება წარმოუდგენლად რთული იქნება.[49]

2002 წლის შემდგომ საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარდა 2014 წლის საყოველთაო აღწერა. აღწერამ მოიცვა

---

[47]მიგრაციის კვლევის ცენტრი. ამირან ტაკიძე გვ. 110

[48]იქვე გვ.111

[49]საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. გიორგი მელაძე. თბილისი 2007წ. გვ. 102-103

ქვეყნის მთელი ტერიტორიის 82 პროცენტი (57 ათასიკვ.კმ). აღწერა ვერ ჩატარდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ: აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში (მთლიანი ფართობი - 13 ათასი კვ.კმ).

აღწერა ჩატარდა ქვეყნის დასახლებების (ქალაქი, დაბა, სოფელი) 79 პროცენტში, მოიცვა 71 თვითმმართველი ერთეული და 3726 დასახლება. აღწერა ვერ ჩატარდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ 1015 დასახლებაში.

2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 713 804 კაცი შეადგინა, რაც წინა, 2002 წლის აღწერის შედეგთან (4 371 535 კაცი) შედარებით 15 პროცენტით (657 731 კაცი) ნაკლებია. 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით ქალაქის მოსახლეობამ შეადგინა 2 122 623 კაცი, ხოლო სოფლის მოსახლეობამ - 1 591 181 კაცი.

მოსახლეობის ცხოვრების დონის დინამიკა

1897-2014 წლების აღწერების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შემცირება უფრო მეტად სოფლის მოსახლეობამ განიცადა: სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის კლებამ 23,7 პროცენტი, ხოლო ქალაქის მოსახლეობის კლებამ 7,1 პროცენტი შეადგინა. შედეგად, წინა აღწერებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქი/სოფლის სტრუქტურაც: ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 4,9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 57,2 პროცენტს გაუტოლდა.

მოსახლეობის რიცხოვნობის განაწილება ქალაქი/სოფლის ჭრილში 1897-2014 წლების აღწერების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მთლიანი მოსახლეობის 28,5 პროცენტი წარმოადგენს შიდამიგრანტებს - პირებს, რომლებმაც შეიცვალეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (გადავიდა საცხოვრებლად სხვა დასახლებულ პუნქტში) საქართველოს ფარგლებში. შიდამიგრანტთა 33,6 პროცენტს მამაკაცებიწარმოადგენენ, ხოლო 66,4 პროცენტს - ქალები. შიდამიგრანტთა უმეტესობა ცხოვრობს ქ.თბილისში (33,1 პროცენტი),

იმერეთის რეგიონში (15,1 პროცენტი) და სამეგრელო-ზემოსვანეთის რეგიონში (9,6 პროცენტი).

შიდა მიგრანტების განაწილება რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის 5,0 პროცენტს შეადგენენ იმიგრანტები - პირები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ საზღვარგარეთ 12 თვეზე მეტხანს. მათ შორის 51,9 პროცენტი მამაკაცია, ხოლო 48,1 პროცენტი - ქალი. იმიგრანტთა 77,4 პროცენტი საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს, ხოლო 22,6 პროცენტი - სასოფლოში. იმიგრანტთა უმეტესობა განაწილებულია ქ. თბილისში (45,5 პროცენტი), იმერეთის რეგიონში (12,9 პროცენტი) და ქვემო ქართლის რეგიონში (11,0 პროცენტი).

იმიგრანტებისგანაწილებარეგიონებისმიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმიგრანტთა 51,6 პროცენტისათვის წინა საცხოვრებელ ქვეყანას წარმოადგენდა რუსეთის ფედერაცია, 8,3 პროცენტისათვის -საბერძნეთი, ხოლო 8,1 პროცენტი უკრაინაში ცხოვრობდა.

იმიგრანტებისგანაწილებაწინასაცხოვრებელიქვეყნისმიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღწერის პერიოდში სპეციალური კითხვარის მეშვეობით მიღებულ იქნა ინფორმაცია ემიგრანტების შესახებ. აღწერის მეთოდოლოგიის შესაბამისად ემიგრანტი წარმოადგენდა 2002 წლის 1 იანვრიდან საქართველოდან უცხო სახელმწიფოში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად წასულ პირს, რომლის არ ყოფნა საქართველოში აღემატებოდა 12 თვეს ან რომელიც აპირებდა საზღვარგარეთ დარჩენას 12 თვეზე მეტ ხანს. აღწერის შედეგების მიხედვით ემიგრანტთა რაოდენობამ შეადგინა 88,5 ათასი კაცი, მათ შორის 45,4 პროცენტი მამაკაცია, ხოლო 54,6 პროცენტი - ქალი.

ემიგრანტთა 66,1 პროცენტი საზღვარგარეთ წასვლამდე საქალაქო დასახლებებში ცხოვრობდა, ხოლო 33,9 პროცენტი - სასოფლო დასახლებებში. ემიგრანტთა 31,6 პროცენტისათვის წინა საცხოვრებელ ადგილს ქ. თბილისი წარმოადგენდა, 22,9 პროცენტისათვის - იმერეთის, ხოლო 12,5 პროცენტისათვის - ქვემო ქართლის რეგიონი.

ემიგრანტთა განაწილება რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ემიგრირებულთა ძირითად ნაწილს 20-54 ასაკობრივი ინტერვალის მოსახლეობა (ემიგრანტების 75,1 პროცენტი) შეადგენს. 39 წლამდე ასაკის ემიგრანტებში

მამაკაცები ჭარბობენ ქალებს, ხოლო 40 წლის და უფროსი ასაკის ემიგრანტებში საპირისპირო სურათი გვაქვს და ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცთა რაოდენობას. 50 წლისა და უფროსი ასაკის ემიგრანტი ქალები 2-ჯერ მეტიაშ ესაბამისი ასაკის ემიგრანტ მამაკაცთა რაოდენობაზე.

ემიგრანტების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (ათასი კაცი)



როგორც აღწერის შედეგებმა აჩვენა, ემიგრანტთა ყველაზე დიდი ნაწილი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში (21,7 პროცენტი), საბერძნეთში (15,9 პროცენტი) და თურქეთში (11,2 პროცენტი).

ემიგრანტთა რაოდენობის განაწილება 10 ძირითადი ქვეყნის მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რუსეთის ფედერაციაში, საფრანგეთში, უკრაინაში და აზერბაიჯანში ემიგრირებულთა უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ, ხოლო საბერძნეთში, თურქეთში, იტალიაში, გერმანიაში, აშშ-ში და ესპანეთში ემიგრანტი ქალები ჭარბობენ.

ემიგრანტთა განაწილება 10 ძირითადი ქვეყნისა და სქესის მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საკითხისადმი დამოკიდებულება ემყარება ორ ძირითად ასპექტს: შრომითი მიგრანტი დაცული უნდა იყოს; როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულების ქვეყნისთვის შრომითი მიგრაციის ეფექტურობა და სარგებლიანობა მაქსიმალური ოპტიმალურობით უნდა ხასიათდებოდეს. შრომითი მიგრანტების შრომის დაცვის მწირი საკანონმდებლობა ზასაფრთხეს უქმნის, ზოგადად, დასაქმებულთა უსაფრთხოებას. წლების განმავლობაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებულ-შეთანხმებული სტანდარტები მნიშვნელოვანი და არსებითი საშუალებაა შრომითი მიგრანტების ღირსებისა და უფლებების დაცვისათვის. ეს სტანდარტებია: უფლებათა ფუნდამენტური კონვენციები (რომლებიც აისახა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1998 წლის დეკლარაციაში „სამუშაო ადგილებზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ“); ზოგადი გამოყენების სტანდარტები (როგორებიცაა: ანაზღაურების საკითხები, შრომის პირობები, ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, შრომის ინსპექციების თემა, დასაქმების პოლიტიკა და სამმხრივი კონსულტაციები); ინსტრუმენტები (რომლებიც აყალიბებს სპეციალურ დებულებებს შრომით მიგრანტებთან დაკავშირებით, მაგალითად: კერძო დასაქმების სააგენტოების შესახებ კონვენცია, სახლში დასაქმებულების (შიდა მოსამსახურეების) შესახებ კონვენცია; სოციალური უსაფრთხოების ინსტრუმენტები.[50]

განსხვავებულია ემიგრირების ორგანიზაციული ფორმები იმიგრაციის ქვეყნების მიხედვით. ნაკადთა მნიშვნელოვანი წილი, როგორც გაირკვა, რუსეთისკენაა მიმართული, ამიტომ მიგრაციული აქტის განხორციელებას ემიგრანტები რუსეთთან ენობრივი ბარიერის არარსებობის, მსგავსი ცხოვრების პირობების, მენტალიტეტის, ტრადიციებისა და ტერიტორიული სიახლოვის გამო ნაცნობმეგობრების დახმარებით ახერხებენ. რუსეთში გამოკითხული შრომითი ემიგრანტების 74,2%-მა აღნიშნა, რომ ემიგრირდნენ ნათესავ-მეგობრების დახმარებით, იგივე მიუთითა შემცვლელი რესპონდენტების 68,7%-მა და დაბრუნებულთა 46%-მა. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით აიხსნება ასევე

[50]http://migration.commission.ge/files/study_on_labour_migration_2014.pdfგვ 3

რუსეთში მიმავალ ემიგრანტებში ბედის ანაბარად წასულთა მაღალიხ ვედრითი წილიც.[51]

განვითარების სტადიაში მყოფსაქართველოსმოუწევსშექმნასისეთისისტემა, რომელიცგაზრდისქვეყნისმიმზიდველობასხელშემწყობიპირობებისშექმნით, თუნდაცისეთიკატეგორიისმიგრანტებისთვის, რომმლებიცმსოფლიოშიაღიარებულნიარიანუკანონომიგრაციებისარსებობისძირი თადწყაროდ. კერძოდ:

●ტურისტულინაკადებისმოზიდვისათვის.

საქართველოსსაკურორტო-ტურისტულიპოტენციალიწარსულე.წ. საბჭოთაპერიოდისბოლოს 80-იანწლებში, წელიწადში 5 მილიონამდემიგრანტსდასასვენებლადთუტურისტადმიღებისშესაძლებლობასიძ ლეოდა.

ამმდგომარეობისაღდგენადაპოტენციალურირესურსებისმაქსიმალურიგამოყენება საქართველოშიტურისტულინაკადისყოველწლიურირაოდენობის 10 მილიონამდეგაზრდისსაშუალებასიძლევა.

●ტრანზიტულიმიგრაციებისგანვითარებისთვის.

საქართველოსთვისახალფორმადყალიბდებატრანზიტულიმიგრაცია, როელიცდღესმხოლოდტვირთებისტრანზიტულმიგრაციაზეააქცენტირებული. მაშინროცასაქართველოყოფილსაბჭოთაქვეყნებისგანვითარებისპარალელურადუნ დაგახდესტრანზიტულიროგორცტურისტული, ისესაქმიანიმიგრაციების, პირობითადაზიიდანევროპისაკენთუევროპიდანაზიისაკენ, შუალედურიქვეყანა.

●საქართველოს „ბუფერულ“ ქვეყნადგახდომისთვის

საქართველოსაქვსიმისპირობებისრომგახდეს „ბუფერული“ ქვეყანა, მსგავსადბულგარეთისა, რომელმაცთავიგამოაცხადაევროპისაკენმიმავალიტრანზიტულიმიგრაციულითუს ატვირთონაკადებისფილტრადდაამითმიიზიდაროგორცევროპისქვეყნების, ისეგაეროსადამიგრაციისსაერთაშორისოორგანიზაციებისფინანსურიდატექნიკური საშუალებები.

[51]შრომითი ემიგრაცია საქართველოდან. ნათია ჭელიძე. თბილისი 2006 წ. გვ 46-47

მიგრაციულიპრობლემებიქვეყნისმართვისსაერთოსაქმეშიწარმოადგენენუმნიშვნელოვანესისახელმწიფოებრივიმოქმედებისსფეროს.
გასნაკუთრებითსაერთაშორისოხასიათიაქვსგარემიგრაციებსდაამიტომაცთხოულობენსახელმწიფომართვისზედაეშელობენისგადაწყვეტილებათადასაქმიანობისკოორდინაციას.
საუწყებათაშორისოდონეზესახელმწიფომიგრაციულიპოლიტიკისრეალიზაციაპირველრიგშისაჭიროებსახალიამოცანებისგადაწყვეტას,
რომლებიცძირითადადდაკავშირებულიაამპროცესებისეფექტურადმართვის,
უწყებებსშორის „გაფანტული“
დაახალიფუნქციებისერთუწყებაშიკონცენტრაციასთან.[52]

2.3მიგრანტთა პროფესიულ-კვალიფიციური განაწილება და მათი გზავნილები საქართველოში

იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმების პრობლება მეტად აქტუალურია საქართველოში. აუცილებელია აღნიშნული კონტიგენტის განსახლების რეგიონებში ლოკალურ შრომის ბაზარზე კონიუნქტურის სწორად განსაზღვრა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-დემოგრაფიული და პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის, პროფესიული მობილობის, შრომის ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობათა შეფასება. ამ მიზნით დანიის ლტოლვილთა საბჭოსა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით შესრულებული გამოკვლევით დადგინდა რიგი პარამეტრებისა, რითაც გამოიკვეთა აღნიშნული კონტიგენტის დასაქმების სრულყოფის ძირითადი

[52]საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თომა (თამაზ) გუგუშვილი. თბილისი. 1998 წ. გვ. 237

მიმართულებანი.

კვლევამ გამოავლინა, რომ დევნილთა განათლების დონე საკმაოდ მაღალია. ამასთან, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა უმრავლესობა იგივე პროფესია შეინარჩუნა რაც განათლებით აქვთ მიღებული (პედაგოგთა 90%, ექთანთა 99% და ეკონომისტთა 89%). პროფესიის შეცვლა მოუხდათ ინჟნერთა 22% -ს . ისინი დასაქმდნენ უფრო დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზე, როგორიცაა ხელოსანი, მძღოლი და ა.შ.[53]

დევნილ რესპოდენტთა 67%-ს თავიანთი პროფესიის გარდა სხვა, ორი და მეტი, პროფესიით შეუძლია მუშაობა. იმის გამო, რომ დევნილებმა თავიანთი განათლების შესაბამისი ადგილი ვერ ნახეს შრომის ბაზარზე, იძულებული გახდნენ, სხვა ტიპის სამუშაოები აეთვისებინათ იქ დასამკვიდრებლად. კვლევამ გამოავლინა,რომ უმუშევრობამდე დევნილ რესპოდენტთაგან პედაგოგთა მხოლოდ 38% მუშაობდა განათლების სისტემაში, 33%-ს კი საერთოდ არ უმუშავია. ექიმთა მხოლოდ 25% მუშაობდა ჯანდაცვის სიტემაში, ექთნებისა - 53%. ამასთან აღმოჩნდა, რომ იურისტთა 25%-ს საერთოდ არ უმუშავია. კვლევამ აჩვენა რომ საკმაოდ დიდია სტრუქტურული უმუშევრობის მასშტაბები. ეს განპირობებულია იმ უწესრიგობით რაც არსებობს პროფესიული მომზადების სისტემაში, მეორე მხრივ კი მოსახლეობის დამახინჯებული წარმოდგენით ამა თუ იმ პროფესიის მიღების შემდეგ დასაქმების შესაძლებლობებზე. გამოკითხულ რესპოდენტთაგან თვითდასაქმებულია ყოველი მეხუთე. მათ შორის არიან უმაღლესი განათლების სპეციალისტები.[54] ხანგრძლივი უმუშევრობა ყველაზე მეტად დამახასიათებელი უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგების, ეკონომისტების, ექიმებისა და კულტურის წარმომადგენლებისთვის.

იძულებით გადაადგილების გამო სამუშაო დაკარგა პედაგოგთა, ექიმთა, ეკონომისტთა და ხელოსნების ნახევარმა, მძღოლების 80%-მა, მუშების 70%-მა. აღმოჩნდა რომ რესპოდენტები ნაკლებად ენდობიან დასაქმების სააგენტოებს, შესარჩევ კონკურსებსა და განსაკუთრებით პროფკავშირებს.

პროფესიის მიხედვით დევნილთა ბიზნეს აქტივობის ანალიზმა გამოავლინა, რომ

[53]მიგრაცია. მზია შელია.თბილისი 2010 წ. გვ 158
[54]იქვე. გვ. 159

ამ მხრივ ყველაზე აქტიურები ინჟინრები (78%) და ეკონომისტები (70%) არიან. მეტად მრავალფეროვანია რესპოდენტთა პასუხები კითხვაზე: „თქვენი წინადადებები თქვენ შრომის მოწყობასთან დაკავშირებით?“ ძირითადად აფხაზეთიდან დევნილებში დომინირებს ის აზრი რომ დაკავდნენ ავეჯის რესტავრაციის ბიზნესით, დაამუშავონ მიწის ნაკვეთი, მოუარონ ფუტკარს და ა.შ.

პროფესიული მობილობით უფრო მამაკაცები გამოირჩევიან. მამაკაცთა 2/3 -ს შეუძლია ორი და მეტი პროფესიით მუშაობა, მაშინ როცა ქალთა 56,3% აცხადებს რომ მას მხოლოდ ერთი პროფესიით შეუძლია იმუშაოს.[55]

რესპოდენტთა განაწილება კითხვაზე: „რამდენი პროფესიით შეგიძლიათ მუშაობა?“ პასუხების მიხედვით (%)



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტთა განაწილება საზოგადოებაში. პიროვნების სოციალიზაციის პროცესში სტუდენტური წლები შეუდარებლად მნიშვნელოვანია. ახალგაზრდობის და მათ შორის სტუდენტობის გავლენა საზოგადოების ყველა მხარეზე ბევრად აღემატება მის წილს მთელ მოსახლეობაში. განსაკუთრებით დიდია მისი გავლენა მოსახლეობის დემოგრაფიულ და მიგრაციულ განწყობა-ქცევაზე. სტუდენტების მიგრციული ორიენტაციების

[55]მიგრაცია. მზია შელია.თბილისი 2010 წ. გვ 163

დასადგენად ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა. გამოიკითხა სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტები, რომელთა რაოდენობა 400 იყო. გამოვლინდა, რომ რესპოდენტების ოჯახის წევრებიდან უმეტეს შემთხვევაში საზღვარგარეთ მიდის მამა (22%) , ძმა (10%), და(6%), პაპა-ბებია (8%) , სხვა (54%).[56]

რესპოდენტთა განაწილება კითხვაზე „რა სირთულეებს აწყდებით სამუშაოს ძიებისას?“ პასუხების მიხედვით (%)

[56]მიგრაციის კლევის ცენტრი. მერაბ ხმალაძე. თამაზ ზუბიაშვილი. გვ 66



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტთა განაწილება საზოგადოებაში. პიროვნების სოციალიზაციის პროცესში სტუდენტური წლები შეუდარებლად მნიშვნელოვანია. ახალგაზრდობის და მათ შორის სტუდენტობის გავლენა საზოგადოების ყველა მხარეზე ბევრად აღემატება მის წილს მთელ მოსახლეობაში. განსაკუთრებით დიდია მისი გავლენა მოსახლეობის დემოგრაფიულ და მიგრაციულ განწყობა-ქცევაზე. სტუდენტების მიგრციული ორიენტაციების

დასადგენად ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა. გამოიკითხა სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტები, რომელთა რაოდენობა 400 იყო. გამოვლინდა, რომ რესპოდენტების ოჯახის წევრებიდან უმეტეს შემთხვევაში საზღვარგარეთ მიდის მამა (22%) , ძმა (10%), და(6%), პაპა-ბებია (8%) , სხვა (54%).

სამუშაოდ (დროებით) წასულების განაწილება (%)

სქესისა და ასაკის მიხედვით

	რუსეთი	აშშ	თურქეთ	საბერძნე	გერმანია	სხვა	სულ
კაცები							
15-29	50,0			33,33	16,67		100,0
30-39	42,86			28,57	28,57		100,0
40 და მე	100,0			0,00	0,00		100,0
სულ	63,16			21,05	15,79		100,0
ქალები							
15-29	29,41	11,76	5,88	41,18	11,76		100,0
30-39	66,67	0,00	6,67	6,67	20,00		100,0
40და მეტ	42,86	9,52	28,57	0,00	14,29	4,7	100,0
სულ	45,28	7,55	15,09	15,09	15,09		100,0

1998 წლის სექტემბერ-ნოემბერში TACIS-ის პროგრამით და დაფინანსებით საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველომ ჩაატარა შერჩევთი გამოკლვლევა საქართველოში მიგრაციული პროცესების შესწავლის მიზნით.

მოცემული კვლევის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მიგრანტთა განაწილებაზე პროფსიის მიხედვით.[57]

[57]მიგრაციის სტატისტიკა. თბილისი 1999წ. გვ 16

მიგრანტთა განაწილება პროფესიის მიხედვით

პროფესია	ჩამოსვლა	%	გასვლა	%
არ არის ნაჩვენები	34	2,21	79	3,75
ბიზნესმენები და კომერსანტები	107	6,95	96	4,56
დიასახლისები და პენსიონერები	79	5,13	150	7,12
ეკონომისტები და საფინანსო აღრიცხვის სპეციალისტები	154	10,01	199	9,44
განათლების დარგის მუშკები და ფილოლო	131	8,51	206	9,78
ინჟნრები	145	9,42	199	9,44
ჯანდაცვის მუშკები	125	8,12	136	6,45
მშენებლობის სპეციალისტები	46	2,99	73	3,46
მძღოლები	161	10,46	156	7,4
მართვის ორგანოების ორგაბიზაციების ხელმძღვანელები	43	2,79	71	3,37
მრეწველობის დარგის სამთო საქმის სპეციალისტები	48	3,12	70	3,32
პროფესიის გარეშე	158	10,27	245	11,63

საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს სპეციალისტები	27	1,75	47	2,23
სოფლის მეურნეობის სატყეო მეურნეობის სპეციალისტები	28	1,82	37	1,76
სხვა დანარჩენი	164	10,66	228	10,82
ხელოვნების და მეცნ. მუშაკები	89	5,78	115	5,46
სულ	159		2107	

ცხრილიდან ჩანს, რომ დიდი განსხვავება ჩამოსულ და გასულ მიგრანტთა შორის ამ მხრივ არ არის. შედარებით დიდი ეკონომისტების და ფინანსური აღრიცხვის სპეციალისტების, ინჟინრების, განათლების დარგის მუშაკების, მძღოლების და კომერსანტების წილი. უცნაურია, მაგრამ როგორც ჩამოსულ, ასევე გასულ მიგრანტთა შორის ყველაზე დიდია პროფესიის გარეშე პირთა წილი.

შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილები უმნიშნელოვანეს როლს ასრულებს პოსტსაბჭოთა საქართველოს საარსებო მოთხოვნილებებით უზრუნველყოფაში. როგროც ვარაუდობენ, საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ იმყოფება შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 11%-15%. ისინი თავიანთი პროფესიის შეუსაბამო საქმიანობისა და დისკრიმინაციული შრომის ანაზღაურების პირობებში მაინც ახერხებენ თავიანთ ოჯახებს საქართველოშ გამოუგზავნონ შემოსავლის ნაწილიდა თავი დააღწიონ სრულ გაღატაკებას.

ქვეყნების საგადამხდელო ბალანსის მონაცემებს დაფუძნებული გლობალური შეფასებით, ოფიციალური ფულადი გზავნილები მსოფლიოში შეადგენს 168 მლრდ აშშ დოლარზე მეტს.

იმისთვის, რომ შეფასდეს საერთაშორისო მიგრაციის გავლენა წარმოშობის ქვეყანაზე, აუცილებელი ხდება შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების

სიდიდის განსაზღვრა.

2000-2006 წლებშ შრომის ემიგრაციის შესწავლის მიზნით განხორციელდა რამდენიმე კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევა. გამოიკითხა 1132 ე.წ. შემცვლელი რესპოდენტი ანუ შრომითი მიგრანტის ოჯახის წევრი და ალხობელი.[58]

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ადრინდელი პერიოდისაგან განსხვავებით 1990-იანი წლებიდან შრომითმა მიგრაციამ მოიცვა მთელი საქართველო, დადგინდა, რომ მიგრაციის მიზეზები უმეტესად ეკონომიკური ხასიათისაა, გამოვლინდა, რომ მიგრანტები ძირითადად ოთხ ქვეყანაში მიდიან: რუსეთში (41%), საბერძნეთშ (15%), გერმანიაში (13%) და აშშ-ში (14%).[59]

გამოკვლევამ გამოალინა, რომ შრომითი ემიგრანტების 80% თავიანთ ოჯახს ეხმარება ფულადი გზავნილებით. მცირედი ნაწილი გადმოგზავნასთნ ერთდ ადგროვებს.

ერთი ემიგრანტის თვიური შემოსავალი მიმღებ ქვეყანაში საშუალოდ 744 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო გზავნილი თვეში - 178,5 დოლარს.

შრომითმა ემიგრანტებმა კითხვაზე პასუხი თუ როგრო ფიქრობდნენ, ფულადი გზავნილები თავიანთი ოჯახის შემოსავლის ძირითდი წყარო არის თუ არა, შემდეგნაირად უპასუხეს.[60]

[58]მიგრაცია. თბილისი 2007. ნათია ჭელიძე. გვ. 87
[59]იქვე. გვ 87
[60]იქვე. გვ 90



საზოგადოებასა და ეკონომიკაზე საერთაშორისო მიგრაციის გავლენაზე მსჯელობისას, მკვლევარები ხშირად სწორედ რომ მიგრანტთა ფულად გზავნილებს განიხილავენ ამკონტექსტში. ბევრი მიმღები ქვეყნისთვის, ფულადი გზავნილები წარმოადგენს უცხოური ვალუტის შემოდინების საკმაოდ სტაბილურ წყაროს, რომელიცზოგჯერ უფრო სანდოა, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი პასუხი კითხვაზე, თურამასშტაბისგავლენააქვსფულადგზავნილებსქვეყნისეკონომიკურზრდაზე, გზავნილების მიმღებ შინამეურნეობათა დონეზე, მათი წვლილი ძალზედ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს განათლებაზე, ჯანდაცვაზე და კაპიტალზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ადრეული 1990-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოს მოქალაქეებმა აქტიური საერთაშორისო მიგრაცია დაიწყეს, ფულადი გზავნილების შემოდინების ზრდაც დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა არ არის ფულად გზავნილებზე ზედმეტად დამოკიდებული, გზავნილები მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სიღარიბის შემცირებაში და ოჯახების ეკონომიკურ სტაბილურობაში. ეკონომიკური კრიზისის დროსაც კი მათ აქვთ უნარი, რომ მალევე დაუბრუნდნენ კრიზისამდელ მდგომარეობას, თუმცა 2014-2015 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა

რუსეთში, შესაძლოა უფრო ხანგრძლივი გავლენა იქონიოს ფულადი გზავნილების დინამიკაზე[61]

[61] http://migration.commission.ge/files/geo__1_.pdf გვ. 2

ფულადი გზავნილები წლების მიხედვით

აშშ დოლარი



წყარო: საქართველოსეროვნულიბანკი

სხვადასხვა ქვეყნებიდან/რეგიონებიდან შემოსული ფულადი გზავნილების პროცენტული წილი



2016 წელს ACT-საქართველოს მიერ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (მსსკ) დაკვეთით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა გვიჩვენებს საქართველოში არსებულ ზოგად სურათს ფულადი გზავნილების გამოყენებასთან დაკავშირებით მიმღები ოჯახების მიერ. გამოკითხული 324 ოჯახიდან, რომლებსაც ყავდათ სულ მცირე ერთი დაბრუნებული ან ამჟამინდელი ემიგრანტი ოჯახის წევრი, უმეტესობა (239) იღებდა ფულად გზავნილებს. მმსკ-ს დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, იმ 215 ემიგრანტიდან, რომელიც გამოკითხვის მომენტში საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ოჯახს ფულს 71% უგზავნიდა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ყოველი მეორე ემიგრანტის მიერ ოჯახისთვის გამოგზავნილი თანხა ოჯახის ბიუჯეტის ნახევარს ან ¾-ს შეადგენს, ემიგრანტების 15%-ის მიერ გამოგზავნილი თანხა კი მათი ოჯახის შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. იგივე კვლევის მონაცემები მიუთითებს, რომ იმ ოჯახების წილი, რომლებსაც საკვებისთვის საკმარისი ფული არ აქვთ თითქმის 20%-ით მეტია იმ ოჯახებზე (55%), რომლებიც არ იღებდნენ ფულად გზავნილებს, ხოლო ფულადი გზავნილების მიმღებ ოჯახების შემთხვევაში, იმ ოჯახების წილი, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ფული საკვებისთვის 26% შეადგენს. ეს მონაცემები თანხვედრაშია სხვა კვლევების შედეგებთან, რომლის მიხედვითაც ფულადი გზავნილები ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას საქართველოში. მსსკ-ს დაკვეთით ჩატარებულმა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობა სხვა ქვეყნების მოსახლეობის მსგავსად მოიხმარს ფულად გზავნილებს. ფულადი გზავნილების მიმღებ სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი იხარჯება პირველადი მოხმარების საგნებზე, როგორიცაა საკვები, კომუნალური გადასახადები და ტანსაცმელი, რასაც მოყვება ჯანმრთელობასთან და განათლებასთან დაკავშირებული ხარჯები. ფულადი გზავნილების მიმღებთაგან, მხოლოდ 7% ახერხებს ფულადი გზავნილებით დანაზოგის გაკეთებას ბინის ან მანქანის

შესაძენად ან ბიზნესის დასაწყებად.

2008 წელს ჩატარებული კვლევა სახელწოდებით - „განვითარების გზაზე“, აჩვენებს თუ რაში იხარჯება ფულადი გზავნილები, როდესაც ოჯახი მას ხარჯავს სხვა შემოსავლისგან განსხვავებულად. 141 ოჯახიდან, რომელიც იღებდა ფულად გზავნილებს და ხარჯავდა მათ ოჯახის სხვა შემოსავლისგან განსხვავებულად, დიდმა ნაწილმა (40%) აღნიშნა, რომ ფულადი გზავნილები ჯანდაცვას ხმარდებოდა. გამოკითხულთა ერთმა მესამედმა კი საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა, ვალის გადახდა და ბავშვის მოვლა დაასახელა. მონაცემები მიუთითებს, რომ ასევე ხშირად ხდება ფულადი გზავნილების გამოყენება განათლებისთვის.[62]

2.4მოსახლეობის რეემიგრაციული პოტენციალი, მათი მიგრირების დადებითი და უარყოფითი შედეგები

შორეულ წარსულში ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტების იმიგრაციულ ნაკადებს ძირითადად განსაზღვრავდა მათი ბუნებრივი რესურსული პოტენციალის აუთვისებლობა. თანამედროვე მსოფლიოში მას განაპირობებს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების და შესაბამისად, შრომის ანაზღაურების მაღალი დონე. უნდა ითქვას ისიც, რომ განვითარებულ ქვეყნებში შრომითი მიგრანტის მცირედი დანაგროვებიც კი მას არამარტო ოჯახის რჩენის, არამედ სამშობლოშ უკუმიგრაციის შემდგომ საქმიანობის გაშლის მეტ საშუალებას აძლევს.

იმიგრაციული ქვეყნის პირობებში, საერთოდ იმიგრაციული პროცესები და მათ შორის დროებითი შრომითი იმიგრაცია, ემიგრაციულ ქვეყნებთან შედარებით, სახელმწიფოსგან უფრო მეტად რეგულირდება და უფრო მეტი დადებითი მახასიათებელი გააჩნია.

სტიქიურ შრომით ემიგრაციებს ორი უარყოფითი მხარე ახასიათებს: შრომით მიგრანტს აუცხოებს, უკარგავს პროფესიულ დონეს, იწვევს მისი ჯანმრთელობის გაუარესებას. ყოველივე, საბოლოოდ, ისევ ემიგრაციული ქვეყნის საზრუნავი

[62] http://migration.commission.ge/files/geo__1_.pdf?fbclid=IwAR1ZV-Yj5zymPeE_7LgsYY66DN7Fhrq5VfQxGy72FEctezuvm12m--V0Jgo გვ. 14-15

ხდება მათი უკუმიგრაციის შემდგომ. შრომითი მიგრანტები თითქოსდა შეუმჩნევლად ძაბავენ რეციპიენტი ქვეყნების შრომით ბაზარს, მათი უმეტესობა უკანონო მიგრანტებს მიეკუთვნებიან და კანონების დარღვევით საქმიანობენ.

ამავე დროს, თანამედროვე მსოფლიოში სამუშო ძალის, თუ შეიძლება დაერქვას, ექსპორტი მიღებული, ფართოდ გავრცელებული და თანაც საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ეფექტური ფორმაა.

ზოგიერთი ქვეყანა ამკაცრებს და ახორციელებს შრომითი იმიგრაციების რეგულირებას, ხოლო რიგ ქვეყენებს კარგად აქვთ აღქმული, რომ შრომითი ემიგრაციით აქვთ პერსპექტივა, საკმაოდ ეფექტურად მიიღონ სავალუტო შემოსავალი, ე.ი. ნახონ ეკონომიკური სარგებელი. ამავე დროს, ქვეყნები, რომლებიც ხელს უწყობენ შრომით ემიგრაციას, ცდილობენ მოახდინონ მისი რეგულირება ისე, რომ ერთის მხირვ, არ მოხდეს ეროვნული სუვერენიტეტის რღვევა და მეორე მხრივ არ შეიზღუდოს მოქალაქეთა უფლებები ქვეყნიდან თავისუფლად გასვლის თაობაზე.

საერთაშორისო დონეზე საქართველოს მსგავსი ქვეყნების უმეტესობა ახერხებს შრომითი ემიგრაციის რეგულირებას და მას საფუძლად უდებს შემდეგს: ერთი, რომ კოსტიტუციის განსაზღვრებას-ქვეყანა იცავს თავის მოაქალაქეებს ქვეყნის გაერთ, აძლევენ მეტ სიღმისეულ შინაარსს - ქვეყანა იცავს თავის მოქალაქეებს არა მხოლოდ ქვეყნის გარეთ არამედ ქვაყანაში ემიგრაციამდე. შრომით ემიგრაციის მსურველს , შრომით მიგრანტს, ათვითცნობიერებენ იმ უარყოფითი პირობების შესახებ, რომელიც შეიძლება არ იცოდეს მან რეციპიენტი ქვეყნის შრომით კანონმდებლობაში, სოციალურ დაცვაში თუ შრომის ბაზრის მდგომარეობის თუ თვით დამსაქმებელთა სანდოობის მხრივ.

მეორე მხრივ- ემიგრაციამდე შრომით მიგრანტზე სახელმწიფოებრივი ყურადღება თვით ქვეყნისთვის ხდება სასარგებლო თუნდაც იმით, რომ ჩნდება საშუამავლო ორგანიზაციები თუ ფირმები, შესაძებელი ხდება შრეომით მიგრანტთა ისეთი დასაქმების სტიმულირება, რომელიც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ამით, პერსპექტივაში, უკვე სამშბლპოში მათი გამოყენების შესაძლებლობას. შედეგად ემიგრაციული ქვეყანა ამცირებს დაძაბულობას

საკუთარ შრომის ბაზარზე-ამცირებს უმუშევრობის დონეს და ამ მიმართებით საჭირო საბიუჯეტო სახსრებს. ზრდის შრომით მიგრანტთა ოჯახების სოციალური დაცვის და თვით მნიგრანტთა საპენსიო უზრუნველყოფის მხარებს.

სქართველომ მთელი ყურადღება უნდა გადაიტანოს რიგირ პრობლემების მოგვარებაზე: უნდა დააჩქაროს საკუთარ მოქალაქეთა საზღვარგარეთ დასაქმების მიმართებით ხელშეკრულების დადება ცალკეულ სახელმწიფოებთან. ქვეყნის გარეთ მოქალაქეთა თავისუფალ გასვლაზე კონსტიტუციური უფლების მიუხედავად, ერთის მხრივ, დააჩქაროს საზღვარზე მათი აღრიცხვიანობის სისტემის ამოქმედება და მეორე მხრივ, მიუხედავად შრომით მიგრანტთა საქართველოდან თავისუფალ გასვლაზე კონსტიტუციური უფლებებისა, იგი დაექვემდებაროს ისეთ მართვას, რომელიც გამორიცხავს ემიგრაციაში შროით მიგრანტთა „დისკვალიფიკაციას“ და ჯანმრთელობის გაუარესებას.

„ემიგრაციამ გადაარჩინა საქართველო შმშლისაგან“. ეს დასკვნა უფრო ადვილი აღსაქმელი რომ იყოს, კიდევ ერთხელ გადავხედოთ რიგ წინაპირობებს: ძალზე სწრაფად მოხდა წარმოების სოციალისტური- „იძლებითი დასაქმების“ სისტემის სრული სტაგნაცია და უმუშევრობის აღიარება, დასაქმების „დიქტატორული“ ფორმის შეცვლამ საბაზროთი ვერ შეძნა შრომის ანაზღაურების სიტემას შესაბამისი სტიმულატორის როლი, პირიქით, შორმის ანაზღაურების სიდიდე იმდენად დაეცა, რომ დანაგროვებზე გაფიქრებაც კი გამოირიცხა. 1991 წელს მომუშავის ყოველთვიური მინიმალური ხელფასი 150 მანეთს ანუ 30 აშშ დოლარს შეადგენდა. ამ პერიოდს ემთხვევა ემიგრაციის და განსაკუთრებით ქართველების სტიქიური ემიგრაციის პიკი და 1996 წლიდან მდგომარეობა რადიკალურად შემობრუნდა, რომელიც ძირითადად უკვე ემიგრაციაში მყოფთა მიერ საქართველოში გზავნილების შედეგად მოხდა.

2015 წლიდან სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მეშვეობით ყოველწლიურად ხორციელდება. 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2016 წლის ივნისიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით 460 დაბრუნებული მიგრანტის მიმართვა აღირიცხა, საიდანაც ბენეფიციარად 398

დარეგისტრირდა. მათგან 46.5% - ქალი, ხოლო 53.5% კაცი იყო. რეგისტრირებულ ბენეფიციართა თითქმის ნახევარი (45%) 26-დან 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება, ხოლო 39%-ის ასაკი 41-დან 60 წლამდე მერყეობს. დაბრუნების ქვეყნების მიხედვით, საბერძნეთი პირველ ადგილზეა (24%), შემდეგ მოდიან გერმანია (20%), რუსეთი (16%) და თურქეთი (9%). პირველ ათეულში ასევე არიან შვედეთი, იტალია, საფრანგეთი, ერაყი, უკრაინა და ავსტრია. ბენეფიციართა 64% ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ნებაყოფლობით დაბრუნდა, 23% დაბრუნებულ იქნა იძულებით, ხოლო 13% საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ ხელშეკრულების“ საფუძველზე დაბრუნდა. ყველაზე მაღალი მომართვიანობა თბილისში (43%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (16%) დაფიქსირდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 128 დაბრუნებულ მიგრანტს დაუფინანსდა სოციალური პროექტი (თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით), 49-ს დაუფინანსდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯები, 30 ბენეფიციარი ჩაერთო პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში, ხოლო 12 ბენეფიციარს დაუფინანსდა იურიდიული დახმარება. დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, მობილურობის ცენტრები86 მიგრანტებს დახმარებას უწევდნენ დაბრუნების პროცესში, ტრანსპორტირებაში, დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფაში, ასევე სამედიცინო დახმარების მიღებაში (კონსულტაცია და მომსახურება), პროფესიულ მომზადება/გადამზადებაში (მათ შორის, კონსულტაცია, დაფინანსება და დასაქმების ხელშეწყობა) და სამეწარმეო საქმიანობაში (მათ შორის, კონსულტაცია, ტრენინგები, ბიზნესგეგმის შემუშავება და გრანტები). 2015-2016 წლებში მობილურობის ცენტრებს 2,678-მა ადამიანმა მიმართა, საიდანაც ბენეფიციარად 794 დარეგისტრირდა. მათგან 720 პირს გაეწია დახმარება (იხ. ცხრილი N42). რეგისტრირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი საბერძნეთიდან (43%), რუსეთიდან (11%) და გერმანიიდან (9%) დაბრუნებული მიგრანტია.[63]

ჩვენს ქვეყანაში ინტენსიური ემიგრაციული ნაკადების გათვალისწინებით უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ემიგრაციულმა პროცესებმა მასშტაბი შეიძინა. საქართველოდან სამუშაო ძალის გადინების შედეგად

[63] http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_2017_a4_new_1.pdf?fbclid=IwAR2mQz0_CKYmXikP6puk55itX16-hAxxU5Gl6cDsAG4GnjkgcgeCySW5iDQ გვ 63-64

ქვეყანაში სწრაფად მცირდება შრომისუნარიანი მოსახლეობა, რამაც შემცირებული შობადობის გათვალისწინებით, ქართული საზოგადოება მძიმე დემოგრაფიული ვითარების წინაშე დააყენა. გარდა ამისა, საკმაოდ მტკივნეულია ოჯახის წევრების დაშორება. მეორე მხრივ, მშრომელი მიგრანტები სახლში აგზავნიან ფულად დახმარებას, რომელიც ბევრი ოჯახისთვის არსებობის პრაქტიკულად ერთადერთი საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციას სხვა დადებითი მხარეებიც გააჩნია, ჩემი აზრით, საქართველოს კონტექსტში ის უარყოფითი მოვლენაა.

ეკონომიკური მიგრანტებისთვის მთავარ მასტიმულირებელ ძალას მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილი წარმოადგენს, რის საშუალებასაც აძლევს ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, მიგრანტთა ნაკადები თანამდროვე მსოფლიოში, განვითარებული ქვეყნებისკენ არის მიმართული. საქართველოში მიგრაციის თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობაა, რაც ნამდვილად არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ დადებითად შევაფასოთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, ვინაიდან მიგრაციები სწორედ ეკონომიკურად არასტაბილურ ქვეყნებში იჩენს თავს. მიგრაციისთვის დამახასიათებელია "ტვინების გადინება", რაც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის ხელისშემშლელ ფაქტორს. ამ პროცესის თავიდან ასაცილელად სახელმწიფოს მიერ შემუშავდა პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების საზღვარგარეთ ცხოვრებასა და განათლების მიღებას იმ პირობით, რომ სწავლის დასრულების შემდეგ, ისინი ცოდნის რეალიზებას სამშობლოში მოახდენენ და სულ ცოტა 3 წლის განმავლობაში იმუშავებენ თავიანთ ქვეყანაში.[64] მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი სწავლას საზღვარგარეთ, მასპინძელი უნივერსიტეტები აფინანსებენ და არა სახელმწიფო. ამ შემთხვევაში ნაკლებად მოსალოდნელია, რომ სტუდენტთა ეს კატეგორია სამუშაოდ სამშობლოში დაბრუნდეს. ყოველივე ეს კი დაკავშირებულია ქვეყანაში შემქნილ იმ არასტაბილურ გარემოებებთან, რომელიც საშუალებას არ აძლევს მოქალაქეებს მათი ცოდნის შესაბამისი ანაზღაურება მიიღონ. აღნიშნული მოვლენა საკმაოდ მწვავე პრობლემაა დღევანდელ რეალობაში. საჭიროა მიმზიდველი სამუშაო გარემოს შექმნა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, რაც ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნების სურვილს გაუჩენს.

წლების განმავლობაში ქვეყანა თავს არიდებდა, როგორც მოსახლეობის რაოდენობის რეალობასთან შესაბამისი ციფრის დასახელებას, ისე მიგრაციის სალდოს ზუსტი მაჩვენებლის ჩვენებასაც. განსაკუთრებით 2005 წლიდან ხდებოდა აპელირება იმაზე, რომ საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა იზრდება და სულ უფრო მეტი ქართველი ბრუნდება სამშობლოში. 2014 წლის აღწერამ სრულიად სხვა და შემაშფოთებელი სურათი აჩვენა, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობამ 2002 - 2014 წლებში თითქმის 650

[64] განათლების საერთაშორისო ცენტრი, http://iec.gov.ge/4216

ათასი ადამიანით დაიკლო. ეს იმ პირობებში, როცა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით არ ახასიათებდა ბუნებრივი კლების მაჩვენებელი.[65] 2 ეს პროცესი კი, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, რადგან იზრდება ქვეყანაში ხანდაზმულ ადამიანთა რაოდენობა, რაც ზრდის ეკონომიკური დამოკიდებულების მაჩვენებელს. ხელისუფლებების მხრიდან მოვლენის მსგავსად წარმოჩენა დაკავშირებული იყო პოლიტიკური პოზიციების შენარჩუნების მცდელობასთან. ამასობაში კი ემიგრაციის პროცესთან დამოკიდებულება სულ უფრო ემსგავსებოდა სირაქლემას პოზიციას. სამწუხაროდ, ჩვენ უკვე აღარ ვდავობთ საქართველოს მიგრაციულ მდგომარეობაზე, რადგან ის ცალსახად არის უარყოფითი, საკითხავი ისაა თუ როგორია ტენდენცია, რომელსაც საიმედო სახე არ უჩანს.

ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ, თუ რა ოდენობის ფინანსურ დახმარებას უწევს საქართველოს ემიგრაციაში მყოფი ადამიანების მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილები, მაგრამ ძალიან რთულია მათ ეფექტიანობაზე საუბარი. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ხრივ არის კითხვაზე პასუხის გაცემა: რაში იხარჯება ის თითქმის 1.5 მილიარდი, რომელიც უცხოეთიდან შემოდის? სამწუხაროდ, აღნიშნული თანხა უდიდეს წილად ხმარდება ემიგრანტების საქართველოში მცხოვრები ოჯახების ყოველდღიურ ყოფას და არ მიდის მცირე ან საშუალო ბიზნესში, რაც გულისხმობს იმას, რომ ემიგრაციას შესაძლოა დასასრული არ ჰქონდეს. გარდა ამისა, საოცარი ის არის, რომ ეს თანხა განსაკუთრებით ბოლო წლებში ყოველწლიურად მზარდია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ იმ ქვეყანაში შეინიშნება პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა. აღნიშნული რამ, სამწუხაროდ, ახლა შეიძლება სხვა ფაქტით იყოს გამოწვეული, მაგალითად, იმით, რომ ფულად ტრანზაქციაში უფრო მეტი ადამიანია ჩართული. ეს ასევე განპირობებულია იმით, რომ ჩვენი ქვეყანა ვერ ცვლის ეკონომიკურ პოლიტიკას რადიკალურად, შესაბამისად, ვერ ქმნის სამუშაო ადგილებსაც და მიგრაცია ქსელურ ხასიათს იღებს. აქედან გამომდინარე, მასში ემიგრანტთა მეტი ახლობელი ერთვება. ჩვენს ქვეყანაში საუბრობენ ფულადი გზავნილებისგან შემოსულ დადებით ეკონომიკურ ეფექტზე, თუმცა არ ან ვერ საუბრობენ იმ ეფექტზე, რაც შეეძლო ამ ადამიანებს თავიანთ ქვეყანაში მუშაობით მოეტანათ ქვეყნისთვის. მართალია ამის შეფასება რთულია, მაგრამ ამაზე საუბარი აუცილებელია მხოლოდ იმისთვის მაინც, რომ სწორად შევაფასოთ მიგრაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტი.

გავლენა, რომელიც ემიგრაციას ახასიათებს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის წლების განმავლობაში დანგრეული ოჯახები. გაეროს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, ქართველ ემიგრანტებს შორის, 43% არის ქალი. სავარაუდოა, რომ მათი უდიდესი ნაწილი არის დედა. ერთი მხრივ

[65] მოსახლეობის 2014წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

საქართველოში არსებული მიგრაციის კვლევის სადავო მეთოდოლოგიის გამო, როდესაც ადამიანის მიგრანტად იდენტიფიცირება ხდება მხოლოდ საზღვრის გადაკვეთიდან 6-12 თვის განმავლობაში, ჩვენ შეგვიძლია თამამად ჩავთვალოთ, რომ ასობით ქალი ამ სტატისტიკაში ვერ ხვდება. ასე მაგალითად: ადამიანები, რომლებიც სამ თვეში ერთხელ კვეთენ საზღვარს თურქეთიდან კანონით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში, ვერასოდეს მოხვდებიან მიგრანტთა სტატისტიკაში. სამაგიეროდ, ინაცვლებენ ვიზიტორთა სტატისტიკაში, რაც რეალობისთვის თავის არიდების კიდევ ერთი შემხთხვევაა. სინამდვილეში კი 90-იან წლებში ქვეყანაში არსებული კრიზისული მდგომარეობის შემდეგ, ოჯახი დიდწილად დგას ქართველი ქალების გმირობასა და ოჯახისთვის თავგანწირვაზე. თუმცა ამასობაში იზრდება ქართველი ბავშვების ის თაობა, რომელსაც დედასთან ძალიან მწირი კონტაქტი აქვს და დროთა განმავლობაში ეს იქცა ნორმად, ვინაიდან ემიგრაცია არასოდეს სრულდება.

ემიგრაცია პატარა და განვითარებადი ქვეყნისთვის წარმოადგენს უარყოფით მოვლენას, მიუხედავად იმ ფინანსური სარგებლისა, რომელიც მას გააჩნია. სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ამ ფინანსების ეფექტურ გამოყენებას და ემიგრანტების ინტეგრაციას თავიანთ სამშობლოში. ეს პროცესი, ცხადია, არ არის იოლი, თუმცა აუცილებელია, ვინაიდან ქართველი ემიგრანტების გამოცდილება და ცოდნა უნდა მოხმარდეს სამშობლოს. აუცილებელია ასევე დემოგრაფიული თვალსაზრისით სიტუაციის გაუმჯობესება, რადგან ამ კუთხით საქართველოში თუ არ იქნა მიღებული შესაბამისი ზომები ლოკალურ და რეგიონალურ დონეზე, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესება.[66] კერძოდ, გაიზრდება ხანდაზმულ ადამიანთა რაოდენობა, რაც გაზრდის დასაქმებული მოსახლეობის ეკონომიკურ დატვირთვას. ეს კი გამოიწვევს საპენსიო სისტემის კრიზისს, შემცირდება შობადობა, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

[66] მელაძე გიორგი „საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები“, თბილისი 2013. გვ.167

დასკვნა

მიგრაციული პროცესები ერთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, მისი მასშტაბები საერთაშორისო ხასიათისაა. ემიგრაციაშ და იმიგრაციაში უამრავი ადამიანი იმყოფება, ძალით თუ თავიანთი ნებით. თითოეულ მიგრანტს თავიანთი პრობლრმა გააჩნიათ, რომელიც საბოლოოდ ქვეყნების ეკონომიკაზე აისახება. საერთაშორისო მიგრაცია ქვეყნების ეკონომიკურ, კულტურულ და ინტელექტუალური დამაკავშირებელია. ქყვენებიდან გასული და შემოსული მოსახლეობა, ზოგ შემთხვევაშ დადებით ან უარყოფით ზეგავლენას ახდენს შესაბამის სახელმწიფოზე. შორმითი ემიგრაცია მიგრანტს აუცხოებს, უკარგავს პროფესიულ დონეს, ყოველივე საბოლოოდ სიევ ემიგრაციული ქვეყნების საზრუნავი ხდება. შეიძ ება ითქვას ემიგრაციამ გადააარჩინა საქართველო. 1991 წელს მომიშავის ყოველთვიური მინიმალური ხელფასი 150 მანეთს ანუ 30 აშშ დოლარს შეადგენდა, ამ ოერიოდში იყო განსაკუთრებით ქართველების სწტიქიური ემიგრაციის პიკი. 1996 წლიდან მდგომარეობა რადიკალურად შემობრუნდა, რომელიც ძირითადად უკვე მიგრაციაში მყოფთა მიერ საქართველოში გზავნილების შედეგად მოხდა.

საქართველოს სტატისტიკური დეპარტამენტის მონაცემებით, 1995 200 წლებში გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 34,8 ათასი იყო ანუ საშუალოდ წელიწადში 5,8 ათასს შეადგენდა. იმავე პერიოდისთვის გაეროს ექსპერტები გარე მიგრაციის უარყოფით სალდოს საშუალოდ წელიწადში 80 ათასად აფასებენ.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად 1990 2006 წლებში ქყვენიდან დროებით და მუდმივად ემიგრირებულთა რქაოდენობამ დაახლოებით მილიონი ადამიანი შეადგინა, რომელთა შორის სავარაუდოდ ნახევარზე მეტი ქართველი იყო.

გარე ემიგრაციულმა პროცესებმა საქართველოში ძალიან მაღალ მასშტაბებს 1992 1996 წლებშ მაიღწია, როდესაც 668,5ათასმა მოქალაქემ დატოვა ქვეყანა. შემდგომ წლებში 2003 წლის ჩათვლით მიმდინარეობდა უარყოფითი ემიგრაციული სალდოს კლების პროცესი. 2004 წელს, დამოუკიდებლად არსებობის წლებში

ქვეყანაში პირველად დაფიქსირდა მიგრაციის დადებითი სალდო, რომელიც 2006 წელს კიდევ უფრო გაიზარდა და 76,3 ათასს მიაღწია. შე მდგომ მიგრაციული სალდო ქვეყანაში კვლავ უარყოფითი იყო.

2018 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით იმიგრანტებისა და ემიგრანტების რაოდენობა ჭარბობს 15დან 64 წლამდე ასაკის ადამიანებში,

2018 წლის მონაცემებით იმიგრანტების რაოდენობა შეადგენს 74526, ხოლო ემიგრანტების 85652 კაცს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. განათლების საერთაშორისო ცენტრი, http://iec.gov.ge/4216
2. გუგუშვილი თომა (თამაზ)საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თბილისი 1998 წ.
3. ვადაჭკორია ა. გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში. 1989-2002 წლები.
4. ზუბიაშვილი თამაზ. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბილისი 1999 წ.
5. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში. თბილისი 2003.
6. ლაცაბიძე ნათელა, მიგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი 2010 წ.
7. მელაძე გიორგი, საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. თბილისი 2007წ.
8. მელაძე გიორგი, „საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები“, თბილისი 2013. გვ.167
9. მოსახლეობის 2014წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf
10. ტუხაშვილი მირიან. შრომითი მიგრაცია. თბილისი 2015წ.
11. ტუხაშვილი მირიან. საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. თბილისი 1996 წ.
12. ტუხაშვილი მირიან, ჭელიძე ნათია, შრომითი მიგრაცია. თბილისი 2015 წ.
13. ტაკიძე ამირან, მიგრაციის კვლევის ცენტრი.
14. შრომითი მიგრაცია საქართველოდან. თბილისი 2003 წ.
15. შელია მზია, მიგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი 2007 წ.
16. ჭელიძე ნათია, შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში. თბილისი 2006 წ.
17. ჭელიძე ნათია, მიგრაცია. თბილისი 2007წ.
18. ხმალაძე მერაბ, დემოგრაფია. 2009წ.
19. http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_2017_a4_new_1.pdf?fbclid=IwAR2mQz0_CKYmXikP6puk55itX16-hAxxU5Gl6cDsAG4GnjkgcgeCySW5iDQ
20. http://migration.commission.ge/files/geo__1_.pdf
21. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%93_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D_%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90_1989